

კასპი სუფთა ჰაერით ისუნთქებს

A2





რეფერენდუმი შვეიცარიაში

A5



"მაიბახ ექსელერო" - ექსპერიმენტი, თუ ახალი სუპერკარი?

B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 6 ივნისი, 2005 წელი. №125 (985) | ფასი 50 თეთრი

ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

## ამინდი

| | 6/Jun | 7/Jun | 8/Jun |
|---|---|---|---|
| თბილისი | 22 | 26 | 30 |
| ქუთაისი | 20 | 29 | 33 |
| ბათუმი | 18 | 27 | 32 |
| სოხუმი | 21 | 26 | 30 |
| ფოთი | 19 | 27 | 32 |
| თელავი | 21 | 26 | 29 |
| ზუგდიდი | 20 | 29 | 33 |
| გორი | 16 | 25 | 28 |
| ახმეტა | 21 | 26 | 30 |
| ჭიათურა | 18 | 26 | 31 |
| გაგრა | 22 | 26 | 27 |
| სამტრედია | 20 | 29 | 34 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8224 |
| ევრო | 2.2372 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3137 |
| რუბლი | 0.0642 |

| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ავტომობილი | B6 |
| სამართალი | A7 | ტენდერი | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |

# საქმეს რიტორიკა სჭარბობს

## ამბობს გავლენიანი ამერიკელი ექსპერტი რიჩარდ პაიპსი

ხათუნა გაბიევი

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ამერიკელი ექსპერტი, საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციის მრჩეველი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ პაიპსი საქართველოს 1 ივნისს თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის მოწვევით ესტუმრა.

**"საქართველოში პირველად 1957 წელს გახლდით, როდესაც ქვეყანას ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმი მართავდა. მაშინ ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ აქაურები უფრო თავისუფლები და სულიერად ნაკლებად გატეხილები იყვნენ, ვიდრე იმ დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკების მცხოვრებნი, რომელთა მონახულება იმხანად მომიწია. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, მაშინ ვერც წარმომედგინა, რომ ოდესმე ჩემი რომელიმე ნაწერთაგანი აქ ითარგმნებოდა, ან გამოქვეყნდებოდა, რადგან ყველაფერი, რასაც კომუნისტები ქადაგებდნენ, ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო, ხოლო კომუნისტური რეჟიმის ნგრევა შორეულ იმედად მესახებოდა,"** - წერს რიჩარდ პაიპსი "საკუთრება და თავისუფლების" ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში.

იმ უამრავ წიგნს შორის, რომელთა ავტორიც რიჩარდ პაიპსია, ზემოხსენებული სკოლის ინიციატივით ითარგმნა "საკუთრება და თავისუფლება", რომლის პრეზენტაციაც "თი ბი სი ბანკის" შენობაში 3 ივნისს გაიმართა. ქართულენოვანი თარგმანის პრეზენტაციას ავტორიც ესწრებოდა.

ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული, ბერდის ისტორიის კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი რიჩარდ პაიპსი წარმოშობით პოლონელია. იგი დაიბადა 1923 წელს, 1939 წლის ოქტომბერში სამშობლოს დატოვება მოუხდა. უკვე 1940 წელს პაიპსი აშშ-შია. 1945 წელს, კორნელის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სამსახურს იწყებს აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალებში. 1950 წელს, ჰარვარდის უნივერსიტეტში ისტორიის დარგში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მოპოვების შემდეგ, იწყებს ლექციების კითხვას

გაგრძელება A3 გვერდზე



*რიჩარდ პაიპსი: "მე მგონია, რომ საქართველოში არც ისე მყიფეა დემოკრატიული განვითარებისათვის საჭირო საფუძველი. ბოლოს და ბოლოს, რაც არ უნდა იყოს, უკვე 2 წელია, რაც თქვენ დამოუკიდებელი დემოკრატია ხართ".*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# საჩუქარი კომედიური პროლოგით

ვერა ნეფარიძე

*რა გამოვა რიგით მეცხრე "საჩუქრიდან", ეს 19 ივნისს შეგვიძლია განვსაჯოთ, როდესაც თბილისის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალს დავხურავთ. გუშინ კი ოპერისა და ბალეტის თეატრში ორკვირიანი ხელოვნების ზეიმი გაიხსნა და ალბათ ძალიანაც დაწყვიტა გული მათ, ვინც წლევანდელი "საჩუქრის" ამგვარ პროლოგს არ ელოდა.*

დასაწყისი ღირსეული აღმოჩნდა, ისეთი, როგორიც ჩაფიქრებული ჰქონდათ ორგანიზატორებს. ზუსტად ვერ გეტყვით, ფესტივალის საზეიმო გახსნას უნდა მივაწერო თუ ანდრეი კონჩალოვსკის ავტორიტეტს, რომ გუშინ ოპერისა და ბალეტის თეატრში ხელოვანთა თუ ხელოვნების მოყვარულთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი საზოგადოება შეიკრიბა. მოგეხსენებათ, სახელმწიფო დაცვის სამსახურმა ამგვარი გარჩევა არ იცის და ოპერაში პრეზიდენტის სავარაუდო გამოჩენაც მაშინ გახდა საეჭვო, როდესაც შენობის ზღურბლს გადაბიჯებულები ჯერ ამ სამსახურმა შეგვამოწმა.

გაგრძელება B2 გვერდზე



# წყალდიდობამ მდინარეში მომუშავე ტექნიკა გაიტაცა

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*ბოლო ორი თვის განმავლობაში გახშირებულმა წვიმებმა სერიოზული ზიანი მიაყენა კახეთის რეგიონს. წინა თვეებში თავს დამტყდარმა სტიქიამ რეგიონი 1 მილონ 500 ათასი ლარით აზარალა. ამ დროისთვის კახეთის ხელმძღვანელობას ხელახლა მოუწევს უკვე ახალი ზარალის დათვლა. ორდღიანმა გადაუღებელმა წვიმებმა კვლავ მდინარების ადიდება და კლაპოტიდან გადმოსვლა გამოიწვია, რის გამოც ათობით ოჯახი საცხოვრებელი ბინების გარეშე დარჩა. ადიდებულმა ალაზანმა მდინარეში მომუშავე ტექნიკა გაიტაცა, ხოლო ილტოს ადიდებამ ზემო ალვანში ეპიდემიის გავრცელების საშიშროებაც შექმნა.*

წყალდიდობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ალვანის მოსახლეობას ბინებიდან წყლის ამოსაღებად სახანძრო სამსახურის გამოძახება მოუწია. აღსანიშნავია, რომ ადიდებულმა ლაზანმა მდინარეში მომუშავე ტექნიკა გაიტაცა. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი უწყებებისგან სამაშველო ღონისძიებები ტარდება, სტიქიის წინაშე ტექნიკა და მოსახლეობა უძლურია, რადგან მდინარე ალაზანმა დამცავი ჯებირები გაარღვია და სოფელში შეიჭრა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აირტურბინები - ხელისუფლების ხედვა

*გასულ ორშაბათს გაზეთ "24 საათში", "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" პროექტის - "ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" - ფარგლებში, დაიბეჭდა ექსპერტების მურმან მარგველაშვილისა და თემურ მიქიაშვილის სტატია - "როგორ ავაშენოთ აირტურბინა?". პუბლიკაციამ საკმაოდ დიდი გამოხმაურება გამოიწვია. კერძოდ, ენერგეტიკის სამინისტროში მიიჩნევენ, რომ ექსპერტები საქართველოში აირტურბინების აშენების თაობაზე სათანადო ინფორმაციას არ ფლობენ, რის გამოც მასალაში რამდენიმე უზუსტობაა. ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით, ამ საკითხის კომენტირება "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" და "24 საათმა" ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს არჩილ მამათელაშვილს სთხოვეს, რომელმაც შემდეგი ინფორმაცია მოგვაწოდა:*

### რატომ გადაწყდა აირტურბინების აშენება

ზამთრის სეზონზე საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული დეფიციტის დასაბალანსებლად და ენერგოდამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა ახალი სიმძლავრეები. ამის აუცილებლობა გასული ზამთრის მძიმე სეზონის დროს კიდევ უფრო გამოიკვეთა. სპეციალისტები დარწმუნდნენ, რომ იმპორტის იმედად ზამთარში ქვეყნის ენერგომომარაგების დატოვება სარისკოა, ამიტომ მთავრობამ დამატებითი სიმძლავრეების აშენება სექტორის მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა. ამ მხრივ პირველი ნაბიჯიც მთავრობამ გადადგა, სახელმწიფო ბიუჯეტის შესწორებულ ვარიანტში 30 მილიონი ლარი ახალი სიმძლავრეების ასაშენებლად გაითვალისწინა და ინვესტორებს ინტერესთა გამოხატვისკენ მოუწოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## გაზეთ "რეზონანსის" გამომცემელს თავს დაესხნენ

გუშინწინ, დილის 11 საათზე გაზეთ "რეზონანსის" გამომცემლის ზურაბ მაჭარაძის საცხოვრებელ ბინაში სამი შეიარაღებული ყაჩაღი შეიჭრა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მაჭარაძეების საცხოვრებელი ბინის კარზე ახალგაზრდა უცნობმა ქალბატონმა დარეკა ზარი, კართან მისულ ზურაბ მაჭარაძეს აუხსნა, რომ ერთ-ერთი სოციოლოგიური სამსახურის წარმომადგენელი გახლდათ და ოჯახის წევრთა გამოსაკითხად იყო მისული. უცნობმა მაჭარაძეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მოსთხოვა, ამასობაში კი კარს უკან სამი შეიარაღებული ყაჩაღი გამოჩნდა. მაჭარაძემ მათ წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა კარის ჩაკეტვა ვერ მოახერხა და შეიარაღებულები საცხოვრებელ ბინაში შეიჭრნენ. მაჭარაძემ მოახერხა, დასხლტომოდა მათ ხელიდან და დახმარების სათხოვნელად გარეთ გაიქცა. ორი თავდამსხმელი მას აედევნა, ერთი კი იქვე დარჩა და მაჭარაძის დედას იარაღის მუქარით ფული მოსთხოვა. **"ნუ გარბიხარ, თორემ გესვრით",** - ამ სიტყვებით მისდევდა ორი ყაჩაღი ზურაბ მაჭარაძეს, რომელიც დახმარებას ითხოვდა. შემთხვევით, იქვე ამ ამბის მომსწრენი გახდნენ სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც მაჭარაძეს ადევნებული ყაჩაღების დაკავება შეძლეს.

რაც შეეხება მესამე ყაჩაღს, რომელიც მაჭარაძეების ოჯახში დარჩა და იარაღის მუქარით ფულს ითხოვდა, იქაურობა დატოვა და მეორე სართულზე დაიმალა. სადარბაზოში შესულ პოლიციელებს დაკავებისას მან ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც ერთ-ერთი პოლიციელი იოსებ გოგლიძე ბარძაყის არეში მძიმედ დაიჭრა. დაჭრილი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. როგორც ექიმები ამბობენ, დაჭრილი პოლიციელის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ერთი სიტყვით, ზურაბ მაჭარაძის ოჯახზე თავდასხმის საქმე გახსნილია. დაკავებული არიან - ყაჩაღობისთვის ძებნილი ოთარ სარალიძე, ზაზა ბრეგაძე, ოთხჯერ ნასამართლევი მიხეილ კიპაროიძე და მარინა სარქისიანი. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ორი პისტოლეტი, დანები და ერთი მასრა. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლებით აღიძრა.

როგორც გაირკვა, მაჭარაძეებთან მისვლამდე ორი საათით ადრე ზაზა ბრეგაძემ, მიხეილ კიპაროიძემ და ოთარ სარალიძემ სხვა დანაშაულიც ჩაიდინეს. ისინი ელიავას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის პირველ სართუზე მდებარე აქფთიაქში შევიდნენ, სადაც სავალუტო ჯიხურიც არის მოთავსებული. თავდაპირველად ჯიხურში მყოფთ მონობარათი მოსთხოვეს, შემდეგ კი იარაღის მუქარით - ფული. წინააღმდეგობის შემდეგ ყაჩაღებმა თავში მძიმედ დაჭრეს ჯიხურის ერთ-ერთი თანამშრომელი, 4 ათასი ლარი გაიტაცეს და გაიქცნენ.

**"ეს არის სერიოზული ყაჩაღური დაჯგუფება. მას შემდეგ, რაც ტელევიზიით მათი სახეები გამოჩნდა, ძალიან ბევრმა მოგვმართა დახმარების თხოვნით. ყაჩაღები დაზარალებულებმა ამოიცნეს. მიმდინარეობს სერიოზული საგამოძიებო მოქმედებები; გარდა გუშინწინ ჩადენილი დანაშაულებისა, სხვა დაზარალებულების დახმარებით ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი კიდევ ოთხი ყაჩაღობის ფაქტი გაიხსნა",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსმა მერაბ ბაღათურიამ.

პროკურატურამ, დაკავებულთათვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, უკვე მიმართა სასამართლოს.

*24 საათი*

## კასპი სუფთა ჰაერით ისუნთქებს

ლელა მარგიანი

*1972 წელს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ 5 ივნისი გარემოს დაცვის მსოფლიო დღედ გამოაცხადა. გლობალური გარემოს შენარჩუნება, ანუ ბუნებაზე ზრუნვა, არა მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების, არამედ ყოველი სახელმწიფოს მოვალეობაა. გარემოს დაცვის დღეს სააქციო საზოგადოება "კასპიცემენტის" ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული აქცია მიეძღვნა. ამიერიდან, ქარხნის გამონაბოლქვი გარემოს აღარ დააბინძურებს – ღუმელებზე ახალი დამცავი ფილტრები დამონტაჟდა.*



*ამბობენ, ეს გამონაბოლქვი მავნებელი აღარ არისო.*

ამიერიდან, ქალაქ კასპის 19-ათასიან მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მათ, ვინც ქალაქის ცენტრში სააქციო საზოგადოება "კასპიცემენტის" მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობს, ჰაერის დაბინძურების საბაბით, საპროტესტო აქციების გამართვა აღარ დასჭირდება. საწარმოს მოქმედ ორივე ღუმელზე დამონტაჟდა ფილტრები, რომლებიც ღუმელებიდან მავნე ნივთიერებების ამოფრქვევას წლის განმავლობაში 2200 ტონით შეამცირებს.

ქართველ ექსპერტთა და საწარმოს ხელმძღვანელთა შეფასებით, ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გარემოს დაბინძურების მასშტაბების შემცირებას.

ქალაქ კასპის გარეუბანში, გასული საუკუნის 30-იან წლებში აშენებული, ცემენტის მწარმოებელი ქარხანა დროთა განმავლობაში ქალაქის ცენტრში "აღმოჩნდა" და, ეკოლოგიის თვალსაზრისით, კასპელების პრობლემებიც მაშინ დაიწყო. კასპის შემოგარენშიც ხომ ნებისმიერი ადგილიდან მოჩანდა მისი მილიდან ამომავალი ბოლი, რომელიც ირგვლივ მავნე ნივთიერებებს ავრცელებდა.

მართალია, თავდაპირველად, ღუმელზე დამონტაჟებული იყო გამწმენდი ფილტრები, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი დაძველდა და მწყობრიდან გამოვიდა.

**"საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 2000 წლამდე საწარმო საერთოდ გაჩერებული იყო. შემდეგ გამოჩნდა ინვესტორი და წარმოების 51 პროცენტი გაიყიდა. ერთ წელიწადში ქარხანა კვლავ ამოქმედდა. მას მერე აღარც გაჩერებულა და საკმაო მოგება მოაქვს თავისთვისაც და ბიუჯეტისთვისაც. ამჟამად უკვე მესამე ღუმელის ამუშავებაზეა საუბარი. ორი მომუშავე ღუმელის წარმადობა თვეში 50-60 ათას ტონამდეა. ორივე ღუმელზე დადგა ფილტრები. ასე რომ, ეკოლოგიური პრობლემა ვფიქრობთ, მოხსნილია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში სააქციო საზოგადოება "კასპიცემენტის" გენერალურმა დირექტორმა მამუკა სულაძემ.

როგორც დირექტორმა განგვიმარტა, წლების მანძილზე ვერ ხერხდებოდა ძვირადღირებული უცხოური ფილტრების დამონტაჟება, რომელთა ღირებულება 1,5 – 2 მილიონ დოლარს შეადგენს. კასპის მოსახლეობა ჰაერის დაბინძურებით შეწუხებული იყო და ამ საბაბით, რამდენიმეჯერ საპროტესტო აქციებიც გამართა. კასპის გამგეობის და უშუალოდ გამგებლის - გენადი ხაჩიძის თანადგომით, საწარმოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ქართველ ინჟინერთა ჯგუფის მიერ შექმნილი ბევრად უფრო იაფი – 200-250 ათასი დოლარის ღირებულების, მაგრამ იმავე ეფექტის მქონე ფილტრების დამონტაჟება, რომელთა წყალობითაც, მავნე ნივთიერებების ამოფრქვევა ჰაერში შემცირდება და კასპელები ბევრად უფრო სუფთა ჰაერით ისუნთქებენ. მათ აღარც ძლიერი ქარის შეეშინდებათ, რომლის დროსაც საწარმოს გამონაბოლქვის კასპის შემოგარენში გავრცელება ხდებოდა, და აღარც ძლიერი წვიმის, როდესაც მავნე ნივთიერებები მიწაში ჩადიოდა, რის გამოც შემდეგ, კასპელების ძროხები, თურმე, "წელვად" რძეს იწველებოდნენ.

გარემოს დღესთან დაკავშირებული აქციით კმაყოფილები იყვნენ სპეციალურად თბილისიდან ჩამოსული, გარემოს დაცვის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი და მისი მასპინძელი – პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში მიხეილ ქარელი.

მან ჩვენთან საუბარში განაცხადა: **"ათეული წლების განმავლობაში კასპის მოსახლეობა გაწამებული იყო. მართლაც წარმოუდგენელი იყო ქალაქის ცენტრში, მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ ადგილზე ისეთი ნივთიერებების ამოფრქვევა, რომლებიც მათ ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. დარწმუნებული ვარ, რაიონის მოსახლეობა დღეიდან კმაყოფილი იქნება, რადგან ჰაერის დაბინძურება მკვეთრად, 90-95 პროცენტით შემცირდება. ამიტომ, ვფიქრობ, დღევანდელი დღე, ეკოლოგიის თვალსაზრისით, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია."**

## აირტურბინები - ხელისუფლების ხედვა

პირველი გვერდიდან

**"მთავრობის ამ გადაწყვეტილების შემდეგ ბევრი ვიფიქრეთ, რა შეიძლებოდა, ამ 30 მილიონი ლარით გაგვეკეთებინა. ინტერესთა გამოხატვისკენ ყველა კომპანიას მოვუწოდეთ. თითქმის ყველა შეგვეხმიანა, თუმცა მოგვიანებით "მიცუბიშიმ" მოლაპარაკების გაგრძელება აღარ ისურვა, რადგან აირტურბინები და, შესაბამისად, ახალი სიმძლავრეები 30 მილიონი ლარით არ შენდება. მეორე მხრივ, სახელმწიფოს რომ ეს პროექტი თავად შეესრულებინა, მომავალში მისი ბიუჯეტიდან დაფინანსებაც გარანტირებულად უნდა ეკისრა. ჩვენ ვერც კომპანიების მოთხოვნას დავაკმაყოფილებდით და სახელმწიფო გარანტიას გავცემდით. ამიტომ გადაწყდა, რომ პროექტი მთლიანად კერძო ინვესტიციით გაკეთებულიყო და 30 მილიონი ლარი ენერგეტიკაში სხვა ღონისძიებებზე დახარჯულიყო. მართალია, გაზოტურბინის დამონტაჟებაზე "ენერჯი ინვესტი" მუშაობს, მაგრამ ამან სხვა ინვესტორები არ უნდა შეაფერხოს. საქართველოს ენერგოსისტემას 2 მილიარდი კილოვატსაათის დეფიციტი აქვს, "ენერჯი ინვესტის" პროექტით კი მხოლოდ 700 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას შეიძენს. ასე რომ, მსგავსი პროექტების განხორციელება ყველას შეუძლია, მთავარია, ჩვენს პირობებს აკმაყოფილებდნენ,"** - განაცხადა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ არჩილ მამათელაშვილმა.

მისაღები ტარიფი და სრულყოფილი ტექნიკური პარამეტრები - ეს ის მოთხოვნებია, რომლებიც საქართველოში გაზოტურბინების აშენებით დაინტერესებულმა ინვესტორებმა უნდა დააკმაყოფილონ. არჩილ მამათელაშვილი ირწმუნება, რომ "ენერჯი ინვესტმა" ეს მოთხოვნები დააკმაყოფილა.

"ენერჯი ინვესტის" მიერ გამომუშავებული ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაახლოვებით 3,3 ცენტი ეღირება, რაც, საბოლოო ჯამში, სამომხმარებლო ტარიფს არ გაზრდის. ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს "ექსიმბანკთან", თუ ამ პროექტში ეს ბანკი ჩაერთო, ტარიფი შეიძლება უფრო ნაკლებიც იყოს. რაც შეეხება მეორე მოთხოვნას – ტექნიკურ პარამეტრებს: **"ენერჯი ინვესტი" "პრეთ ენდ ვითენ"-ის გაზოტურბინებს დაამონტაჟებს. ამ გაზოტურბინების ტექნიკურმა მახასიათებლებმა სპეციალისტებში აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. არავის მინდა შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ჩვენი ენერგეტიკოსები, როგორც ჩანს, ენერგეტიკაში ახალ ტექნოლოგიებს კარგად არ იცნობენ. მათ არ გააჩნიათ ზუსტი ინფორმაცია, ამიტომ უმჯობესია, გადაამოწმონ. ზოგიერთის მსჯელობაში ისიც კი იკვეთება, თითქოს ახალ გაზოტურბინებს "თბილსრესში" არსებული ენერგობლოკები სჯობია. "პრეთ & ვითენ"-ის გაზოტურბინები მართლაც კარგია და ახალი სიტყვაა ენერგოტექნოლოგიებში. ისინი სამჯერ უფრო ეკონომიურად მოიხმარენ ბუნებრივ აირს და 2,5-ჯერ ეფექტურად მუშაობენ. მათი ავარიულად გამორთვის შემთხვევაში არ გაითიშება მთელი სისტემა, რადგან გაზოტურბინის თითოეული დანადგარი 55 მეგავატს გამოიმუშავებს. მათი აშენებისთვის სულაც არ არის საჭირო 3-4 წელიწადი, ამასთან ისინი კონვეირული ტიპის ტურბინებია და მყარი ფუნდამენტის აშენება მათთვის საჭირო არ არის. "პრეთ & ვითენ"-ის გაზოტურბინის ასამოქმედებლად ოთხი-ექვსი თვეა საჭირო. დაზიანების შემთხვევაში მისი აღდგენა 24 საათშია შესაძლებელი. ამერიკაში "პრეთ & ვითენ"-ის 250 გაზოტურბინა მუშაობს და საკმაოდ წარმატებითაც. ისე რომ, თუ ვინმეს ამ გაზოტურბინების შესახებ ინფორმაცია აინტერესებს, შეუძლია ინტერნეტშიც მოიძიოს,"** - განაცხადა მამათელაშვილმა.

**ვინ იყიდის "ენერჯი ინვესტისგან" ელექტროენერგიას?**

ენერგეტიკის სამინისტროში ამ კითხვას დაუფიქრებლად პასუხობენ - "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", რადგან მას ზამთარში ელექტროენერგიის დიდი დეფიციტი აქვს. ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ კომპანია მზად არის ელექტროენერგია შეისყიდოს, მაგრამ საქართველოს ენერგოსისტემაში ამჟამად მოქმედი საბაზრო წესებით, კომპანიამ ელექტროენერგიის შესყიდვა პირდაპირი ხელშეკრულებით კი არა, საბითუმო ბაზრის გავლით უნდა განახორციელოს, ყოველ შემთხვევაში, ტარიფებს შორის სხვაობა საბითუმო ბაზარში უნდა გადაიხადოს.

ვამბობთ თუ არა უარს ენერგოსისტემის ამჟამად არსებულ სტრუქტურაზე? ვკვეცავთ თუ არა საბითუმო ბაზრის ფუნქციებს და გადავდივართ თუ არა პირდაპირი ხელშეკრულებების პრინციპზე? რა იქნება იმ შემთხვევაში, როცა საპრივატიზაციოდ გადადებულ კომპანიას პატრონი გამოუჩნდება?

არჩილ მამათელაშვილი: **"ამ მიმართულებით მუშაობა ისევ მიმდინარეობს. არსებობს იდეები და მოსაზრებები, რომლებიც განიხილება. ელექტროენერგიას კომპანიები ბაზრის გავლით იყიდიან თუ ბაზრის მეშვეობით, ეს მალე გადაწყდება. ერთი კი ცხადია, სისტემის მოდელი ნამდვილად შეიცვლება. სისტემა გაუმჯობესდება, მოხდება მისი კომერციალიზაცია, გაიზრდება თანხების ამოღების მაჩვენებილი. ეს სწრაფად და ეფექტურად უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯაჭვური რეაქციის შედეგად ზარალდებიან გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და გენერაციის ობოექტები. აუცილებელია, იმპორტი შემცირდეს და შეიქმნას დამატებითი სიმძლავრეები. ჩვენ ამაზე ვმუშაობთ. საქართველოში ელექტროენერგიის დეფიციტია, ამიტომ "ენერჯი ინვესტის" ელექტროენერგია მყიდველის გარეშე არ დარჩება."**

**ტარიფი**

"ენერჯი ინვესტს" ელექტროენერგიის ტარიფი საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან ჯერ არ შეუთანხმებია, ამიტომ ჯერ კიდევ გასარკვევია, იქნება თუ არა "ენერჯი ინვეტის" ტარიფი 3,3 ცენტი. არჩილ მამათელაშვილი დარწმუნებულია, რომ ამ მხრივ პრობლემები არ შეიქმნება.

**"ენერჯი ინვესტის" მიერ გამომუშავებული სიმძლავრე იმდენად მცირეა, რომ ამან არ შეიძლება გენერაციის საშუალო შეწონილი ტარიფი და სამომხმარებლო ტარიფი გაზარდოს,"** - აცხადებს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, თუმცა ტარიფის შესახებ გადაწყვეტილება ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ უნდა მიიღოს, რომელიც ჯერჯერობით დამოუკიდებელ სტრუქტურად ითვლება.

რა იქნება სამომავლოდ, როცა სისტემაში ახალი სიმძლავრეები გაჩნდება და გენერაციის საშუალო შეწონილი ტარიფი თავისთავად გაიზრდება?

**"შეიცვლება ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგია, ამ მხრივ რეზერვები ნამდვილად არსებობს. ამჟამად არსებული მეთოდოლოგია ცოტა მოძველდა და გადახალისებას საჭიროებს. თუ მეთოდოლოგია გადაიხედება და თანხების ამოღების მაჩვენებელი გაიზრდება, შეიძლება, ტარიფი შემცირდეს კიდეც. ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიის გადახედვის მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება. სემეკი ამაზე იმუშავებს, თუმცა მე და ჩემს კოლეგებს სურვილი გვაქვს, ამ პროცესში ჩავერთოთ, სემეკ-ს ჩვენი გამოცდილება გავუზიაროთ და ერთად ვიმუშაოთ. დარწმუნებული ვარ, ტარიფის მხრივ სულ სხვა სურათი გვექნება, როცა მეთოდოლოგია შეიცვლება, თანხების ამოღების მაჩვენებელი გაიზრდება და გადანაწილების ახალი პრინციპი დაინერგება,"** - განაცხადა მამათელაშვილმა.

ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური აცხადებს კონკურსს მცირე ბიუჯეტიანი პროექტების დასაფინანსებლად. კონკურსის მიზანია განათლების საქალაქო ობიექტების განვითარების ხელშეწყობა.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქ. თბილისის სკოლამდელი აღზრდისა და ზ/საგანმანათლებლო სახელმწიფო დაწესებულებებს.

საკონკურსო პროექტების წარმოდგენის ვადებია 2005 წლის 6 ივნისიდან 6 ივლისამდე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციები განაცხადის ფორმას მიიღებენ ქ თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის განათლების პროგრამების განყოფილებაში 12:00-დან 17:00-მდე, მისამართი: ხეთაგუროვის ქ. №2, II სართული. ტელ: 95-93-31.

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ 2005 წლის 21 მაისის გაზეთ "24 საათში" განთავსებულ საწვავ-საპოხი მასალების შესყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება, კერძოდ:**

**1. გამოცხადებული 2051055 ლიტრი დიზელის საწვავის L-62 ნაცვლად გვესაჭიროება 1961055 ლიტრი.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:**

**98-57-81**

**"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.**

**პირობები:**

1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

**საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 "საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი". ტ. 34 76 58**

### მოკლედ

#### ახლად დამტკიცებულ ცესკო-ს ოპოზიციასთან პირველი გამოცდის ჩაბარება მოუწევს

ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციები - "რესპუბლიკელები", "კონსერვატორები" და მოძრაობა "ფორუმი კეთილდღეობისა და დემოკრატიისათვის" - რეფერენდუმის გამართვის საკითხის გარშემო გაერთიანდნენ.

რეფერენდუმზე ოპოზიცია გამგებლებისა და მერების პირდაპირი გზით არჩევის საკითხის გატანას აპირებს.

"ჩვენ გამოცდას მოვუწყობთ ახალ ცესკო-ს და ვნახავთ, რამდენად დამოუკიდებლები არიან ისინი ხელისუფლებისაგან," - განაცხადა "რესპუბლიკელების" ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა.

ოპოზიცია ერთ კვირაში, ერთობლივი ძალისხმევით, 200 ათასი ხელმოწერის შეგროვებას აპირებს, რის შემდეგაც ისინი ახლადა რჩეულ ცეტრალურ საარჩევნო კომისიას რეფერენდუმის გამართვის მოთხოვნით მიმართავენ.

საკითხის ფორმულირება ასეთი იქნება: "თანახმა ხართ თუ არა საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტში მერები და გამგებლები იყვნენ პირდაპირი გზით არჩეულნი, ამავე დასახლებული პუნქტის მოსახლეობის მიერ?"

რეფერენდუმის ჩატარებაზე უფლებამოსილი ორგანო სწორედ ცენტრალური საარჩევნო კომისიაა. როგორც ცესკო-ს აპარატის უფროსმა ნუგზარ კუპრეიშვილმა განმარტა, თავდაპირველად, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც ხელმოწერის ფორმები გადაეცემა.

200 ათასი ხელმოწერის შეგროვების შემდეგ, ცესკო-ს შესაბამისმა სამსახურმა ხელმოწერები უნდა გადაამოწმოს. შემდეგ ცესკო-ს სხდომაზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, დაკმაყოფილდეს თუ არა საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა, ანუ ცესკო-მ უნდა გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი რეფერენდუმის გამართვის შესახებ, ან - დოკუმენტი, რომელშიც მოტივირებული იქნება საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნის უარყოფა. **მედიანიუსი**

#### ევროსაბჭო რუსეთს აფხაზეთსა და ოსეთში კონსტრუქციულობისკენ მოუწოდებს

ევროპის საბჭო მოუწოდებს მოსკოვს, კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს "სამხრეთ ოსეთისა" და აფხაზეთის რეგიონებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში. ეს მოწოდება ასახულია საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის დადგენილების პროექტში, რომელიც რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ეხება.

"მეზობელ და რეგიონის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის კუთხით, საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს რუსეთს, კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს ღია საკითხების მოგვარებაში და შეწყვიტოს ისეთი ქმედებები, როგორიცაა რუსული პასპორტების გაცემა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რეგიონების მცხოვრებლებისთვის, რაც პირდაპირ ან ირიბად დაარღვევს ქვეყნის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას," - ნათქვამია დადგენილების პროექტში.

ევროსაბჭო, ასევე, მოუწოდებს რუსეთს, "ითანამშრომლოს საქართველოს ხელისუფლებასთან, რათა შეიქმნას პირობები მაჰმადიანი მესხების ნებაყოფლობით დასაბრუნებლად იმ რეგიონებში, საიდანაც ისინი 1944 წელს ძალით გაასახლეს."

დადგენილებაში ნათქვამია, რომ გასული სამი წლის განმავლობაში რუსეთმა მცირე პროგრესს მიაღწია ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების საქმეში.

დადგენილების პროექტს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა განიხილავს, რომელიც ივნისის ბოლოს სტრასბურგში გაიმართება. **მედიანიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** დღეს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში", კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრისა და უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრის (ECMI) თაოსნობით გაიმართება კონფერენცია თემაზე "მესხთა პრობლემის მდგრადი გადაწყვეტის ძიება." კონფერენციის მიზანია დეპორტირებულ მესხთა განსახლების ქვეყნებში ჩატარებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია და განხილვა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვენაში, ეუთოს მუდმივ საბჭოში, რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ალექსეი ბოროდავკინმა სამხედრო ბაზებზე რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ 30 მაისს ხელმოწერილი დოკუმენტის დეტალები გააცნო.

ალექსეი ბოროდავკინმა ახსენა ბაქოს პოზიცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოდან გაყვანილი ბაზების ნაწილის სომხეთის ტერიტორიაზე განთავსება აზერბაიჯანული მხარისთვის მიუღებელია.

"ეს ქმედებები მეზობელი ქვეყნებისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს. სომხეთში განთავსებული რუსული შეიარაღება არ გადააჭარბებს იმ ზღვარს, რაც გათვალისწინებულია ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ადაპტირებული ხელშეკრულებით. ეს შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა რუსული მხარის სრულ და მუდმივ კონტროლქვეშ იქნება," - განაცხადა ბოროდავკინმა. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფიცუშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაიშვილი.

# საქმეს რიტორიკა სჭარბობს

პირველი გვერდიდან

ისტორიასა და ლიტერატურაში ამავე უნივერსიტეტში. 1968-1973 წლებში ჰარვარდის უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა რუსეთის კვლევის ცენტრსაც. 1976 წლიდან ხდება ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს "ბ ჯგუფის" ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაშიც სტრატეგიული დაზვერვის მონაცემთა ანალიზი და შეფასება შედიოდა. რიჩარდ პაიპსი 1981 წელს პრეზიდენტ რეიგანის მრჩეველი ხდება აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის საკითხებში. პროფესორ პაიპსის უმნიშვნელოვანესი პუბლიკაციებია: "საბჭოთა კავშირის ფორმირება", "რუსეთი ძველი რეჟიმის უღელქვეშ", "რუსეთის რევოლუციის მოკლე ისტორია", "რუსეთი ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში", "საკუთრება და თავისუფლება" და "კომუნიზმი".

პოსტრევოლუციურ საქართველოში ვიზიტის დროს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრებსა და მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, გავლენიანი ამერიკელი ექსპერტი საქართველოს დემოკრატიული განვითარების შანსებს ოპტიმისტურად აფასებს, თუმცა იქვე მოუთითებს, რომ სიტყვას ყოველთვის არ მოსდევს საქმე. "საქართველოში ძალიან სჭარბობს რიტორიკა, რასაც საქმე არ ახლავს," - აღნიშნა პროფესორმა თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის კურსდამთავრებულებთან და მედიასთან შეხვედრისას.

"24 საათი" გთავაზობთ ინტერვიუს რიჩარდ პაიპსთან.

**- საქართველოში თქვენი ვიზიტის მიზანი?**

- თქვენს ქვეყანაში ვიზიტის მიზანი, ძირითადად, ჩემი წიგნის - "საკუთრება და თავისუფლება" - პირველი ქართულენოვანი გამოცემის პრეზენტაციაა. იგი თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის მიერ ითარგმნა. ამავე სკოლამ მომიწვია საქართველოში ქართული საზოგადოებისათვის მისი წარდგენის ცერემონიალზე დასასწრებად.

**- როგორია საქართველოს დემოკრატიული განვითარების შესაძლებლობები?**

- ვფიქრობ, რომ თქვენთან ამის მეტი ტრადიციაა, ვიდრე რუსეთში. მე უკანასკნელზე ასეთი რამის თქმა გამიჭირდებოდა. მე მგონია, რომ საქართველოში არც ისე მყიფეა დემოკრატიული განვითარებისათვის საჭირო საფუძველი. ბოლოს და ბოლოს, რაც არ უნდა იყოს, უკვე 2 წელია, რაც თქვენ დამოუკიდებელი დემოკრატია ხართ.

**- როგორ შეაფასებდით "ვარდების რევოლუციის" მნიშვნელობას და მის გავლენას პოსტსაბჭოთა სივრცეზე, მხედველობაში მაქვს უკრაინა და ცენტრალური აზია?**

- რასაკვირველია, საქართველოსა და უკრაინაში მომხდარ რევოლუციებს უზარმაზარი გავლენა ჰქონდა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე. ქვეყნის განვითარებისათვის დემოკრატიის აუცილებელ პირობებზე საუბრისას, თუნდაც დსთ-ს ფარგლებში, არ შემიძლია არ აღვნიშნო ლიბანის საკითხი, სადაც დისლოცირებული იყო სირიის სპეციალური დანიშნულების ჯარი. თუმცა, ამის მიხედვით, ხალხს ჰქონდა საკუთარი აზრისა და ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალება, რისი შესაძლებლობაც არ იყო უკრაინაში.

**- თქვენი აზრით, რამდენად რეალურია რუსეთში ჭეშმარიტი დემოკრატიის მშენებლობის შანსები?**

- რუსეთთან დაკავშირებით მე ძალიან სკეპტიკური დამოკიდებულება მაქვს. მეეჭვება, რომ ოდესმე ამ ქვეყანაში დემოკრატია განვითარდეს. ჩემს ამ მოსაზრებას, ნაწილობრივ, რუსეთში დემოკრატიული ტრადიციების არქონა, ნაწილობრივ კი, ის პოლიტიკა განაპირობებს, რომელსაც ამ ქვეყნის ხელისუფლება ატარებს. ბევრი რუსი დემოკრატიას ანარქიასა და დანაშაულთან აიგივებს. მათ არ ესმით დემოკრატიის ჭეშმარიტი არსი. არც იდეოლოგია აქვთ შესაბამისი. სამაგიეროდ, აქ ძალიან ძლიერია რელიგიური ფაქტორი. თუმცა, მმართველობისათვის რუსებს ძლიერი ხელი სჭირდებათ, რასაც დემოკრატია საფუძველშივე გამორიცხავს.

ზოგადად, რუსეთი ძალიან რთული ფენომენია. გეოპოლიტიკური მდებარეობის თვალსაზრისით, იგი უმნიშვნელოვანესი ქვეყანაა, რადგან უშუალო შეხება აქვს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთთან. ამას კი უზარმაზარი პოლიტიკური დატვირთვა აქვს.

რუსეთის პოლიტიკურ რეალობას რაც შეეხება, ის ფაქტი, რომ იგი ტრადიციულად ავტოკრატული ქვეყანაა, უკვე ყველაფერზე მეტყველებს.

**- რამდენად კონსოლიდირებულია რუსეთის ხელისუფლების ცალკეული სეგმენტები გადაწყვეტილების მიღებისას და როგორია სამხედრო სტრუქტურის დატვირთვა ამ ქვეყანაში?**

- მე ვფიქრობ, რომ აქ საკმაოდ რთულადაა საქმე. პუტინს, რამდენადაც ჩანს, საკმაოდ დიდი გავლენა აქვს ხელისუფლების ყველა შტოზე. მისი განცხადებებიც ავტოკრატიულ ტენდენციებზე მიუთითებს, ვგულისხმობ კერძო საკუთრებასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს.

რაც შეეხება სამხედრო შტოს, გენერალიტეტს, რუსეთის როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკაზე მათი გავლენა ყოველთვის თვალშისაცემი იყო. რუსეთი ყოველთვის იყო დიდი მილიტარისტული სახელმწიფო. ზოგადად ძალიან ძნელია, რუსეთის ხელისუფლების ქმედებებს რაიმე კონკრეტული შეფასება მისცე. ერთი რამ კი უდავოა - პოპულიზმი ამ ქვეყანაში აშკარაა.

**- საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით მიღწეული გადაწყვეტილება საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილების შედეგია, თუ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ზეწოლის ნაყოფი?**

- მე მგონია, რომ ეს გადაწყვეტილება უფრო საერთაშორისო ზეწოლის შედეგი იყო. თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ, რუსების ბუნებიდან გამომდინარე, მათგან დადებული პირობის დაჯერება საეჭოა. ვნახოთ, შეასრულებენ თუ არა ისინი სიტყვას. მაგრამ, ამას რომ თავი დავანებოთ, ვითარება ისედაც იცვლება, ბაზების გაყვანის გარეშეც.

**- რას იტყვით რუსეთის საგარეო პოლიტიკაში არსებულ წინააღმდეგობრიობაზე. ვგულისხმობ ჩეჩნეთთან დამოკიდებულებას, რომელსაც ოფიციალური მოსკოვი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლით ხსნის, და, ამავდროულად, სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერას დსთ-ს სივრცეში?**

- ანუ, გულისხმობთ, რომ პარალელი გავავლო აფხაზეთში რუსეთის როლსა და ჩეჩნეთთან ურთიერთობას შორის? იცით, მე ამაში უჩვეულოს ვერაფერს ვხედავ. ასეთი რამ, ზოგადად, პოლიტიკისათვის ჩვეულებრივი მახასიათებელია. პოლიტიკა ნებისმიერ დონეზე სავსეა წინააღმდეგობებით.

**- საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის შემდეგ რუსეთ-სომხეთის ურთიერთობებში თუ შეიცვლება რამე?**

- არა მგონია, ბაზების საკითხმა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებში რამე შეცვალოს. სომხეთი რუსეთის მოკავშირედ დარჩება, რადგან რუსეთი ყოველთვის სომხეთის მხარეს იჭერდა, თუნდაც, თურქეთთან ურთიერთობაში. რაც შეეხება რუსეთ-სომხეთის კიდევ უფრო დაახლოებას, არა მგონია, ამან აშშ-ს გაღიზიანება გამოიწვიოს, რადგან სომხეთი ისედაც პატარა სახელმწიფოა და მას მხოლოდ ეკონომიკური ფასეულობები აინტერესებს.

**- როგორ გგონიათ, შეგვიძლია ჩვენ რეგიონული გავლენის მქონე სახელმწიფო გავხდეთ?**

- მე მგონია, რომ რეგიონული გავლენის მქონე სახელმწიფოები რეალურად არც არსებობენ. არსებობს მხოლოდ ლოკალური ეროვნული ინტერესები, დიდი და მცირე სახელმწიფოები. სუვერენულ სახელმწიფოებს უფრო ინდივიდუალური ინტერესების ქონა ახასიათებთ, ვიდრე რეგიონულის. მე მგონია, რაციონალური ინტერესი უფრო დამოუკიდებლობაშია.

**- რას იტყოდით ევროპა-აშშ-ს დღევანდელ ურთიერთობებზე, საფრანგეთზე აქცენტით?**

- მე ვერ ვიტყოდი, რომ საფრანგეთსა და აშშ-ს კარგი ურთიერთობა აქვთ. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ფრანგების თვითაღქმაშია. მათ ჰეგემონობის პრეტენზია აქვთ, აბსოლუტურად უსაფუძვლოდ. მათ თავი ევროპაში პირველებად, წამყვან სახელმწიფოდ მიაჩნიათ, აქვთ დიდი ამბიციები. ამ დროს, მათ ავიწყდებათ, რომ მე-19 საუკუნიდან ისინი დიდ სახელმწიფოს აღარ წარმოადგენენ.

**- რას ფიქრობთ ევროპის ახალი კონსტიტუციის პროექტზე?**

- ვფიქრობ, რომ ეს უხეში შეცდომა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა დანიის გადაწყვეტილებას აქვს, იმის დავიწყებაც შეუძლებელია, რომ ფრანგებმა იგი ჩააგდეს. თანაც, ამ პროექტის ინიციატორები ხომ ისევ ფრანგები იყვნენ. ფრანგებს კი მერე ჰოლანდიელებმაც მიბაძეს. მე არ მწამს ევროპის გაერთიანებულ შტატებად გადაქცევის იდეის. აშშ-ს შემთხვევაში, ახალ კონტინენტზე ჩატანილი ანგლოსაქსური ღირებულებები ამ მიწაზე ჩასულმა ხალხმა აიტაცა. ევროპა განსხვავებული ფენომენია. ეს ძველი კონტინენტია, მრავალი სახელმწიფოთი, განსხვავებული ტრადიციებითა და ენებით. ძნელი წარმოსადგენია, რომ უძველესი ტრადიციებისა და ისტორიის მქონე ქვეყნები თვითმყოფადობის დათმობას დათანხმდნენ. ერთი სიტყვით, პროექტის მარცხში დიდი წვლილი ფრანგებს მიუძღვით.

**- ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის პრობლემასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

- როგორ გითხრათ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს პროგრამა ევროპას, აშშ-სთან შედარებით, ნაკლებად აღელვებს. იგივე შემიძლია ვთქვა ამ საკითხის მიმართ ჩინეთის დამოკიდებულებაზეც.

**- როგორ შეაფასებდით ერაყში შექმნილ ვითარებას?**

- ჩემი აზრით, მთელი ერაყული კამპანიის მსვლელობისას ჩვენი უმთავრესი პრობლემა სამხედრო ძალის დეფიციტი არ ყოფილა. აქ, ალბათ, უფრო სადაზვერვო სამსახურის არაეფექტურ მუშაობაზე შეიძლება იყოს საუბარი. ერაყთან დაკავშირებით ბუშის გადაწყვეტილება ძალიან მგრძნობიარედ აღიქვეს მსოფლიოში. მართალია, სამხედრო დარტყმა და გამარჯვება სწრაფად განხორციელდა, მაგრამ ქვეყნის დამშვიდება ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა.

ტერორიზმი, თავისთავად, ახალი მოვლენა არ არის. უბრალოდ, 21-ე საუკუნეში იგი განსხვავებული ძალით გამოვლინდა. სწორედ ამიტომ, ამ გამოწვევის წინააღმდეგ ყურადღების ახლებურად კონცენტრირება გვმართებს.

**- რას ფიქრობთ ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის შესახებ, აშკარაა თუ არა წინსვლა ისრაელ-პალესტინის ურთიერთობებში?**

- მე ვფიქრობ, ყველაზე მწვავე ეტაპი უკან არის მოტოვებული. პალესტინის ნაციონალურ ავტონომიას ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს, რომელიც სამშვიდობო პროცესის განვითარებით, წინამორბედთან შედარებით, უფრო დაინტერესებული უნდა იყოს. ისინი საკუთარი ხალხის წინაშე მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ.

**- დაბოლოს, მომავალში საერთაშორისო სისტემა მრავალპოლუსიანი იქნება თუ მას ერთი ჰეგემონის ყოლის პერსპექტივა აქვს?**

- ვფიქრობ, ერთი ჰეგემონის არსებობის, ისევე როგორც ორპოლუსიანობის, ხანა დამთავრდა. მომავალში აუცილებლად იქნება მულტიპოლარული სისტემა. მეტნაკლებად თანაბარი ძალისა და შესაძლებლობების იქნებიან ევროპა, აშშ და ჩინეთი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ცალკე, დამოუკიდებელ, ძლიერ აქტორად ისლამური ძალა იქცეს. იგი კონსოლიდირებულ ძალას არ წარმოადგენს. ამდენად, ისევე იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში, როგორც დანარჩენი (არაჰეგემონური) მსოფლიო.



*რიჩარდ პაიპსს თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის დირექტორი არმაზ ახვლედიანი საპატიო დოქტორის რეგალიებს გადასცემს.*

# თურქეთის ელჩმა აფხაზებს იმედი გაუცრუა

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

აფხაზეთში მცხოვრები თურქეთის მოქალაქეები აფხაზეთსა და თურქეთს შორის ლეგალური სატრანსპორტო მიმოსვლის არარსებობით უკმაყოფილონი არიან. ამის შესახებ აფხაზეთში მცხოვრებმა თურქეთის მოქალაქეებმა საქართველოში თურქეთის ელჩს ერთონ თეზგურს განუცხადეს, რომელიც 30 მაისს ეწვია აფხაზეთს.

**"ჩვენთვის გაუგებარია, რატომ არ უნდა არსებობდეს აფხაზეთსა და თურქეთს შორის ცივილიზებული სატრანსპორტო მიმოსვლა. მით უმეტეს, რომ 1996 წლამდე გემები მოძრაობდნენ. მაშინ, როდესაც რუსეთის მოქალაქეებს ავტომობილით, რკინიგზით და საზღვაო ტრანსპორტით შეუძლიათ აფხაზეთში მოხვედრა, ჩვენ ხელოვნურად გვაიძულებენ, ვიმგზავროთ რუსეთის ან საქართველოს გავლით, რითაც დიდ პრობლემებს გვიქმნიან,"** - აცხადებენ თურქეთის მოქალაქეები, ძირითადად, მოჰაჯირების შთამომავალნი. რეპატრიანტების ზოგიერთი წარმომადგენელი ელჩის რეაქციით უკმაყოფილო დარჩა და ამბობენ, რომ ის კონკრეტულს არაფერს შეგვპირდაო. მათ მიაჩნიათ, რომ თურქეთს აფხაზეთის მიმართ არ გააჩნია მკაფიო პოლიტიკა, რის გამოც **"ის აქ პოზიციებს კარგავს."**

აფხაზეთიდან თურქეთში ან პირიქით მგზავრობისას აფხაზეთში მცხოვრებ თურქეთის მოქალაქეებს მართლაც დიდი პრობლემები ექმნებათ. პირდაპირი სამგზავრო რეისები არ არსებობს. უმრავლესობას გადაადგილება სოჭზე გავლით უწევს. ზოგიერთი არალეგალურად მგზავრობს ბარჟებითა და სავაჭრო გემებით. შედეგად, წლობით ვერ ნახულობს ნათესავებს, ექსტრემალურ სიტუაციაში ვერ ახერხებს აფხაზეთში ან თურქეთში ჩასვლას. აფხაზეთში მცხოვრებ თურქეთის მოქალაქეებს მიაჩნიათ, რომ თურქეთის ხელისუფლებამ, ბოლოს და ბოლოს, ყურადღება უნდა მიაქციოს, აფხაზეთს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, იქ მცხოვრებ საკუთარ მოქალაქეებს მაინც, რომელთა რაოდენობაც, მათივე ანგარიშით, არანაკლებ ოთხი ათასს შეადგენს. **"აფხაზეთში ჩამოსული ჩვენი ელჩი, რომელიც რიწასა და ბიჭვინთაში იმყოფებოდა, მხოლოდ დასვენებითა და გართობით იყო დაკავებული. იგი თავს არიდებდა პასუხს კითხვაზე, თუ როგორ აპირებს ჩვენი სახელმწიფო აფხაზეთსა და თურქეთს შორის ლეგალური სატრანსპორტო მიმოსვლის საკითხის მოგვარებას,"** - აცხადებენ თურქეთის მოქალაქეები.

# წყალდიდობამ მდინარეში მომუშავე ტექნიკა გაიტაცა

პირველი გვერდიდან

გადაუღებელმა წვიმებმა სერიოზული ზიანი მიაყენა ახმეტის და პანკისის ხეობის მოსახლეობასაც. ადიდებულმა მდინარე ილტომ კი სოფლები შახვეტილა და ილტო გარესამყარო მოსწყვიტა. დაბინძურებული მდინარის წყალი სასმელს შეერია, რის გამოც მოსახლეობა ეპიდემიის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ილტომ მწყობრიდან გამოიყვანა საავტომობილო გზების ცალკეული მონაკვეთები და ხიდები. როგორც რაიონის ხელმძღვანელობა აცხადებს, თუ არ გამოიდარა, შესაძლოა, საფრთხე სხვა სოფლებსაც შეუქმნას.

წყალდიდობას ვერც თელავის რაიონი გადაურჩა. სოფელ ართანაში დიდხევმა სარწყავი სათავე ნაგებობა მოშალა. დაიხოცა ფრინველები და წვრილფეხა საქონელი. აქ ათეულობით ოჯახი სახოვრებლის გარეშე დარჩა. ჯებირების გასამაგრებლად რაიონის ხელმძღვანელობამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სამი ათასი ლარი გამოყო, მაგრამ, როგორც მოსახლეობა აცხადებს, ეს თანხა მცირეა.

სტიქიისგან დაზარალებული ოჯახები პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის მხარეში პეტრე ცისკარიშვილმა მოინახულა და მათ დახმარებას დაჰპირდა. **„სიტუაცია რთულია. ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ, ფაქტობრივად, წყალში გადაყრილი აღმოჩნდა, მორღვეულია ჯებირები და კიდევ უფრო მეტი საშიშროების წინაშე ვდგავართ, რა თქმა უნდა, თუ გაგრძელდება წვიმები. აქვე გეტყვით, რომ ასეთი პრობლემები რეგიონს თითქმის ყოველ გაზაფხულს აქვს. ამიტომ, ჩემი აზრით, აუცილებელია, რომ ერთხელ და სამუდამოდ ავაშენოთ მყარი ჯებირები, ვიდრე ყოველწლიურად ათობით მილიონი დაიხარჯოს გზების და ხიდების აღსადგენად. ამისთვის კი საჭიროა სახელმწიფო პროგრამის შედგენა და ნაპირსამაგრი სამუშაოების დაფინანსება,"** - აცხადებს პეტრე ცისკარიშვილი.

გარემოსდამცველების განმარტებით, ეკოლოგიური პრობლემების მიზეზი გაკაფული ხეებია. გამეჩხერებული ტყეები წყლის ნაკადს ვერ აკავებს, რის გამოც დასახლებულ პუნქტებს კიდევ უფრო დიდი საშიშროება ემუქრება.

დაზარალებული მოსახლეობა შველას ითხოვს. იმ შემთხვევაში, თუ წვიმები გაგრძელდა, კახეთს ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება.

## ქართული დიზაინი

### მეორე კონკურსის გამარჯვებულები

*31 მაისს შარდენის ქუჩაზე, ღია ცის ქვეშ არქიტექტორთა და დიზაინერთა კონკურსის "ქართული დიზაინის" დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. კონკურსის არსი 21-ე საუკუნის ადამიანის გემოვნებასა და მოთხოვნილებებთან შეხამებას, ქართული ტრადიციული სახლისა და საყოფაცხოვრებო ნივთების თანამედროვე ვარიაციების შექმნაში მდგომარეობს.*

*ყოველწლიური კონკურსი - "ქართული დიზაინი" არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია "არსის" ინიციატივითა და სტუდია "ორი"-სთან თანამშრომლობით, წლეულს მეორედ ჩატარდა. კონკურსში მონაწილეობისთვის რეგისტრაცია 160-მდე მსურველმა გაიარა, თუმცა გამოფენისათვის ნამუშევრები 61-მა კონკურსანტმა წარმოადგინა. შარშანდელისგან განსხვავებით (მაშინ 35 ნამუშევარი იყო), წლევანდელი ნამუშევრები რაოდენობრივი მაჩვენებლის გარდა, მაღალი პროფესიონალური დონითაც გამოირჩეოდა. "ქართული დიზაინი" ერთადერთი კონკურსია საქართველოში, რომელიც დიზაინის ყველა სფეროს მოიცავს.*

### რელიეფური ბანი - ყველაზე არაორდინალური ნამუშევარი

კონკურსი 3 ნომინაციაზე გამოცხადდა. პირველი ნომინაცია - "სტრუქტურული წყობის, სივრცის ორგანიზების და დაგეგმარების იდეა"; მეორე ნომინაცია - "ინტერიერის ან ექსტერიერის ცალკეული ელემენტის დიზაინი"; მესამე ნომინაცია - "ყოფითი ნივთების დიზაინი". თითოეული მათგანი პირველ, მეორე და მესამე პრემიებს შეიცავდა. პარალელურად, არჩევანი გააკეთა ჟურნალისტების ჟიურიმ, რომელმაც მხოლოდ ერთი გამარჯვებული დაასახელა.

კონკურსმა "ქართული დიზაინი" გრან-პრის მფლობელი, საუკეთესო პროექტის ავტორიც გამოავლინა. გრან-პრი მიენიჭა ყველაზე არაორდინალურ ნამუშევარს - ავტორთა ჯგუფის ლევან ასაბაშვილის , ვახტანგ კასრელიშვილის (შარშანდელი გამარჯვებულები) და რუსკა მირზიკაშვილის მიერ წარმოდგენილ პროექტს - "რელიეფური ბანი", რაც ძველი ქართული ბანიანი სახლის ელემენტების თანამედროვე დამუშავებას წარმოადგენდა (ნომინაცია "სტრუქტურული წყობის, სივრცის ორგანიზების და დაგეგმვის იდეა"). პროექტის ავტორებს კომპანია "არსის" მიერ დაწესებული 4 ათასი ლარი გადაეცათ.



იდეის პირველწყაროს წარმოადგენს თბილისში ბეთლემის კლდის უბანში ჩატარებული ურბანული კვლევა. კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევარი მიზნად ისახავდა ამ უბნის ტრადიციებზე დაყრდნობით დღევანდელ დროში არსებულ მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ადეკვატური პასუხების გაცემას, როგორც სივრცით-გეგმარებით, ასევე სოციალურ და სხვა ამოცანებზე.

ახლად შექმნილი "რელიეფური ბანი" ურბანულ ქსოვილში კარგად ჯდება მასზე წარმოქმნილი კიბეთა სისტემით და ქმნის ახალ სამოძრაო ხაზს, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უბნისთვის, ქუჩებს შორის დაკარგული კავშირების აღდგენის შემდეგ. ბანის რელიეფურობა სახასიათოა უბნისთვის და უერთდება გარემოს, როგორც მისი ნაწილი.

"კონკურსი კულტურული მემკვიდრეობის თემის აქტუალიზაციას უწყობს ხელს. მთავარი მიზანია, რომ ნებისმიერი დეტალი - ეს იქნება არქიტექტურაში თუ სხვა სფეროში - ტრადიციებიდან ამოდიოდეს და აუცილებელიც კი გახდეს მისი თანამედროვე ცხოვრებაში გადმოტანა. კონკურსი ამის მიღწევის ერთ-ერთი წინაპირობაა, ანუ გზის ძიება უკვე დაწყებულია," - აღნიშნავს **რუსკა მირზიკაშვილი.**

### ყველაზე კომპეტენტური ჟიური

კონკურსის გამარჯვებულები კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტები: ჟიურის თავმჯდომარე გივი მეტრეველი (სტუდია "ორი"), არქიტექტორები გია აბულაძე, რატი ჩომახიძე, ნანა მეფარიშვილი (კომპანია "არსი"), არქიტექტორი ანდრო ელოშვილი (სტუდია "ჩემი სახლი"), მხატვარი ეკა ჯაფარიძე (კომპანია "ორრი"), ხელოვნებათმცოდნე ანა კლდიაშვილი, ეთნოგრაფი ნუკა აბაკელია, მხატვარი თინა კლდიაშვილი, არქიტექტორი სოსო ალავიძე. ჟიურიმ ერთხმად აღნიშნა, რომ შარშანდელთან შედარებით წლევანდელი ნამუშევრების დონე ბევრად მაღალია.

"წლების განმავლობაში ქვეყანაში არსებული კლიმატის გამო, საზოგადოება ავტომატურად იღებდა უცხოურს, მათი გემოვნება სხვა კუთხით ვითარდებოდა და იგრძნობოდა გულგრილი დამოკიდებულება კულტურული მემკვიდრეობისადმი, მაშინ როცა ტრადიციები და კულტურული მემკვიდრეობა უზარმაზარი რეზერვია ერის განვითარებისათვის. შესაბამისად, კონკურსის "ქართული დიზაინი" მნიშვნელობაც ამაში მდგომარეობს - ჩაერთოს ახალი თაობა ამ პროცესში, რადგან მათი ინეტერესი ქვეყნის წარსულის მიმართ, სხვადასხვა სატყუარას არსებობის მიუხედავად, არ განელდეს. იმისთვის, რომ სრულფასოვნად შეძლო მემკვიდრეობის აღდგენა და თანამედროვეობაში ორგანულად გადმოტანა, საფუძველს კარგად უნდა იცნობდე. კონკურსის მიზანიც სწორედ ამ ცნობიერების ამაღლებაა," - აღნიშნავს ჟიურის თავმჯდომარე არქიტექტორი **გივი მეტრეველი.**

### კომპანია "არსი" - გულუხვი მასპინძელი

სახლის არქიტექტურა და დიზაინი საკმაოდ ძვირადღირებული სამუშაოა. აქედან გამომდინარე, პროექტები საკმაოდ სოლიდური თანხით იყო პრიზირებული. კონკურსს უამრავი სპონსორი ჰყავდა: კომპანია "არსი", სტუდია "ორი", "თიბისი ბანკი", კომპანია "ორრი", სტუდია "ჩემი სახლი", კიდ-არქიტექტურა, საადვოკატო ბიურო "პატარაია და პარტნიორები", "ცენტრ-პოინტ ჯგუფი", საკონსულტაციო ჯგუფი "ჯეპრა".

"კონკურსის მიზანია ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი პროცესის აღდგენა და შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირება. კონკურსი რეალურად აძლევს შანსს ქართულ კულტურას, ტრადიციებიც შეინარჩუნოს და თანამედროვეობაში გადმოტანით, მხატვრულ-ფუნქციური დანიშნულება მიანიჭოს მას. ახალგაზრდობის ინტერესი ქვეყნის წარსულის მიმართ არ ნელდება. მათ ფესვებში ძალიან ბევრი ძვირფასი რამ არის, ამიტომ ჩასწვდნენ მის სიღრმეს და დაინახონ," - კონკურსის მნიშვნელობაზე საუბრობს კომპანია "არსის" ხელმძღვანელი **გია აბულაძე.**

კონკურსის ორგანიზატორები: სტუდია "ორი" და კომპანია "არსი".

არსი ARCI

**შ.პ.ს "აჭარის ენერგოკომპანია" მიიღებს წინადადებებს შემდეგი მასალების შეძენაზე:**

**მასალები მოწესრიგებისთვის**

| | |
|---|---|
| АПВ 10 | 200 000 მეტრი; |
| СИП 25 | 5 ტონა; |
| СИП 35 | 10 ტონა; |
| СИП 50 | 5 ტონა; |
| მომჭერი Р-645 | 2000 ცალი. |

**მასალები ბათუმის მარაგებად:**

ААБ 3Х120 (მაღალი ძაბვის) 2000 მეტრი;
ААБ 3Х120 + 1Х50 (დაბალი ძაბვის) 1000 მეტრი.

სატრანსფორმატორო ზეთი Т-1500 10 000 ლიტრი.

**დენის ტრანსფორმატორები 10 კვ.**

| | |
|---|---|
| 50/5 | 60 ცალი; |
| 75/5 | 40 ცალი; |
| 100/5 | 20 ცალი; |
| 150/5 | 20 ცალი; |
| 200/5 | 10 ცალი. |

**ძაბვის ტრანსფორმატორები:**

| | |
|---|---|
| 35 kv | 30 ცალი; |
| 10 kv | 14 ცალი; |
| 6 kv | 14 ცალი. |

**განაცხადები მიიღება 15 ივნისამდე.**

**ფაქსი (88 222) 7 63 45 მობილური: (899) 65 00 65**

## განცხადება
## აშშ საელჩო თბილისში

2005 წლის 25 ივნისს აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს. აუქციონზე წარმოდგენილი იქნება ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო მოწყობილობები, ავეჯი და აგრეთვე ავტომანქანები.

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" გარანტიის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი პასუხისმგებელია აუქციონზე შეძენილი ნივთების განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

მსურველთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება დილის 9:00-დან 11:00 სთ-მდე. აუქციონი დაიწყება დილის 11:00 სთ-ზე.

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:

**ლილო, რუსთაველი ქ. 4,**
**აშშ საელჩოს საწყობის ტერიტორია.**
ცნობებისათვის დარეკეთ:
98 99 67 ან 98 99 68, შიდა 4201.

**საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი**
**Georgian Wholesale Electricity Market**

**საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის განცხადება**

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა არსებული საბაზრო წესების სრულყოფის მიზნით დაიწყო საბაზრო წესების ახალი პროექტის შემუშავება.

სესბ-ი მიმართავს თხოვნით ბაზრის წევრებსა და სხვა დაინტერესებულ უწყებებს, ასევე ექსპერტებს ენერგეტიკისა და სამართლის დარგში, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ ახალი საბაზრო წესების შექმნის პროცესში და საკუთარი წინადადებები გამოგზავნონ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, 0177, ალ. ყაზბეგის N45.
ელ.ფოსტა: mtavberidze@gwem.org.ge
მიხეილ თავბერიძე - სესბ-ის მომხმარებლებთან ურთიერთობის დეპარტამენტის
დირექტორი

სესბ-ის მიერ შემუშავებული საბაზრო წესების ახალი პროექტი, ასევე თქვენს მიერ შემოთავაზებული წინადადებები განთავსდება ელექტრობაზრის ვებგვერდზე:

WWW. GWEM.ORG.GE

# უმაღლესი განათლების ეროვნული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის რეკომენდაციები

*მოულოდნელი იმაში არაფერია, რომ უმაღლესი განათლების რეფორმა წინააღმდეგობებით მიმდინარეობს - უნივერსიტეტებში იქმნება "რეფორმის გუნდები" და, მეორე მხრივ, რეფორმის საწინააღმდეგო გაერთიანებები; უმაღლესი სკოლების გარკვეულ ნაწილში ხორციელდება მართვის ევროპული მოდელის შესაბამისი სტრუქტურული რეორგანიზაცია, ნაწილი შორიდან აკვირდება მოვლენებს, ნაწილი კი შეფარულად ცვლილებების გზას დაადგა, რაც ხელს უშლის მართვის ჰორიზონტალური მექანიზმების შექმნას და პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობას საკვალიფიკაციო მოდელის და კურიკულუმის ჩამოყალიბებაში. უმეტეს შემთხვევაში, რეფორმის წინააღმდეგ მიმართული ქმედების მიზეზია საკუთარი არჩევნისა და უნივერსიტეტების თანამშრომელთა შიში გაურკვეველი მომავლის გამო.*

**დალი კუპრავა**

3 და 4 ივნისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა ეროვნული სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია - "უმაღლესი განათლების ხარისხის მართვა-აკრედიტაცია". აღნიშნული ღონისძიება განხორციელდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით, აგრეთვე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხარდაჭერით. პროექტის ავტორი და დირექტორია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკრედიტაციის კონსულტანტი, პროფესორი ბელა გოძელაძე.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი რამაზ ხუროძე. საქართველოს უნივერსიტეტებში მიმდინარე ცვლილებების შესახებ ისაუბრეს თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, თელავის, ცხინვალისა და სხვა უნივერსიტეტების რექტორებმა, პრორექტორებმა, დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა და ხარისხის მართვის სტრუქტურების ხელმძღვანელებმა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების ინსტიტუტები აღიარებენ ბოლონიის დეკლარაციის პრინციპებს და გაცნობიერებული აქვთ, რომ 2010 წლისათვის საქართველო უნდა ჩაერთოს ევროპული უმაღლესი განათლების ერთიან სივრცეში. აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტებმა უნდა შეძლონ საკუთარი სტრატეგიის ჩამოყალიბება, სწავლა-სწავლებისა და კვლევების პრიორიტეტების დადგენა, საკუთარი რესურსების განაწილება, საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) შემუშავება და, ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით, სტუდენტების მიღების საკუთარი კრიტერიუმების დაწესება.

კონფერენცია საჭიროდ მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტებმა რაც შეიძლება მცირე დროში შექმნან ევროპულ სისტემასთან თავსებადი ეროვნული საკვალიფიკაციო მოდელი, ხოლო საგანმანათლებლო ტრადიციებზე დაყრდნობით, მრავალფეროვანი პროგრამების, ეროვნული კონტექსტისა და ევროპული სტრუქტურის მოდულების შექმნა, ხელს შეუწყობს ეროვნული აკადემიური ხარისხების განვითარებას. ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებთან ინტეგრირებულად განხორციელებული პროგრამები და აკადემიური ხარისხები განათლების ევროპულ სივრცესთან შეერთების საუკეთესო საშუალებაა.

კონფერენციამ უმაღლეს სასწავლებლებს მოუწოდა, რომ უფრო გამჭვირვალე გახადონ ინსტიტუციური მართვის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოდულების შექმნის პროცესი და ხელი შეუწყონ ამ საქმეში პროფესორ-მასწავლებელთა ფართო ფენებისა და სტუდენტების ჩართვას, და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ყველასათვის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის შექმნას.

კონფერენციაზე ხაზი გაესვა განათლებისა და კვლევის კავშირს. საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს კვლევისა და უმაღლესი განათლების ურთიერთდამოკიდებულება, გამოყოს შესაბამისი დაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს კვლევაზე დაფუძნებულ, ეროვნულ უმაღლეს განათლებასა და კვლევის ევროპულ სივრცეებს შორის კავშირის გაძლიერებას. კონფერენცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტების კვლევაზე დაფუძნებულ სწავლა/სწავლებაში მონაწილეობას ყველა დონეზე. სტუდენტები უმაღლესი განათლების მართვის სრულუფლებიანი პარტნიორები არიან, უნდა გაიზარდოს სტუდენტური ორგანიზაციების კონსტრუქციული მონაწილეობა ინსტიტუციური მართვის ყველა სფეროში, რადგან რეფორმის პროცესში ყველა პარტნიორის აქტიური მონაწილეობის გარეშე, გრძელვადიანი წარმატება მიღწეული ვერ იქნება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ არსებული ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, სტუდენტებმა მოცემულ დროში პროგრამის წარმატებით რეალიზაცია შეძლონ. იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები არ განიხილებიან, როგორც მხოლოდ საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლები, ეროვნული მთავრობის მოვალეობაა, რეალურად უზრუნველყოს უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყოველი მოქალაქისათვის, მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა. ამასთან, საჭიროა ეროვნული პოლიტიკა განვითარდეს იმ მიმართულებით, რომ უმაღლესი განათლების ინსტიტუტებმა უზრუნველყონ სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში წინა განათლების აღიარებით.

გამომდინარე იქედან, რომ ბოლონიის პროცესი ხარისხის უზრუნველყოფას მთავარ საკითხად განიხილავს, კონფერენციამ ეროვნული უმაღლესი განათლების რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტად შიდა და გარე, ანუ ინსტიტუციური და სახელმწიფო აკრედიტაციის სტრუქტურების განვითარების საკითხი მიიჩნია. იგი მხარს უჭერს უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ფართო ავტონომიაზე დაფუძნებულ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, ავტონომიას, რომელიც გულისხმობს უდიდეს პასუხისმგებლობას სწავლა/სწავლებისა და კვლევის ხარისხის მართვის კულტურის განვითარებაზე. უნივერსიტეტები უფლებამოსილნი არიან, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტების აქტიური მონაწილეობით თვითვე შეაფასონ საკუთარი მოღვაწეობის ყველა სფერო, ხოლო აკრედიტაციის სახელმწიფო სტრუქტურები მოწოდებულნი არიან, ამოწმებდნენ უნივერსიტეტების შიდა მონიტორინგის ეფექტურობას, ადგენდნენ ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტებს და ამ უკანასკნელთა დონის თანდათანობითი ამაღლების გზით ხელს უწყობდნენ მათ საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას.

უმაღლესი განათლება, როგორც საზოგადოებრივი დოვლათი, არის და რჩება საზოგადოებრივ პასუხისმგებლობად. კონფერენციამ აირჩია უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც განახორციელებს შიდა და გარე აკრედიტაციის სტრუქტურების მოღვაწეობის მონიტორინგს და წელიწადში ერთხელ, უნივერსიტეტების ინსტიტუციური მართვისა და სახელმწიფო სააკრედიტაციო სტრუქტურების ხარისხის მართვის კულტურის განვითარების საკითხებზე თავის შეხედულებებს საზოგადოებას მიაწვდის.

კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ შემუშავებულმა რეკომენდაციებმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში უმაღლესი განათლების შესახებ კანონის რეალიზაციას, ეროვნული უმაღლესი სკოლის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან გაერთიანებასა და ბოლონიის პროცესში საქართველოს წარმატებულ ჩართვას.

*პოლემიკა*

# ყოფნა, არყოფნა...

შევეცდები პასუხი გავცე ღია წერილს, რომელიც, გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა (24.02.2005). წერილის ავტორებმა დიდი ხანია, რეალობის გრძნობა დაკარგეს. ამიტომ მოლას დღეში არიან, ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით – მოლამ სინამდვილეში დაიჯერა, რასაც ლაპარაკობდა, მათ კი სიცრუე იარაღად აქციეს და ქვეყნის უმაღლეს ორგანოებს მიმართეს წერილით, რომელშიც, მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტების ერთ მარცვალსაც კი ვერ იპოვით, მაინც სჯერათ, რომ ადრესატს დაარწმუნებენ.

ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომლებმა ვ. ჯანაშვილმა, გ. ქიმერიძემ და ლ. სიგუამ საკადრისი და ამომწურავი პასუხი გასცეს სიცრუით აღსავსე წერილის ავტორებს კონკრეტული მონაცემების განხილვის გზით (იხილეთ გაზეთი "24 საათი" 23.03.2005).

ამ მონაცემების თანახმად, 24 ხელმომწერ ასტრონომ მეცნიერ-თანამშრომელს 1994 წლიდან გამოქვეყნებული ჰქონიათ მხოლოდ 119 (ასცხრამეტი) სტატია ასტრონომიულ რიგით გამოცემებში, 19 (ცხრამეტი) სტატია დაბალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში და 6 (ექვსი) სტატია - მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში. ეს სტატიები ციტირებულია მხოლოდ 23-ჯერ. ამგვარად, საშუალოდ, ერთ თანამშრომელს ათი წლის განმავლობაში გამოუქვეყნებია ხუთი სტატია რიგით გამოცემებში და მხოლოდ ერთი - იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში. საშუალოდ ერთი მეცნიერ-თანამშრომლის მიერ გამოქვეყნებული ეს ექვსი სტატია ციტირებული ყოფილა მხოლოდ ერთხელ. ობსერვატორიის დირექტორის რ. კილაძის მიერ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიები კი არც ერთხელ არაა ციტირებული.

იმავდროულად, თეორიული პლაზმის ასტროფიზიკის ცენტრის ერთი თანამშრომლის მიერ საშუალოდ გამოქვეყნებული 30 სტატია 110-ჯერ არის ციტირებული. გამოდის, რომ აბასთუმნის ობსერვატორიაში აქტიურად მუშაობენ ფიზიკოსები და არა ასტრონომები. ასტრონომების სამეცნიერო საქმიანობა კი, პრაქტიკულად, ნულს უტოლდება. ამიტომ, ძირშივე მცდარია მათი გამონათქვამი: "რატომ უნდა მოხდეს ორი ყველაზე აქტიურად მომუშავე, დამოუკიდებელი თემატიკის მქონე ინსტიტუტის გაერთიანება" (იგულისხმება ობსერვატორია და ფიზიკის ინსტიტუტი), რადგან, როგორც გავარკვიეთ, ორივე ინსტიტუტში აქტიურად ფიზიკოსები მუშაობენ და არა ასტრონომები.

ე. ჯანიაშვილმა, გ. ქიმერიძემ და ლ. სიგუამ დაითვალეს, აგრეთვე, უცხოელ ასტრონომთა სამეცნიერო სტატიებისა და მათი ციტირების რაოდენობა, რომელიც შესაბამისად ტოლია 70-ისა (სამოცდაათი) და 135-ის (ასოცდათხუთმეტი). ზოგიერთი მათგანის შრომების ციტირების რაოდენობა 350-საც (სამასორმოცდაათი) აღწევს და ზოგიერთისა - 2300-საც (ორიათას სამასი) კი უტოლდება! აქვე დავძენთ, რომ ცნობილი ქართველი ფიზიკოსის გია დვალის მიერ გამოქვეყნებული შრომები 5000-ჯერ (ხუთიათასი) არის ციტირებული წამყვან საერთაშორისო გამოცემებში.

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე ე. ჯანიაშვილმა, გ. ქიმერიძემ და ლ. სიგუამ სამართლიანად დაასკვნეს, რომ "ზემოხსენებულ წერილზე ხელომწერ, ობსერვატორიის ოცდაოთხ ასტრონომ მეცნიერ-თანამშრომელთა ძირითადი ნაწილი დაბალი დონის სამეცნიერო საქმიანობას ეწევა, რომელსაც არავითარი სამეცნიერო ღირებულება არ გააჩნია ასტრონომიული საზოგადოებისათვის!"

ვიზიარებ რა ამ დასკვნას, მიჩნდება კითხვა – ვინ და რა მიზნით გაუხსნა ხელ-ფეხი აბასთუმნის ობსერვატორიის ამ ხელმოცარულ ასტრონომებს, თუ თითოეულ მათგანს საშუალოდ მხოლოდ ექვსი გამოქვეყნებული სტატია და ერთი მითითება გააჩნია ბოლო ათი წლის მანძილზე? რა საერთო გამონახა მათთან თეორიული პლაზმური ასტროფიზიკის ცენტრის თანამშრომელთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც აგრეთვე ხელს აწერს წერილს? ისინი ხომ ადრე გამოქვეყნებულ ღია წერილში, რომელიც "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გარდაქმნის კანონპროექტს" ეხებოდა, წერდნენ: "რეფორმის პროექტის შედგენაში უნდა მონაწილეობდნენ მხოლოდ აქტიურად მოქმედი მეცნიერები, ანუ ისინი, ვისაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ ხუთი ან მეტი სამეცნიერო ნაშრომი მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში. მთავრობა სწორედ მათ გამოცდილებასა და შეხედულებებს უნდა დაეყრდნოს რეფორმის ძირითადი პრინციპების შერჩევისას."

განა რომელიმე ამ ასტრონომს გააჩნია ხუთი სტატია მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში? რა თქმა უნდა, არა! ყველა ამ 24 ასტრონომს მხოლოდ ექვსი სტატია გამოუქვეყნებია ხუთი წლის განმავლობაში მსგავს ჟურნალებში, ანუ საშუალოდ ერთ ასტრონომს გამოუქვეყნებია მხოლოდ ერთი სტატია ოთხ წელიწადში.

რატომ დაავიწყდათ ფიზიკოსებს ეს ფაქტი? ან, იქნებ არ სმენიათ ხელმომწერ ასტრონომთა სამეცნიერო მუშაობის დაბალი დონის თაობაზე? ღია წერილზე კიდევ 24 მომსახურე პერსონალის ხელმოწერას რა აზრი ჰქონდა? უფრო მეტიც, თუ ობსერვატორია მართლაც რთული ორგანიზმია და მისი მართვა დარგის სპეციფიკის ღრმა ცოდნას მოითხოვს, როგორც ამას ხელმომწერი ასტრონომები და ფიზიკოსები წერენ, მაშინ გაუგებარია, როგორ მართავენ ობსერვატორიას და, თანაც, დისტანციურად, თბილისიდან რ. კილაძე და გ. სალუქვაძე, რომელთაც ერთი სამეცნიერო სტატიაც კი არ გააჩნიათ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო ჟურნალებში. გარდა ამისა, იციან თუ არა ფიზიკოსებმა, რომ არც ერთი ასტრონომი წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს? თუ ფიზიკოსებმა არც ის იციან, რომ ობსერვატორიას არასოდეს არ გააჩნდა, მათი თქმით, "უნიკალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა" და რაც გააჩნია, ისიც არ არის ათვისებული და გამოყენებული სათანადოდ, მაშინ რატომ აქვთ მათ ობსერვატორიის რეორგანიზაციის საკითხებში მონაწილეობის პრეტენზია?! იქნებ სჯობდა, რომ ჯერ ხსენებულ საკითხებში გარკვეულიყვნენ და მხოლოდ მერე დაესვათ ხელმოწერები აბსურდული შინაარსის წერილზე.

თუ ასტრონომებს ასეთი ცრუ და ზერელე წერილის დაწერა და ხელმოწერა შეუძლიათ, მაშინ საკითხავია, რამდენად შეიძლება ვენდოთ მათ მიერ გამოქვეყნებულ "სამეცნიერო სტატიებს" დაბალი დონის გამოცემებში, სადაც რედაქტორისა და რეფერის როლებს თვითონ ასრულებენ? ჩნდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კითხვა იმის თაობაზე, თუ რატომ არ გახდა წერილის შინაარსი ფართო მსჯელობის საგანი ობსერვატორიაში, მთა ყანობილზე? რატომ დაიბეჭდა იგი ისე სასწრაფოდ, რომ ხელმოწერების შესახებ მრავალი შენიშვნა მაშინვე დაურთეს?

თუ მხოლოდ თეორიული პლაზმის ასტროფიზიკის ცენტრის ფიზიკოსების საქმიანობა განსაზღვრავს ობსერვატორიის სამეცნიერო მუშაობის შედეგიანობას, მაშინ რა აზრი აქვს ობსერვატორიის დამოუკიდებლობის ასეთ ფორმას. ატესტაციისას ინსტიტუტების საქმიანობა უნდა ფასდებოდეს, პირველ რიგში, დაწესებულების ძირითადი პროფილის განმსაზღვრელი დარგის წარმომადგენელთა სამეცნიერო მუშაობით.

იმის გამო, რომ სამეცნიერო საბჭოს წევრი ფიზიკოსები ვერ ერკვევიან ასტრონომთა სამეცნიერო საქმიანობაში და მთა ყანობილზე მიმდინარე პროცესებში, ხოლო სამეცნიერო საბჭოს არც ერთი წევრი ასტრონომი არ აკმაყოფილებს წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს (რაც მეცნიერებათა აკადემიის მოქმედი დებულებით მტკიცედ მოითხოვება), უდავოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამეცნიერო საბჭოს ყოველი გადაწყვეტილება ბათილად უნდა იქნას ცნობილი და ღია წერილზე ხელმომწერთა ფრაზას – "სამეცნიერო საბჭოს აბსოლუტური უმრავლესობა" – არავითარი აზრობრივი დატვირთვა არ გააჩნია. არ უნდა ვენდოთ ისეთ უმრავლესობას, რომელსაც არ სურს გაიგოს, რომ სამეცნიერო ინსტიტუტების გაერთიანება აკადემიის ინიციატივით კი არ ხდება, არამედ მთავრობის დავალებით ხორციელდება, მსგავსად უნივერსიტეტში კათედრების შეერთებისა, და ეს პროცესი ბუნებრივია, თუ ამ დაწესებულებებში დაბალი კვალიფიკაციის მქონე მრავალი პირის არსებობას გავითვალისწინებთ.

აღსანიშნავია, რომ ობსერვატორიის დირექციისა და ხელმოცარულ ასტრონომთა მსგავსი საქმიანობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი ორგანოების უმოქმედობამ. მათ თავის დროზე არ მიიღეს გადამჭრელი ზომები ობსერვატორიის დირექციის უგუნური თარეშის აღსაკვეთად. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, აგრეთვე, აკადემიის მიერ მიღებულმა სანიმუშო წესდებამ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება. 353 2003 წლის 16 ივლისი), რომელიც, ძირითადად, სამეცნიერო და საორგანიზაციო თანამდებობების დაკავების წესს განსაზღვრავს. დაბალი მოთხოვნების გამო იგი ხელს უწყობს ატესტაციის პროცესის ზერელედ ჩატარებას, გაყალბებასა და საბოლოოდ ჩაშლას. სანიმუშო წესდება უნდა უზრუნველყოფდეს სამეცნიერო თანამდებობებზე აქტიურად მოღვაწე მეცნიერთა დაწინაურებას და არა გაუგებარი პრინციპებისა და გამონაკლისების დაშვებით აღრმავებდეს ქართული მეცნიერების კრიზისს.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ასტრონომიისა და ასტროფიზიკის სპეციალობით დისერტაციების დაცვის დაბალი მოთხოვნები. ისინი ხშირ შემთხვევაში სადიპლომო ნაშრომის დონეს შეესაბამებიან და მხოლოდ საშუალო სკოლის განათლებას მოითხოვენ. წარმოიდგინეთ, სადოქტორო დისერტაცია ისე შეიძლება დაიცვას მეცნიერმა, რომ რამდენიმე ათეული მითითებაც კი არ გააჩნდეს წამყვან სამეცნიერო გამოცემებში. უფრო მეტიც, თურმე აკადემიის წევრიც კი შეიძლება გახდე ისე, რომ არც შრომა და არც ციტირება გაგაჩნდეს წამყვან საერთაშორისო გამოცემებში. ობსერვატორიის დირექტორი რ. კილაძე, რომელიც 1987 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, ამისი ცოცხალი მაგალითია.

აღვნიშნავ, აგრეთვე, რომ დაუშვებელია მეცნიერთა განურჩევლად ლანძღვა, თუმცა დროა, მათი რიგები დატოვონ იმ პირებმა, რომლებიც მშრომელი ხალხის ხარჯზე წლების განმავლობაში უდარდელად ცხოვრობენ და მეცნიერებისათვის, ზიანის მეტი, არა მოაქვთ რა. მსგავსი ჯურის საქმოსან-მეცნიერთა დამკვიდრებამ ქართულ მეცნიერებაში საბოლოოდ დასცა მეცნიერთა ავტორიტეტი ქართველი ხალხის თვალში, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ისინი ბაზრობების ვაჭართაგან არაფრით განსხვავდებიან. ქართული მეცნიერებისა და მეცნიერთა ბედს უნდა განსაზღვრავდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც მაღალი სამეცნიერო მაჩვენებლები გააჩნია, პუბლიკაციებისა და ციტირებების ოდენობის თვალსაზრისით, წამყვან საერთაშორისო გამოცემებში.

ობსერვატორიის პრესტიჟის ასამაღლებლად სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში მეცნიერთა ერთი ჯგუფი ფიზიკის ინსტიტუტიდან სპეციალურად იქნა გადმოყვანილი ობსერვატორიის ქალაქის ლაბორატორიაში. ამჟამად ეს პროცესი ორგანულად ხორციელდება და ფიზიკის ინსტიტუტთან გაერთიანება ასტროფიზიკური გამოკვლევების გაღრმავებას ხელს შეუწყობს. სხვაგვარად, ობსერვატორიის დამოუკიდებელი არსებობა, ასტრონომთა დაბალი სამეცნიერო დონის გამო, განწირულია.

ობსერვატორიის დამოუკიდებელ დაწესებულებად შენარჩუნება და მისი ავტორიტეტის ამაღლება ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუ: დაუყოვნებლივ აირჩევა სამი ისეთ მეცნიერისგან შემდგარი დირექტორატი, რომელთაც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში 15 შრომა და 60 მითითება მაინც გააჩნიათ მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში; ობსერვატორიას მიენიჭება "საქართველოს ეროვნული ობსერვატორიის" სტატუსი; გამოიყოფა ათი მილიონი დოლარი სახელმწიფო ან კერძო სექტორიდან ახალი, სამმეტრიანი სარკის მქონე ტელესკოპის შესაძენად და საუნივერსიტეტო განათლების მქონე ხუთი პერსპექტიული ახალგაზრდა ასტრონომის მოსამზადებლად დასავლეთის წამყვან დაწესებულებებში; დაფუძნდება სახელმწიფო საბჭო წამყვან ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შემადგენლობით, რომელიც შეიმუშავებს ობსერვატორიის უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში განვითარების პროექტს და ძირითად სამეცნიერო მიმართულებებს დასახავს.

*ობსერვატორიის თანამშრომელი*
*ო. კურტანიძე*

*საბიუჯეტო მონიტორინგი*

**EPRC**
Economic Policy and Research Center
ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრი
0179, თბილისი, საქართველო, ... ქ.1/6
ტელ/ფაქსი (995 32) 92 25 51 www.eprc.ge

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

# მოსალოდნელია სერიოზული ეკონომიკური რყევები?!

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლების წლიური გეგმა (მლნ ლარი) | 788.38 | 802.79 | 199.54 | 468.20 | 136.65 | 307.39 | 2712.87 |
| შემოსავლების 5 თვის გეგმა | 284.99 | 291.96 | 109.82 | 208.05 | 9.46 | 252.31 | 1156.59 |
| [illegible] (მლნ ლარი) | 329.91 | 296.56 | 123.30 | 212.21 | 14.41 | 96.17 | 1072.55 |
| [illegible] | 116% | 102% | 112% | 102% | 152% | 38% | 93% |
| [illegible] (მლნ ლარი) | 44.92 | 4.60 | 13.48 | 4.16 | 4.95 | -156.14 | -84.04 |
| [illegible] (მლნ ლარი) | 458.59 | 506.23 | 76.24 | 256.00 | 122.24 | 221.22 | 1,640.32 |




ერთი კვირის წინ უკვე ვწერდით, რომ ხაზინა ბოლო პერიოდის მანძილზე ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისთვის ინფორმაციის მოწოდებას სამი კვირის მანძილზე დაბეჯითებით გაურბოდა, რამაც გარკვეული ეჭვები გააჩინა კიდეც.

ჩვენი დაჟინებული მოთხოვნის შემდგომ, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურმა აღგვიდგინა ინფორმაციის მოწოდება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. შესაბამისად, დღეს უკვე შესაძლებელია უფრო დეტალური ანალიზის და კონკრეტული ციფრების წარმოდგენა.

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 5 თვის მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულია 976,38 მლნ ლარი. აქედან, 626,47 მლნ - საგადასახადო შემოსავლებზე, ხოლო 123,3 - არასაგადასახადო შემოსავლებზე მოდის.

პრივატიზაციიდან შემოსულმა შემოსავალმა 212,2 მლნ ლარი შეადგინა. მაისის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში 151,6 მლნ ლარის მობილიზება მოხერხდა, რაც გასული წლების ამავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, გაუმჯობესებულია.

რაც შეეხება ხარჯების ნაწილს - 5 თვის მონაცემებით, 888 მლნ ლარის ხარჯია გაწეული, ხოლო 184,5 მლნ ლარი კი ამჟამად ხაზინის ანგარიშზე ინახება.

ერთის მხრივ, თუ შემოსავლების მაჩვენებელს სახელმწიფო ბიუჯეტის 5 თვის გეგმას შევადარებთ, სადაც შემოსავლების გეგმად 904 მლნ ლარია განსაზღვრული, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემოსავლები გადაჭარბებით არის მობილიზებული.

მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ წლის პირველი ნახევრის გეგმა (ექვსი თვე) არის 1 მილიარდ 484 მლნ ლარი, ნათელი გახდება, რომ პირველი ხუთი თვის შემოსავლების გეგმა საკმაოდ შემცირებულია, რადგან ამ გეგმის შესასრულებლად ივნისის თვეში დამატებით 500 მლნ ლარის მობილიზება და თითქმის 600 მლნ ხარჯის გაწევა უნდა მოხდეს - ეს ყველაფერი კი ეკონომიკურ კანონზომიერებაში აშკარად ვერ ჯდება და უფრო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება.

ამ გეგმის შესრულება და შესაბამისი ხარჯის გაწევა შესაძლებელიც რომ გახდეს, ცენტრის ექსპერტების აზრით, ეს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან რყევებს გამოიწვევს.

ამიტომ, ცენტრის ექსპერტები ფინანსთა სამინისტროს გონივრული პოლიტიკის განხორციელებისკენ მოუწოდებენ, რადგანაც სტატისტიკა ქვეყნისთვის არცთუ სახარბიელოა: სახელმწიფო ბიუჯეტის წლის პირველი ნახევრის გეგმის შესასრულებლად დარჩენილია 22 სამუშაო დღე, შესრულებულია წლის პირველი ნახევრის გეგმის 60 პროცენტი და ამოსაღებია 500 მლნ ლარი.

# რუსეთი საერთაშორისო არენაზე პროპაგანდის გაძლიერებას გეგმავს

ოფიციალური მოსკოვი ახალი "პიარ" შეტევისთვის ემზადება. ყოველ შემთხვევაში, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს კრემლის ახალი პროექტი, რომლის მიზანია რუსული პოლიტიკის პროპაგანდისთვის ახალი ინგლისურენოვანი ტელევიზიის შექმნა. როგორც იტყობინებიან, ტელეარხისთვის სპეციალისტთა მოძიება უკვე დაწყებულია. სარეკლამო განცხადება გავლენიან ბრიტანულ გამოცემა "გარდიანშიც" კი იყო დაბეჭდილი.

ტელეარხ Russia Today-ის (რუსეთი დღეს) ცქერა 24 საათის განმავლობაში იქნება შესაძლებელი რუსეთის, ევროპის, ამერიკისა და აზიის ნებისმიერ წერტილში.

როგორც yahoo.com-ზე განთავსებული პრეს-რელიზიდან ირკვევა, ახალი თანამგზავრული ტელეარხის დანიშნულებაა მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქება მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან; ასევე, ტელეარხი შეეცდება, ასახოს რუსეთის პოზიცია საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე და გაავრცელოს ინფორმაცია რუსეთის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებაც. აშკარაა, კრემლის მისწრაფება – იგი ცდილობს, CNN-ის ალტერნატივა შექმნას.

რუსული სააგენტო "პოლიტ.რუ" ავრცელებს ინფორმაციას, რომ ახალი ტელეარხის დამფუძნებელი საინფორმაციო სააგენტო "რია ნოვოსტი" იქნება. მთავარ რედაქტორად უკვე დანიშნულია ტელეარხ "როსია"-ს სპეციალური კორესპონდენტი მარგარიტა სიმონიანი. საგულისხმოა, რომ კრემლიდან აღნიშნული პროექტის განხორციელებას აკონტროლებენ პრეზიდენტის პრესმდივანი ალექსეი გრომოვი და პრეზიდენტის მრჩეველი მიხაილ ლესინი. პროექტის განხორციელებაში, ასევე, ჩართულია რუსეთის სახელმწიფო ტელერადიო კორპორაციაც - კერძოდ, პროექტის ერთ-ერთი კურატორია საინფორმაციო პროგრამების დირექციის დირექტორის მოადგილე დმიტრი მედნიკოვი.

ახალ ტელეარხზე სამუშაოდ, უპირატესად, უცხოელებს იწვევენ – თანამშრომელთა 80 პროცენტს, სავარაუდოდ, სწორედ ისინი შეადგენენ. სააგენტო "გრანი"-ს თქმით, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ რუსეთში ძალიან ცოტაა ასეთი პროდუქტის საერთაშორისო ასპარეზზე გავრცელების სპეციალისტი.

*24 საათი*

# შენგენი და სქესობრივი უმცირესობები - რეფერენდუმი შვეიცარიაში

ხათუნა გაბიევი




5 ივნისს შვეიცარიაში გამართულ რეფერენდუმზე მოსახლეობას ერთდროულად ორი საკითხის გადაწყვეტა მოუწია - საყოველთაო კენჭისყრაზე გამოტანილი იყო ჰომოსექსუალური წყვილების ლეგალიზაციისა და შენგენის ხელშეკრულებისთვის ქვეყნის მიერთების საკითხები. რეფერენდუმის ჩატარებამდე, რასაკვირველია, ჩატარდა წინასწარი სოციოლოგიური გამოკითხვაც. სოციალური კვლევების ინსტიტუტის ხელთ არსებული მონაცემებით, "შენგენის ზონაში" შესვლის მომხრეთა პროცენტული მაჩვენებელი პლებისციტამდე 52 იყო, ხოლო ჰომოსექსუალთა ოფიციალური ქორწინების მხარდამჭერთა რაოდენობა - 60 პროცენტი.

მიუხედავად იმისა, რომ კონფედერაციის აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პარლამენტს ორმხრივი შეთანხმების პაკეტი უკვე დამტკიცებული ჰქონდა, რეფერენდუმი, "შვეიცარიის მემარჯვენე სახალხო პარტიის" მოთხოვნით, მაინც გაიმართა. ეს უკანასკნელი "შენგენ-დუბლინის" ხელშეკრულების წინააღმდეგი იყო. უკეთ განმარტებისათვის, ორმხრივი შეთანხმების პაკეტი შვეიცარიის ევროკავშირთან თანამშრომლობას შენგენისა და დუბლინის ხელშეკრულებების ფარგლებში ითვალისწინებს. კონფედერაციის ხელისუფლების მტკიცებით, "შენგენ-დუბლინის" ხელშეკრულებებთან მიერთება დანაშაულისა და არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე დადებითად აისახება. შენგენის ზონაში შესვლა მიმოსვლას უფრო გაამარტივებს, ხოლო დუბლინის ხელშეკრულება შვეიცარიისათვის ხელმისაწვდომს გახდის "ევროდაქ"-ის მონაცემთა ბაზას, სადაც არალეგალურ იმიგრანტთა თითის ანაბეჭდები ინახება.

რაც შეეხება რეფერენდუმზე გატანილ მეორე საკითხს, ჰომოსექსუალური წყვილების ლეგალიზება ჰეტეროსექსუალებთან გათანაბრებას არ გულისხმობს – უბრალოდ, ისინი გადასახადებისა და დაზღვევის სფეროებში ისეთივე უფლებებით ისარგებლებენ, როგორც ტრადიციული ქორწინებით შეუღლებული წყვილები. უნდა აღინიშნოს, რომ, ახალი კანონით, ბავშვების აყვანის, ასევე - ხელოვნურად განაყოფიერების უფლება ჰომოსექსუალურ წყვილებს მაინც არ ექნებათ.

რეფერენდუმის შედეგების თანახმად, შვეიცარიის მოსახლეობის 55-მა პროცენტმა მხარი დაუჭირა ქვეყნის "შენგენის ზონაში" შესვლას, ხოლო ელექტორატის 58 პროცენტი არატრადიციული კავშირების ლეგალიზების მომხრე აღმოჩნდა.

დღემდე "შენგენის ზონაში" შედიოდა: ავსტრია, ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ისლანდია, იტალია, საბერძნეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი და შვედეთი. დღეიდან მათ რიცხვს შვეიცარიაც შეემატება.

რაც შეეხება იმ ევროპულ სახელმწიფოებს, რომლებსაც ლეგალიზებული ჰქონდათ არატრადიციული კავშირები, ერთ-ერთი უკანასკნელი, რომელმაც მიიღო ასეთი კანონი, გერმანია იყო.

# პალესტინაში საპარლამენტო არჩევნები გადაიდო

*მაჰმუდ აბასმა საპარლამენტო არჩევნების ჩატარება გაურკვეველი ვადით გადადო, რითაც რადიკალური ისლამისტური დაჯგუფება "ჰამასის" წარმომადგენლების აღშფოთება გამოიწვია - "ჰამასი" ხომ დაგეგმილ არჩევნებზე სერიოზული წარმატებისთვის ემზადებოდა.*



*მაჰმუდ აბასის გადაწყვეტილება არჩევნების გადადების შესახებ "ჰამასის" აღშფოთებას იწვევს.*

"პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურმა მაჰმუდ აბასმა მიიღო გადაწყვეტილება ბრძანებულების გაუქმების შესახებ, რომლის მიხედვითაც, საპარლამენტო არჩევნები 17 ივნისს უნდა ჩატარებულიყო", - ასეთი მშრალი განცხადება გაავრცელა 4 ივნისს პალესტინის ხელისუფლების პრესსამსახურმა.

ჯერჯერობით უცნობია, რა ვადით მოხდა არჩევნების გადადება. თუმცა, გუშინ ზოგიერთი სააგენტო იტყობინებოდა, რომ პალესტინის საკანონმდებლო ორგანოს შემოდგომის ბოლოს აირჩევენ. "(არჩევნების) ახალი თარიღს სპეციალური დეკრეტი დაადგენს მას შემდეგ, რაც სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან კონსულტაციები დასრულდება. გარდა ამისა, მანამდე პალესტინის საკანონმდებლო საბჭომ ახალი საარჩევნო კანონი უნდა მიიღოს", - აცხადებს პალესტინის ხელისუფლება.

ცხადია, აბასის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას უკმაყოფილებით შეხვდა "ჰამასის" დაჯგუფება. მათ სერიოზული განაცხადი გააკეთეს ადგილობრივი თვითმმართველობის ცოტა ხნის წინ დასრულებულ არჩევნებზე და ახლაც ანალოგიური წარმატების განმეორება ჰქონდათ განზრახული.

"ეს გადაწყვეტილება მიანიშნებს, რომ პალესტინის ხელისუფლება საკუთარი დაპირებების შესრულებას არასერიოზულად ეკიდება. გარდა ამისა, იგი არეულობისა და ძალადობის განახლების დიდ რისკსაც წარმოშობს, რომ არაფერი ვთქვათ პალესტინელი ხალხის უარყოფით კონტექსტში წარმოჩენაზე – ეს ხომ ამერიკისა და ისრაელის მოთხოვნის დამორჩილებას ნიშნავს არჩევნების გადადების შესახებ", - ამბობს "ჰამასის" ოფიციალური წარმომადგენელი სამი აბუ ზუჰრი.

მიუხედავად ამისა, რამალაში რადიკალი ექსტრემისტების აღშფოთება მხოლოდ და მხოლოდ "გაკვირვებას იწვევს. "ჩვენთვის მოულოდნელი იყო "ჰამასის" კატეგორიული ტონი მაჰმუდ აბასის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით... "ჰამასის" ეს ნეგატიური განცხადება პალესტინელთა ერთიანობას არ უწყობს ხელს", - ნათქვამია მმართველი პარტია "ფათჰის" მიმართვაში.

შეგახსენებთ, მიმდინარე წლის იანვარში "ჰამასმა" გამარჯვებას მიაღწია ღაზას სექტორში გამართულ მუნიციპალურ არჩევნებში. ხოლო გასულ თვეში არჩევნების მეორე ტურში ხუთი ქალაქიდან კიდევ ოთხში მოიპოვა წარმატება.

აქედან გამომდინარე, "ჰამასის" იმედები საპარლამენტო არჩევნებში მოსალოდნელ წარმატებასთან დაკავშირებით სულაც არ იყო საფუძველს მოკლებული. ასე რომ, "ფათჰის" პარტიის, თითქმის, 50-წლიანი მონოპოლიის დასასრული პალესტინის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჯერჯერობით გადაიდო. სხვათა შორის, ზოგიერთი მიმომხილველი არჩევნების გადადების რეალურ მიზეზებზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ პალესტინის ლიდერის მაჰმუდ აბასის (იგი "ფათჰის" ლიდერიცაა) გადაწყვეტილებას ეს ფაქტორი უფრო ედო საფუძვლად და არა - საარჩევნო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები.

*24 საათი*



ProCredit Bank — პროკრედიტ ბანკი

# დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

## ს/ს "პროკრედიტბანკის" აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს -

ჩვენ ჩავატარეთ ს/ს "პროკრედიტბანკის" ("ბანკი") თანდართული საბალანსო ანგარიშგების აუდიტი 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების აუდიტი ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია "ბანკის" ხელმძღვანელობა. ჩვენ გვევალება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება.

აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს აუდიტის ისეთი სახით დაგეგმვასა და ჩატარებას, რაც საშუალებას მოგვცემს, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს ტესტირების საფუძველზე მტკიცებულებების შემოწმებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შემოწმებას, აგრეთვე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტი იძლევა საკმარის საფუძველს ჩვენი მოსაზრებისათვის.

ჩვენი აზრით, ზემოთ მითითებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარია და სამართლიანად ასახავს "ბანკის" ფინანსურ მდგომარეობას 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2005 წლის 16 მარტი

**ხელმოწერა**: ERNST & YOUNG AUDIT LLC

| | შენიშვნები | 31 დეკემბერი, 2004 | 2003 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფული და ფულადი ეკვივალენტები | 4 | 37,831 | 16,681 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი | 5 | 11,563 | 11,508 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | | | |
| - გასაყიდად არსებული | | 50 | 50 |
| - დაფარვის ვადამდე ფლობილი | 6 | 2,222 | - |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | | 338 | - |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | 7 | 121,838 | 93,360 |
| საგადასახადო აქტივები | 8 | 543 | 181 |
| ძირითადი საშუალებები | 10 | 8,913 | 5,309 |
| არამატერიალური აქტივები | 11 | 247 | 38 |
| სხვა აქტივები | | 2,021 | 841 |
| **სულ აქტივები** | | 185,564 | 127,968 |
| **ვალდებულებები** | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 12 | 82,402 | 60,992 |
| ვალდებულებები მეანაბრეების მიმართ | 13 | 63,973 | 36,903 |
| ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ | 14 | 4,508 | 4,702 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 8 | - | 836 |
| სხვა ვალდებულებები | | 1,231 | 420 |
| **სულ ვალდებულებები** | | 152,114 | 103,853 |
| **მფლობელთა კაპიტალი** | 15 | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 28,000 | 20,000 |
| დამატებით შეტანილი კაპიტალი | | 225 | 225 |
| გაუნაწილებელი მოგება და რეზერვები | | 5,227 | 3,890 |
| **სულ მფლობელთა კაპიტალი** | | 33,452 | 24,115 |
| **სულ ვალდებულებები და მფლობელთა კაპიტალი** | | 185,566 | 127,968 |
| **პირობითი ვალდებულებები** | 16 | 16,713 | 16,728 |

| | შენიშვნები | 31 დეკემბრით დასრულებული წლები 2004 | 2003 |
|---|---|---|---|
| **საპროცენტო შემოსავალი** | | | |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | | 22,496 | 19,425 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი | | 417 | 535 |
| სხვა | | 252 | - |
| | | 23,165 | 19,960 |
| **საპროცენტო ხარჯი** | | | |
| ანაბრები | | 1,689 | 1,204 |
| ნასესხობები | | 3,958 | 3,077 |
| სხვა | | - | 111 |
| | | 5,647 | 4,392 |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | | 17,518 | 15,568 |
| საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივების გაუფასურების ხარჯი | 9 | 616 | 891 |
| | | 16,902 | 14,677 |
| საკომისიო შემოსავალი | | 2,157 | 2,530 |
| საკომისიო ხარჯი | | 442 | 639 |
| **წმინდა საკომისიო შემოსავალი** | | 1,715 | 1,891 |
| წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან: | | | |
| - სავაჭრო ოპერაციებიდან | | 1,990 | 1,231 |
| - საკურსო სხვაობებიდან | | (535) | (149) |
| სხვა შემოსავალი | | 809 | 729 |
| **არასაპროცენტო შემოსავალი** | | 2,264 | 1,811 |
| ხელფასები და სხვა თანამშრომელთა სხვა სარგებელი | 17 | 8,622 | 6,544 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 10, 11 | 1,316 | 1,039 |
| ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები | 17 | 8,532 | 6,774 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებიდან მიღებული ზარალი | | 187 | - |
| ხარჯი გაუფასურების სხვა ანარიცხებსა და რეზერვზე | 9 | 234 | 134 |
| **არასაპროცენტო ხარჯი** | | 18,891 | 14,491 |
| **დასაბეგრი მოგება** | | 1,990 | 3,888 |
| ხარჯი მოგების გადასახადზე | 8 | 653 | 813 |
| **წმინდა მოგება** | | 1,337 | 3,075 |

| აქციონერები | % |
|---|---|
| საერთაშორისო მიკრო ინვესტიციები AG ("IMI") | 39.0% |
| საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია ("IFC") | 16.0% |
| რეკონსტრუქციის ბანკი ("KfW") | 12.9% |
| IPC | 12.9% |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი („EBRD") | 10.0% |
| კერძო სექტორის განვითარების ხელშემწყობი გერმანულ-ქართული ფონდი („GGF") | 7.1% |
| კომერცბანკი | 2.1% |
| **სულ** | 100.0% |

# პრობლემა - ტექნიკური საშუალებები

"საქართველოს სურვილი, აზერბაიჯანიდან წელიწადში 3 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მიიღოს, არარეალურია, რადგან ამისთვის ტექნიკური საშუალებები არ არსებობს," - განუცხადა სააგენტო "ტრენდს" დახრული სააქციო საზოგადოება "აზერიგაზის" ვიცე-პრეზიდენტმა ნაზიმ სამედზადემ. მისი თქმით, გარადაღი-თბილისის გაზსადენი 1970-80 წლებშია აშენებული და 25 წელია, მოქმედებს. რუსეთიდან 5,5 მლრდ კუბმეტრი ბუნებრივი აირის იმპორტისათვის მაგისტრალურ გაზსადენზე, საქართველოს საზღვრამდე, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები და ამჟამად აირის ტრანსპორტირება წარმატებით ხორციელდება. "ჩვენ შეგვიძლია საქართველოს 12-14 ატმოსფერო წნევით დღე-ღამეში 1,5 მლნ კუბმეტრი აირი მივაწოდოთ, ამიტომაც საქართველოში 3 მლრდ კუბმეტრი აირის ექსპორტირება წელიწადში, არარეალურია", - მიაჩნია მას. გარდა ამისა, როგორც სამედზადემ აღნიშნა, არსებობს აზერბაიჯანის შიდა მოთხოვნილება 22-23 მლნ კუბმეტრ აირზე დღე-ღამეში. "აზერიგაზის" ვიცე-პრეზიდენტის ცნობით, საქართველოში დღე-ღამეში 600 მლნ კუბმეტრი აირის ექსპორტირებისთვის აუცილებელია რიგი სამუშაოების ჩატარება. კერძოდ, საკომპრესორო სადგურების აღდგენა აღდაშესა და განჯიქაბულში, რაც დამატებით სახსრებს მოითხოვს. **პრაიმ-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** 6 ივნისიდან ქართულ ბაზარზე გერმანული ავიაკომპანია "დოიჩე ლუფტჰანზა" შემოვა. ავიაკომპანია თბილისი-მიუნჰენის მიმართულებით რეისებს კვირაში სამჯერ - ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს შეასრულებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყაზახეთიდან საქართველოში ხორბლის იმპორტი 5 მილიონი ტონით გაიზრდება. ამის შესახებ ყაზახეთის პრემიერ-მინისტრმა დანიელ ახმედოვმა შაბათს, ფოთში სტუმრობისას განაცხადა. ამჟამად საქართველოში ყაზახეთიდან 2 მილიონი ტონა ხორბლის იმპორტი ხორციელდება. დანიელ ახმედოვმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა შაბათს ფოთის პორტი, აკვატორია და ტერმინალი დაათვალიერეს. ყაზახეთის მხარე ფოთის პორტის ხორბლის გადამამუშავებელი ტერმინალით დაინტერესდა და იქ თანხის დაბანდების სურვილი გამოთქვა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყაზახეთის ხელისუფლება ბათუმის პორტითა და ნავთობტერმინალით დაინტერესდა. როგორც ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განუცხადა, გამორიცხული არ არის, რომ ყაზახეთმა ამ მიმართულებით სერიოზული ინვესტიციები განახორციელოს. მისი თქმით, საქართველო და ყაზახეთი ძალიან მალე რამდენიმე მნიშვნელოვან საინვესტიციო პროექტს შეიმუშავებენ. საქართველოსა და ყაზახეთის სამთავრობო დელეგაციები აჭარაში შაბათს დილით ჩავიდნენ. ნოღაიდელმა და ახმედოვმა ბათუმის პორტი, ნავთობგადამამუშავებელი ტერმინილი და ქარხანა დაათვალიერეს. დელეგაციები ბათუმიდან ფოთში გაემგზავრნენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი პარლამენტარებისთვის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ორგანიზებით, გუდაურში დაიწყო სემინარი თემაზე - "საქართველო: ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და სიღარიბის დაძლევის საკითხები". სემინარზე ორი დღის განმავლობაში საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოში ფისკალურ და ფულად-საკრედიტო სფეროში მიმდინარე რეფორმებს, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის მიმდინარეობას განიხილავენ. ფისკალური პოლიტიკის განხილვას მიეძღვნება საქართველოში სსფ-ის მუდმივი წარმომადგენლის რობერტ კრისტიანსენის პრეზენტაცია. სიღარიბის დაძლევის სტარატეგიებზე ისაუბრებენ სსფ-ის ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ჯულიან ბერენგაუტი და მსოფლიო ბანკის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში როი საუზვორთი. სავალუტო ფონდის როლზე, ფუნქციებსა და სტარატეგიებზე ვრცელ მიმოხილვას პარლამენტარებს სავალუტო ფონდის მრჩეველი რობერტ რასელი წარუდგენს. **პრაიმ-ნიუსი**

## ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# ხელისუფლების ცოდვები ელექტროენერგეტიკულ სექტორში

*მასალა, რომელსაც დღეს გთავაზობთ, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრს" ჰიდროენერგეტიკოსმა, ენერგოეფექტურობის ფონდისა და ელექტროენერგიის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარემ, საინფორმაციო ანალიტიკურ ჟურნალ "ენერგეტიკის რეგულირების მაცნეს" მთავარმა რედაქტორმა ვახტანგ ზარქუამ მოაწოდა. პუბლიკაცია მომზადებულია "ენერგოეფექტურობის ფონდისა" და "ელექტროენერგიის მწარმოებელთა ასოციაციის" ექსპერტთა მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე. აქვე მოყვანილია რეკომენდაციები ენერგოსექტორში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.*

### 1. სამართლებრივი ბარიერები - ხელისუფლების მიმდინარე პოლიტიკის მნიშვნელოვანი ხარვეზი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორი მრავალი წელია ღრმა კრიზისში იმყოფება. ელექტროენერგეტიკის დარგის თანამედროვე მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშნებია ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტი ქვეყანაში და გაკოტრების პირამდე მისული ელექტროენერგიის მწარმოებელი კომპანიები. ასეთი ვითარების ფონზე, შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ ახალი ხელისუფლების მიმდინარე ელექტროენერგეტიკული პოლიტიკა და მოქმედება კრიზისის დაძლევის საკმარის იმედს არ იძლევა. უფრო მეტიც, ზოგიერთი მიმართულებით კრიზისი დაძლევის ნაცვლად უფრო ღრმავდება.

რეფორმების დაგეგმვისა და განხორციელების დროს, ახლო და უახლოეს წარსულში დაშვებულმა უმძიმესმა შეცდომებმა მრავალი **სამართლებრივი და ნორმატიული ბარიერი წარმოქმნა** ელექტროენერგეტიკის რეგულირების არსებულ სისტემაში. ელექტრობაზარზე მოთამაშე სუბიექტებს, განსაკუთრებით ელექტროენერგიის მწარმოებელ კომპანიებს, აღნიშნული ბარიერები ურთულეს მდგომარეობაში აყენებს. ეს, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვან ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითრებაზე.

სამართლებრივი ბარიერებიდან აღსანიშნავია "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" და "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონების, სემეკის მიერ დამტკიცებული "ელექტრობაზრის საბაზრო წესების" და სხვა დადგენილებების დებულებები.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

#### კომპანიების იძულებითი წევრობა ელექტრობაზარში

"ელექტროენერგეტიკისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 ნაწილში აღნიშნულია: "ელექტრობაზრის (ასოციაციის - სარედაქციო მინიშნება) წევრობა სავალდებულოა ყველა ლიცენზიატისა და პირდაპირი მომხმარებლისათვის." ამ ნორმას ეფუძნება სემეკის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტის - "ელექტრობაზრის საბაზრო წესების" - მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილი, სადაც აღნიშნულია: "ყველა პირისათვის (იურიდიული ან ინდივიდუალური მეწარმე), რომელიც ფლობს "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემულ რომელიმე ლიცენზიას ან, რომელიც წარმოადგენს პირდაპირ მომხმარებელს, სავალდებულოა ელექტრობაზრის წევრობა." მაშასადამე, ელექტროენერგიის წარმოებისა და ყიდვა-გაყიდვის საქმიანობა პირდაპირაა დაკავშირებული "საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში" იძულებით გაერთიანებასთან.

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი (იგივე სესხი ან ელექტრობაზარი) რეგისტრირებულია "კავშირის (ასოციაციის)" ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. "კავშირი (ასოციაცია)" თავისი შინაარსით ნებაყოფლობითი გაერთიანება უნდა იყოს, სესხის წევრობა კი იძულებით ხასიათს ატარებს.

**ჩვენი რეკომენდაცია: ლიცენზიატების და პირდაპირი (მსხვილი) მომხმარებლების ელექტრობაზარში წევრობის სავალდებულო ნორმა უნდა გაუქმდეს.**

#### ელექტრობაზრის მონოპოლიური ხასიათი

იმავე კანონის იმავე მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულია: "საქართველოში დაშვებულია მხოლოდ ერთი ელექტრობაზრის ფუნქციონირება." ეს სამეწარმეო საქმიანობის შემზღუდველი გაუმართლებელი ნორმაა. არამართებულია, კანონმა დაადგინოს, თუ რამდენი კერძო სამართლებრივი ფორმის ელექტრობაზარი უნდა იყოს საქართველოში (მაგალითად, რომელიმე კანონმა რომ დაადგინოს, საქართველოში დაშვებულია პროდუქტების ან საბურავების მხოლოდ ერთი საბითუმო ბაზარი?!). აქედან გამომდინარე, საღ აზრს მოკლებულია, რომ ანტიმონოპოლიური თვისების მატარებელი ბაზარი კანონით თავად გახდეს მონოპოლისტი.

**ჩვენი რეკომენდაცია: საქართველოში ელექტრობაზრის რაოდენობის განმსაზღვრელი (შემზღუდველი) ნორმა უნდა გაუქმდეს.**

#### თავისუფალი მეწარმეობის პირდაპირი შეზღუდვა

იმავე კანონის იმავე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულია: "პირდაპირი კონტრაქტებით ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვისა და იმპორტ-ექსპორტის კვოტებს აწესებს და არეგულირებს კომისია, ქვეყანაში ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების ეფექტიანი დაბალანსების პრინციპის შესაბამისად. ლიცენზიატები და ელექტრობაზრის წევრები ვალდებულნი არიან ელექტრობაზარს წინასწარ შეუთანხმონ პირდაპირი კონტრაქტები და დადგენილი წესით მიაწოდონ მას ინფორმაცია ამ კონტრაქტების საშუალებით განხორციელებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საბითუმო ყიდვა-გაყიდვის, იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ." ეს დებულებაც თავისუფალი მეწარმეობის პრინციპის საწინააღმდეგოა და ელექტრობაზრისა და სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი და უხეში ჩარევაა მეწარმის საქმიანობაში. სრული უაზრობაა, რომ სახელმწიფომ მეწარმეს დაუდგინოს ვაჭრობის მოცულობები და შეითანხმოს სავაჭრო ხელშეკრულებები. სახელმწიფო ამგვარად არ უნდა ერეოდეს არა მარტო კერძო საწარმოების, არამედ მის საკუთრებაში მყოფი საწარმოების საქმიანობაშიც.

**ჩვენი რეკომენდაცია: პირდაპირი კონტრაქტებით ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვისა და იმპორტ-ექსპორტის კვოტების დაწესებისა და რეგულირების, აგრეთვე პირდაპირი კონტრაქტების სახელმწიფოსთან (კომისიასთან) შეთანხმების განმსაზღვრელი ნორმები უნდა გაუქმდეს.**

#### ელექტრომწარმოებლებს კუთვნილი თანხების სრულად განკარგვის საშუალებას არ აძლევენ

ელექტრობაზრის სპეციალურ ტრანსფერტულ ანგარიშზე თავს იყრის ელექტრობაზრის მყიდველების მიერ გადმორიცხული თანხები, რომლებიც უნდა განაწილდეს ელექტრობაზრის გამყიდველებზე. ელექტრობაზრის საბაზრო წესებისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, "სპეციალური ტრანსფერტული ანგარიშის განმკარგულებელია ელექტრობაზრის დირექტორი"(?!). გარდა აღნიშნულისა, ფინანსთა სამინისტრომ სესხს მისცა მიწოდებული ელექტროენერგიის დღგ-ის ამოღებისა და სახელმწიფოსათვის გადარიცხვის უფლება(?!). მაშასადამე, ელექტრომწარმოებლებს კუთვნილ თანხებთან ახლოსაც კი არ აკარებენ. მათი განმკარგველი, პირველ რიგში, ელექტრობაზარია. თუ როგორ განკარგავს ის სხვის თანხებს, ეს მის მიერ დაგროვებული უზარმაზარი ვალიდანაც კარგად ჩანს.

**ჩვენი რეკომენდაცია: დასაფიქრებელია, თუ რამდენად კანონიერია საბაზრო წესების შესაბამისი დებულებები და ფინანსთა სამინისტროს ზემოხსენებული ინსტრუქცია.**

#### "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის ე-40 პრიმა მუხლი - კერძო საწარმოების საზიანო ნორმა

2004 წლის 15 ივნისს ახალი ხელისუფლების მიერ აღნიშნულ კანონში შეტანილ იქნა დამატებითი მე-40 პრიმა მუხლი, რომელიც რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ ბევრ კითხვას ბადებს ხელისუფლების სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და სამართლიანობის შესახებ.

აღნიშნული მუხლით გაკოტრების სპეციალური რეჟიმია დაწესებული სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი საწარმოების მიმართ, რაც კარგად ჩანს მე-2 და მე-5 პუნქტებიდან. ეს მუხლი არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საწარმოებს. გარდა ამისა, ამ მუხლის მე-2 პუნქტი მოსამართლეს პირდაპირ ავალდებულებს განჩინების აუცილებელი წესით მიღებას, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების შესახებ, თუ აღნიშნული საწარმო მას მიმართავს შესაბამისი იურიდიული პირის რეაბილიტაციის განცხადებით, მიუხედავად იმისა, გადავადების საფუძვლები რეალურია თუ არა. ასეთი ჩანაწერი ხელისუფლების პირდაპირი დაკვეთაა სასამართლოებისათვის, სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი საწარმოების თვითნებური მართვის შესაძლებლობის დაკანონებაზე. ამით ხელისუფლება სასამართლოებს ზღუდავს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში და კერძო საწარმოებზე ზიანის მიყენების შესაძლებლობას უშვებს.

მე-40 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტით, ფაქტობრივად, დაბლოკილია სემეკის სამართლიანი მოქმედება ლიცენზიის შეჩერების ან გაუქმების მიმართულებით, აღნიშნული საწარმოების სალიცენზიო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. კერძოდ, თუ სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული იქნება მოვალე საწარმოს განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გადავადებაზე, მაშინ საწარმოს მიმართ სემეკის სანქციები (ლიცენზიის შეჩერება ან გაუქმება) აღქმული იქნება, როგორც საწარმოს რეაბილიტაციის შესაძლებლობის გამოყენებისათვის ხელშემშლელი მოქმედება. ეს ნორმა შენიღბული გარანტიაა იმისათვის, რომ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების პერიოდში მოვალე სახელმწიფო საწარმოს არ ჩამოერთვას ან შეუწყდეს ლიცენზია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან სალიცენზიო ვალდებულებები დაარღვია. ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ სემეკმა დარღვევების გამო სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საწარმოს შეუჩეროს ან ჩამოართვას ლიცენზია, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულმა საწარმომ უნდა იფუნქციონიროს დარღვევებით სხვა საწარმოების, მათ შორის კერძო საწარმოების საზიანოდ, რაც დაუშვებელია.

დავუშვათ, სემეკმა საწარმოს მაინც შეუჩერა ან ჩამოართვა ლიცენზია ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. სამწუხაროდ, ეს გარემოება, გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ მოქმედი კანონის მიხედვით, შესაძლოა ვერ გახდეს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის ან გახსნაზე უარის თქმის საფუძველი, სანამ არ ამოიწურება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების დრო (18 თვე). მაშასადამე, საწარმოს შეიძლება კანონიერად ჩამოერთვას ფუნქციონირების საშუალება, რაც ბუნებრივია, რომ ეჭვის ქვეშ დააყენებს რეაბილიტაციის შესაძლებლობის გამოყენებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს შეიძლება მაინც არ გახდეს საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის საფუძველი.

გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ კანონის მე-40 პრიმა მუხლის მე-7 და მე-9 პუნქტებისა და სხვა შესაბამისი მუხლების თანახმად, ფაქტობრივად, შეუძლებელია გაკოტრების საქმის წარმოების გადავადების შესახებ განჩინების გასაჩივრება იმ შემთხვევაში, თუ გადავადების საფუძვლები მოისპო. ამიტომ შესაძლებელია, კიდევ უფრო დამძიმდეს მოვალე საწარმოს მდგომარეობა და კრედიტორებს ზიანი მიადგეს გაკოტრების საქმის წარმოების გადავადების პერიოდის ამოწურვამდე (მაგალითად, 18 თვის გასვლამდე).

ხსენებული მუხლის მე-6 პუნქტში მოცემული გაკოტრების საქმის გახსნის გადავადების კონკრეტული პერიოდის დადგენა მოცემულ ზღვრებში მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან მას ირჩევს თავად მოვალე საწარმო. არც სასამართლოს და არც კრედიტორს არა აქვს შესაძლებლობა, ზეგავლენა მოახდინოს მოვალის მიერ არჩეულ გადავადების პერიოდზე. ანუ, თუ მოვალე ირჩევს 18 თვეს, ის უაპელაციოდ უნდა იქნეს მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ 9 თვე შეიძლება სავსებით საკმარისი აღმოჩნდეს გადავადებისათვის.

მე-8 პუნქტის მიხედვით, გაკოტრების მასის (ქონების) მიმართ, სასამართლო ვერ გამოიყენებს სხვა შემთხვევებში კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ ზომებს, რაც ასუსტებს სასამართლოს ზედამხედველობასა და ისედაც უუფლებო კრედიტორების საშუალებებს მოვალე საწარმოს ქონების დაცვაზე.

თუ ხელისუფლებას შეუძლია თავი იმით იმართლოს, რომ "ელექტროენერგეტიკისა და გაზის შესახებ" კანონი ძველი ხელისუფლების დროს არის მიღებული (თუმცა, ამაზეც შეიძლება მათ შეეკამათო, რადგან უმრავლესობას მაშინ სწორედ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები შეადგენდნენ და გარდა ამისა, მათ დღემდე შეეძლოთ უვარგისი ნორმების შეცვლა), რა პასუხი აქვს მას საქართველოს დღევანდელი პარლამენტის მიერ მიღებულ და პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ კანონზე "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონში ზემოთ განხილული დამატების შეტანის თაობაზე.

ეს დამატება ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ, **ხელისუფლება, დახვეწის მაგივრად, უფრო ამძიმებს და არადემოკრატიულს ხდის კანონმდებლობას ენერგეტიკაში.**

**ჩვენი რეკომენდაცია: "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-40 პრიმა მუხლი გასაუქმებელია.**

#### სოციალური მოტივაციით ბიზნესის წინააღმდეგ

სემეკმა 2003 წლის 15 აგვისტოს დაადგინა ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფები თბილისისა და საქართველოს მოსახლეობისა და სხვა მომხმარებლებისათვის. ერთი და იმავე ძაბვის (220/380) სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლისთვის განისაზღვრა სხვადასხვა ტარიფი. მოსახლეობის გარდა, სხვა მომხმარებლისათვის შემოღებულ იქნა ფიქსირებული ტარიფი. მაგალითად, "თელასის" მომხმარებლებისათვის (მოსახლეობის გარდა) დადგინდა 11.417 თეთრი/კვტსთ, მოსახლეობისათვის კი დადგინდა საფეხურებრივი ტარიფები მოხმარების მიხედვით. მაგალითად, "თელასის" მომხმარებლების შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ელექტროენერგიას თვეში მოიხმარს 100 კილოვატსაათის ჩათვლით, უნდა გადაიხადოს 10.15 თეთრი/კვტსთ, ხოლო თუ მოიხმარს 101-დან 200 კილოვატსაათის ჩათვლით, უნდა გადაიხადოს 11.45 თეთრი/კვტსთ და ა.შ.

პრინციპულად მსგავსი მიდგომა დადგინდა საქართველოს რეგიონების მომხმარებლებისთვისაც, განსხვავება მხოლოდ ტარიფების ოდენობებშია.

აღსანიშნავია, რომ მოხმარების მიხედვით ე. წ. საფეხურებრივი ტარიფების შემოღება მოსახლეობისათვის, დადგენილების თანახმად, სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნისა და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით გაკეთდა.

ასეთი მიდგომის შედეგად, სახელმწიფომ მოსახლეობაზე ზრუნვის საკუთარი სოციალური ფუნქცია ენერგოკომპანიებს დააკისრა, რაც, ბუნებრივია, არასწორია. ენერგოკომპანიებმა აღნიშნული დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ უნდა არკვიონ, თუ ვის აწოდებენ ელექტროენერგიას - მოსახლეს თუ მაგალითად, მეწარმეს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელსაც ნაქირავები აქვს მოსახლის ბინა. უფრო კურიოზული ვითარება იქმნება, როცა თავად მოსახლეს აქვს საკუთარი ბიზნესი თავის ბინაში ლუკმაპურის შოვნის მიზნით. ენერგოკომპანიამ რომელი ტარიფით გადაახდევინოს ელექტროენერგიის საფასური მომხმარებელს ამ შემთხვევაში - მოსახლეობის თუ სხვა მომხმარებლის ტარიფით? აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება გაჩნდეს ასეთი კითხვა: თუ ენერგოკომპანია ბინაში განთავსებულ ინდივიდუალურ მეწარმეს ან ამხანაგობას, სადაც ფიზიკური პირები ლუკმაპურისათვის შრომობენ, დაარიცხავს არამოსახლეობის ტარიფს, რომელიც შესაძლოა შედარებით მეტი აღმოჩნდეს მოსახლეობის ტარიფზე, მაშინ საფეხურებრივი ტარიფის შემოღების სოციალური მიზანი მიღწეული იქნება თუ არა?

ასეთ ბუნებრივ და სამართლიან კითხვებს ბადებს ნებისმიერი არასწორი გადაწყვეტილება.

აღნიშნული დადგენილების ნაჩქარევად მიღებასა და დაუხვეწაობაზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ გამანაწილებელი კომპანიების დაჟინებული მოთხოვნით, ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებული პუნქტების ამოქმედება, რამდენიმეჯერ გადავადდა. ახალი საფეხურებრივი ტარიფები მოსახლეობისათვის ძალაში უნდა შევიდეს 2006 წლის 1 იანვარს, სემეკის 2005 წლის 28 აპრილის N8 დადგენილების თანახმად.

**ჩვენი რეკომენდაცია: საწარმოებმა უნდა იზრუნონ თავიანთ ბიზნესზე და არა მოსახლეობის (კლიენტების) სოციალურ მდგომარეობაზე. მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე ზრუნვა სახელმწიფოს ვალია სპეციალური სოციალური პროგრამების ფარგლებში, როგორც ეს მიღებულია ნორმალურ დემოკრატიულ ქვეყნებში. არასახარბიელო ბიზნესგარემოს ვითარებაში სახელმწიფომ არ უნდა დაამძიმოს ისედაც განუვითარებელი ბიზნესი, ამ უკანასკნელისათვის შეუფერებელი ფუნქციებით.**

### 2. ენერგოსექტორის განუკითხავი ადმინისტრირება

ზემოთ მოცემულ და სხვა მრავალ სამართლებრივ ბარიერს ემატება სახელმწიფოს მიერ ენერგოსექტორის განუკითხავი ადმინისტრირების მრავალი მაგალითი. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

გაგრძელება A8 გვერდზე

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ჯანმრთელობის დაზიანებისთვის, ცემისთვის და ყაჩაღობისთვის მარტვილის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 25 წლის ვარლამ ჩალიგავა, რომელიც 4 თებერვალს დიმიტრი კიტიასთან და არჩილ ალასანიასთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში მცხოვრებ ლალი კოტიას, რომელიც სასტიკად აწამეს, მიაყენეს სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცეს 6000 ლარი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა გატარებული ღონისძიებების შედეგად თბილისში, მეტროს სადგურ "ავლაბრის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს ვანის რაიონის სოფელ საპრასიაში მცხოვრები, 44 წლის მერაბ ხურციძე, რომლისგანაც ამოიღეს 0.043 გრამი ჰეროინი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ვლადიმერ გევორქიანი, რომლის ავტომანქანიდან "გაზ"-2410 ამოღებულია იქნა 2 ცალი გადაჭრილი სანადირო თოფი ვაზნით, აგრეთვე - გადაკეთებული საფანტის პისტოლეტი „ვალტრი" მჭიდით და 2 ვაზნით. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 61 წლის ვასილ მამაიაშვილი, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას სხეულის დაზიანება მიაყენა დაბა ოქროყანაში მცხოვრებ ძმებს - 36 წლის ზურაბ და 38 წლის მამუკა ომარაშვილებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შს განყოფილების თანამშრომლებმა ამბროლაურის რაიონის სოფელ ხიმში მცხოვრები, 50 წლის ლევან ბარსონიძის სახლიდან ამოიღეს გაუფორმებელი მცირეკალიბრიანი შაშხანა "გეკო". **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს თბილისში მცხოვრები, 21 წლის ივანე შაკიაშვილი, რომელიც ორ პირთან ერთად წნორში ე.წ. ასანურის დასახლებაში თავს დაესხა 29 წლის ირმა აივაზიანს და დანის მუქარით გასტაცა 70 დასახელების ოქროს სამკაული და 23 ლარი. ოქროულობა ამოღებულია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ჯანმრთელობის დაზიანებისთვის, ცემისთვის და ყაჩაღობისთვის მარტვილის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 25 წლის ვარლამ ჩალიგავა, რომელიც 4 თებერვალს დიმიტრი კიტიასთან და არჩილ ალასანიასთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში მცხოვრებ ლალი კოტიას, რომელიც სასტიკად აწამეს, მიაყენეს სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცეს 6000 ლარი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა გატარებული ღონისძიებების შედეგად თბილისში, მეტროს სადგურ "ავლაბრის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს ვანის რაიონის სოფელ საპრასიაში მცხოვრები, 44 წლის მერაბ ხურციძე, რომლისგანაც ამოიღეს 0.043 გრამი ჰეროინი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ვლადიმერ გევორქიანი, რომლის ავტომანქანიდან "გაზ"-2410 ამოღებულია იქნა 2 ცალი გადაჭრილი სანადირო თოფი ვაზნით, აგრეთვე - გადაკეთებული საფანტის პისტოლეტი „ვალტრი" მჭიდით და 2 ვაზნით. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 61 წლის ვასილ მამაიაშვილი, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას სხეულის დაზიანება მიაყენა დაბა ოქროყანაში მცხოვრებ ძმებს - 36 წლის ზურაბ და 38 წლის მამუკა ომარაშვილებს

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოღას საშ. სკოლის სარემონტო სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ***ჭოღას საკრებულოს განვითარების სათემო კავშირთან "ჭოღა"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სათემო კავშირი "ჭოღა"*** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, ჩხოროწყუს რაიონი,*
*სოფელი ჭოღA, სკოლის შენობა*
*საკონტაქტო პირი რამინ შენგელია, სათემო კავშირი "ჭოღა"-ს თავმჯდომარე*

***2005 წლის 9 ივნისიდან*** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით ***2 800*** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, ჩხოროწყუს რაიონი*
*სოფელი ჭოღა, სკოლის შენობა*
*საკონტაქტო პირი რამინ შენგელია, სათემო კავშირი "ჭოღა"-ს თავმჯდომარე*

*2005 წლის 9 ივლისს 15:00 საათამდე.*

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***15:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **მესტიის რაიონის სოფელ წვირმის თემის ცენტრის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ***წვირმის საკრებულოს განვითარების სათემო კავშირთან "სვიფი"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სათემო კავშირი "სვიფი"*** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, მესტიის რაიონი,*
*სოფელ წვირმის, გამგეობის შენობა*
*საკონტაქტო პირი მურთაზ ფანგანი, სათემო კავშირი "სვიფი"-ს თავმჯდომარე*

***2005 წლის 8 ივნისიდან*** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით ***2 300*** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, მესტიის რაიონი*
*სოფელ წვირმის, გამგეობის შენობა*
*საკონტაქტო პირი მურთაზ ფანგანი, სათემო კავშირი "სვიფის"-ს თავმჯდომარე*

*2005 წლის 8 ივლისს 13:00 საათამდე.*

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***13:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლში მდ. სინწაზე გადასასვლელი ხიდების მშენებლობა.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ***ახალსოფლის საკრებულოს განვითარების სათემო კავშირთან "გარანტი"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სათემო კავშირი "გარანტი"*** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, ზუგდიდის რაიონი,*
*სოფელ ახალსოფელი, გამგეობის შენობა*
*საკონტაქტო პირი დემნა შენგელია, სათემო კავშირი "გარანტი"-ს თავმჯდომარე*

***2005 წლის 9 ივნისიდან*** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით ***4 900*** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, ზუგდიდის რაიონი*
*სოფელ ახალსოფლის, გამგეობის შენობა*
*საკონტაქტო პირი დემნა შენგელია, სათემო კავშირი "გარანტი"-ს თავმჯდომარე*

*2005 წლის 9 ივლისს 11:00 საათამდე.*

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***11:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **მესტიის რაიონის სოფელ ლატალის კულტურის სახლის აღდგენის სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ***წვირმის საკრებულოს განვითარების სათემო კავშირთან "იმედი"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სათემო კავშირი "იმედი"*** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, მესტიის რაიონი,*
*სოფელ ლატალი, გამგეობის შენობა*
*საკონტაქტო პირი ოლეგ გვირგვლიანი, სათემო კავშირი "იმედი"-ს თავმჯდომარე*

***2005 წლის 8 ივნისიდან*** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით ***2 900*** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, მესტიის რაიონი*
*სოფელი ლატალი, გამგეობის შენობა*
*საკონტაქტო პირი ოლეგ გვირგვლიანი, სათემო კავშირი "იმედი"-ს თავმჯდომარე*

*2005 წლის 7 ივლისს 15:00 საათამდე.*

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***15:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# მოსამართლე უსამართლობას უჩივის

*გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ალექსი მარიამიძე საკუთარი უფლებების დასაცავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს. მარიამიძის განმარტებით, მის წინააღმდეგ მავანთა კერძო ინტერესებით აგორებული კამპანიის დაპირისპირებული მხარის სასარგებლოდ დასრულებას საქართველოს იმ კანონებმა შეუწყო ხელი, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან კონსტიტუციასთან.*

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ალექსი მარიამიძე სადისციპლინო კოლეგიამ 2005 წლის 27 იანვარს, დისციპლინარული გადაცდომის ბრალდებით, თანამდებობიდან გაათავისუფლა. არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატების ინფორმაციით, ამ საქმესთან დაკავშირებით იუსტიციის საბჭო განმარტავდა, რომ საქმე დაზარალებულის საჩივრითაა აღძრული. მიუხედავად ამისა, ადვოკატები აღნიშნავენ, რომ საჩივარი მხოლოდ განხილვის დასრულებისას გაჩნდა და ისიც 2001 წლით დათარიღებული, როდესაც გადაცდომა, რაშიც მარიამიძეს ბრალი ედება, თითქოს 2004 წელს არის მომხდარი. ამასთან, თავად საჩივრის ავტორები ნოტარიულად დამოწმებული ახსნა-განმარტებით სასტიკად უარყოფენ რაიმე საჩივრის დაწერას.

**"ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭომ დოკუმენტები გააყალბა და, ამაზე შესაბამისმა ორგანოებმა რომ იზრუნონ, სისხლის სამართლის დანაშაულსაც აღმოაჩენენ"**, - განაცხადა "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატმა მანანა კობახიძემ სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე. მაგრამ, საქმეც ის გახლავთ, რომ კანონი არ ითვალისწინებს სადისციპლინო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების არსებით განხილვას. სწორედ ამას ასაჩივრებს მარიამიძე საკონსტიტუციო სასამართლოში - კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელით მოსამართლე ითხოვს "საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის რამდენიმე მუხლის ანტიკონსტიტუციურად ცნობას. როგორც მისი ადვოკატები განმარტავენ, ეს მუხლები მოსამართლესართმევენ უფლებას მისი თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერების საკითხი სრულად და ობიექტურად განიხილოს სასამართლომ. თავიანთ მოსაზრებას ადვოკატები შემდეგი არგუმენტებით ამყარებენ:

**„საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, საკუთარ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. მაგრამ სასამართლოსადმი მიმართვის ეს უფლება არ ნიშნავს მხოლოდ სარჩელის შეტანას. იგი სარჩელის ან განცხადების შეტანას, საქმის არსებით განხილვას, გადაწყვეტილების გამოტანას და აღსრულებას გულისხმობს"**, - აცხადებენ ადვოკატები. თუმცა, მათივე განმარტებით, სადავო სამართლებრივი ნორმების მიხედვით, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, რომელიც გულისხმობს სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვას, გადაწყვეტილების მიღებას და შემდგომ მის აღსრულებას, უხეშად ირღვევა იმ მოსამართლეების მიმართ, რომლებიც სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილებით გათავისუფლდნენ თანამდებობიდან. მათ საჩივარს, საბჭოს უკანონო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, უზენაესი სასამართლო განიხილავს მხოლოდ კასაციის წესით - ანუ ისე, რომ სასამართლო არ შედის საქმის ფაქტობრივი გარემოებების განხილვაში და ეს მაშინ, როდესაც კანონი არ ითვალისწინებს იგივე საქმეების განხილვას სასამართლოს თუნდაც ერთ ქვედა ინსტანციაში.

იურიდიულ ტერმინოლოგიათა კასკადი უკეთ გასაგები რომ იყოს, ადვოკატებს ასეთი მაგალითი მოჰყავთ: "საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" კანონის 74 მუხლის პირველი პუნქტი ამბობს: "სადისციპლინო საბჭოს მიერ დისციპლინური საქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ კასაციის წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში..." ანუ, ეს ნიშნავს, რომ იუსტიციის საბჭოს სადისციპლინო გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანა უზენაეს სამართლოში შეიძლება, მაგრამ სასამართლო არავითარ შემთხვევაში სრულად არ იმსჯელებს თქვენს საქმეზე. ის საჩივარს კასაციის წესით განიხილავს, რაც ნიშნავს, რომ გაარკვევს, ხომ არ დაარღვია კანონი თქვენს საქმეზე მსჯელობისას იუსტიციის საბჭომ. მაგრამ, თქვენ მართლაც ჩაიდინეთ თუ არა ის გადაცდომა, რომელშიც სადისციპლინო საბჭო გადანაშაულებთ, სასამართლოს არ აინტერესებს; უფრო სწორად, ამით დაინტერესებას კანონი უკრძალავს.

მოსამართლე მარიამიძე კი მიიჩნევს, რომ მის მიმართ გამოტანილი მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილება უკანონოა - ის, რასაც ბრალად უყენებენ, არ ჩაუდენია და მის წინააღმდეგ განგებ არის აგორებული კამპანია როგორც მოსამართლემ „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ოფისში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება გორში „სახალხო გაზეთის" რედაქტორის რეზო ოქრუაშვილის სასამართლო პროცესს უკავშირდება. მეტიც, მარიამიძე ამბობს, რომ, როდესაც ის სხვადასხვა ინსტანციაში საკუთარი უფლებების დაცვას ცდილობდა, ურჩიეს, ან თანამდებობა უხმაუროდ დაეტოვებინა, ან ირაკლი ოქრუაშვილთან მოეგვარებინა ურთიერთობა. მარიამიძისვე თქმით, მას არ ეძლევა შესაძლებლობა, თავისი სიმართლე სასამართლოში დაამტკიცოს. სწორედ ამიტომ მოითხოვს იგი არაკონსტიტუციური ნორმების გაუქმებას.

**„სადავო ნორმები დისკრიმინაციული ხასიათისაა, ვინაიდან მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი წესი და პროცედურა პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის 42-ე მუხლით დაცულ უფლებასთან. ამდენად, სახეზეა, სადავო სამართლებრივი აქტების ანტიკონსტიტუციურად ცნობის კიდევ ერთი აბსოლუტური საფუძველი"**, - აცხადებს ადვოკატი ლია მუხაშავრია.

ამჟამად მარიამიძის საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს. თუ სასამართლო საქმეს მოსამართლის სასარგებლოდ გადაწყვეტს, მისი თანამდებობაზე აღდგენის უფლება მაინც არ აქვს – ერთადერთი, რაც შეუძლია, საქმის ხელახლა განსახილველად სადისციპლინო საბჭოსათვის დაბრუნებაა.

**„თუ უზენაესი სასამართლო დაუბრუნებს მარიამიძის საქმეს მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს, ხოლო ეს ორგანო მის მიერ დაშვებულ შეცდომებს არ გამოასწორებს, მაშინ ალექსი მარიამიძე და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი" მიმართავს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს, რაც, შეიძლება, ისევ საკმაოდ ძვირი დაუჯდეს ქვეყანას"**, - აცხადებენ ადვოკატები.

*24 საათი*

# სასამართლო ხელისუფლება ახალი კადრებით დაკომპლექტდება

თბილისის საქალაქო სასამართლოს ამოქმედების შემდეგ რაიონული სასამართლოების გამსხვილების პროცესი იწყება. რამდენიმე რაიონს ერთი რაიონული სასამართლო მოემსახურება.

სულ საქართველოს მასშტაბით 15 ასეთი სასამართლო ამოქმედდება, მაგრამ რომელ რაიონებში - ჯერჯერობით უცნობია. ცვლილებების განხორციელებაში ქართულ მხარეს, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით, ამერიკის იურისტთა ასოციაცია და "იუესაიდი" ეხმარებიან.

დღეისათვის საქართველოში 388 მოსამართლეა, რეფორმის შემდეგ კი 450 დასაქმდება. იუსტიციის საბჭოში აცხადებენ, რომ სისტემის დასაკომპლექტებლად მოსამართლეთა საჭირო რაოდენობა არ ჰყავთ და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების მიზანი სისტემის მაღალკვალიფიციური და სპეციალიზებული კადრების შერჩევაა.

საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად, რომლის პირველი ეტაპიც 11 ივნისს გაიმართება, სასამართლო ხელისუფლება ახალი კადრებით დაკომპლექტდება.

საკვალიფიკაციო გამოცდები ახალი წესით, საერთო და სპეციალიზაციის მიხედვით ჩატარდება. სპეციალიზაცია სამოქალაქო, ადმინისტრაციული სამართლისა და სისხლის სამართლის დარგებში მოხდება. **მედიანიუსი**

# შსს-მ რეგიონულ განყოფილებებს ავტომანქანები გადასცა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინწინ რეგიონულ განყოფილებებს თბილისიდან ავტომანქანები გაუგზავნა.

ავტომანქანების შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში კომპანიებმა - "სილქ როუდ მოდერნსმა", "ვეგა მოტორსმა" და შპს "დეგიმ" გაიმარჯვეს.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი აცხადებს, მაღალმთიანი რეგიონებისთვის სპეციალურად შეიძინეს 50 მაღალი გამავლობის ავტომობილი "ნივა".

მისი თქმით, უახლოეს მომავალში სამინისტრო კიდევ - 50 "უაზის" ტიპის და 30-მდე სხვა მსუბუქ ავტომობილს შეიძენს.

"საქართველოში არ დარჩება არც ერთი რაიონული განყოფილება, რომელსაც ავტომანქანა არ ეყოლება", - ამბობს მინისტრი. **პრაიმ-ნიუსი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

### ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი........................................
ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი........................................
საკონტაქტო ტელეფონი........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ძალიან თბილისში მეტროს ცხრამეტი რამოდენიმე სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

# ხელისუფლების ცოდვები ელექტროენერგეტიკულ სექტორში

A6 გვერდიდან

### ხელისუფლების მიზეზით ფერხდება მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება

გლობალური გარემოს დაცვის ფონდმა, გაეროს განვითარების პროგრამის მონაწილეობით, საქართველოს მთავრობისათვის გამოყო გრანტი 4.3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, გეოთერმული რესურსების გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგების მიზნით მოხმარებისა და ადგილობრივ ელექტროენერგიის წარმოებაში კერძო მცირე ჰიდროელექტროსადგურების ხელშეწყობისთვის. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობაც მზად არის დამატებით გამოყოს 5.113 მილიონი ევრო გერმანიის ბანკის მეშვეობით. დონორების აღნიშნული რესურსებით უნდა დაარსდეს საბრუნავი ფონდი, რომელიც გასცემს შეღავათიან კრედიტებს. აღნიშნულ სექტორებში პირველი სადემონსტრაციო პროექტების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში კი, შეიძლება სხვა განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების საკითხიც იქნეს განხილული.

ეს უმნიშვნელოვანესი პროექტი ნახევარ წელიწადზე მეტია ფერხდება მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის მიზეზით, რადგან ჯერ ერთი, მცირე ბიზნესისათვის არსებული სამართლებრივი ბარიერები კვლავ არსებობს და მეორე, ხელმოწერილი არ იყო ფინანსური ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ბანკს შორის, რისი მიზეზითაც ვერ ხერხდებოდა პროექტის ფინანსური კომპონენტის დაწყება (საბრუნავი ფონდის დაარსება, კრედიტების გაცემა და მცირე ჰესებისა და გეოთერმული ცხელწყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია). ამის გამო ვერ შესრულდა პროექტის 2004 წლის გეგმა. ფინანსური კომპონენტის დაწყების შემდგომი დაგვიანება არა მარტო დონორ ორგანიზაციასთან (გაეროს განვითარების პროგრამა) გაართულებდა ურთიერთობას, არამედ პროექტის შეჩერების რეალურ საშიშროებასაც შექმნიდა. პროექტის საერთოდ დახურვის შემთხვევაში კი დაიკარგებოდა არა მარტო მოცემული შესაძლებლობა, არამედ, მომავალში, პროექტის კიდევ უფრო გაფართოების შანსიც.

მთავრობა დარწმუნდა, რომ დონორების მიერ გამოყოფილ თანხას სხვა მიზნით ვერ გახარჯავდა და ამიტომ პროექტისადმი ინტერესიც დაკარგა, თუმცა ბოლოს ის მაინც იძულებული გახდა, ხელი მოეწერა გერმანიის ბანკთან ხელშეკრულებაზე.

**ჩვენი რეკომენდაცია: განახლებადი ენერგიის ეფექტურად გამოყენებაში განვითარების გზაზე არსებული სამართლებრივი ბარიერების აღმოფხვრა მთავარი პირობაა პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბრუნავი ფონდის ჩამოყალიბება და შეღავათიანი კრედიტების კერძო კომპანიებზე გაცემა აზრს მოკლებულია, რადგან სამართლებრივი ბარიერების არსებობის პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება საკრედიტო ვალდებულებების შესრულება, რაც რეალური გაკოტრების საფრთხეს შეუქმნის კომპანიებს.**

### მსხვილი კომპანიების საბოტაჟი - ხელისუფლების არაკომპეტენტურობის თუ შეგნებული მოქმედების შედეგი?

მომხმარებლებისა და მცირე და საშუალო კერძო ენერგოკომპანიებისAზოგიერთი სამართლიანი მოთხოვნის სემეკის მიერ დაკმაყოფილება იწვევს სახელმწიფოსაგან განებივრებული ენერგოკომპანიების ("თელასის", "მტკვარის", "თბილგაზის", "ელექტროსისტემის" "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა" და სხვათა) განაწყენებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული კომპანიები თითქმის არ იხდიან სექტორის რეგულირების საფასურსა და საბითუმო ბაზრის საწევროებს.

ეს საბოტაჟის ტოლფასი ქმედებაა, თუმცა აღნიშნულ ქმედებას, სამწუხაროდ, თვით ხელისუფლებაც უწყობს ხელს. კერძოდ, ხელისუფლების ერთი ნაწილი მარეგულირებელი ორგანოების, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებისა და მათი დაფინანსების მიმართ აშკარად ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ხელისუფლების მეორე ნაწილი კი ახალ დამანგრეველ ნორმებს უმატებს მოქმედ არასწორ სამართლებრივ ბაზას.

გარდა ამისა, წელიწად-ნახევარზე მეტია, რაც მარეგულირებელი კომისია, არასრული შემადგენლობის გამო, ექსტრემალურ ვითარებაში იმყოფება. თუმცა, შეიძლებოდა ეს პრობლემა მოგვარებულიყო, თუნდაც ამისათვის კანონში ცვლილებები ან დამატებები გამხდარიყო საჭირო.

მსხვილი კომპანიების მხრიდან საბოტაჟისა და კომისიის არასრული შემადგენლობით ფუნქციონირების გამო ვერ ხერხდება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. ფაქტობრივად, მარეგულირებელი კომისიის მუშაობა პარალიზებულია, რაც ენერგოსექტორსა და მთლიანად ქვეყანას მნიშვნელოვანი ზიანის ფასად უჯდება.

ასეთი გარემოება ხელისუფლებაში არაკოორდინირებულობისა და არაკომპეტენტურობის ან უარეს შემთხვევაში, ჩინოვნიკთა პირადი ინტერესების ლობირების ან ურთიერთდაპირისპირების შედეგია.

**ჩვენი რეკომენდაცია: ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ადეკვატური ზომები კომპანიების მხრიდან საბოტაჟისა და სემეკის ექსტრემალურ ვითარებაში ფუნქციონირების მიმართ.**

### ხელისუფლების უპატივცემულო დამოკიდებულება ადგილობრივი მცირე მეწარმეების მიმართ

2004 წლის 23 ივნისს სემეკმა, გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის დაჟინებული მოთხოვნით, ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია ჩამოართვა 21 მცირე ენერგოკომპანიას (N11/1 გადაწყვეტილება). აღნიშნული კომპანიებიდან ზოგიერთს მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი (80-90 %) ჰქონდა, როცა ეს მაჩვენებელი მომჩივანი გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის, იმ დროს ყველაზე დაბალი იყო (5-15 %). გამოდის, რომ სემეკმა კარგი ბიზნესის წარმოების გამო დასაჯა მცირე ენერგოკომპანიები და კონკურენციის განვითარების ნაცვლად, თავისი ქმედებით, ხელი შეუწყო მონოპოლიას. მაგრამ რატომ?

ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოვიძიოთ. კერძოდ, თბილისის საოლქო სასამართლომ განიხილა სამი მცირე ენერგოკომპანიის (შპს "პატარა კახი", სს "გორგოტა", გივი აბალაკის ი.ს. "ფერმერი") სარჩელი სემეკის მიმართ ლიცენზიის ჩამორთმევასთან დაკავშირებით და 2005 წლის 4 მარტის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა: "სადავო ადმინისტრაციული აქტის მიღების საფუძვლად მოპასუხის (სემეკის) მიერ გადაწყვეტილებაში მითითებულია მომხმარებელთა საჩივრები, სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის", სს "თელასის" და სს "კახეთის ენერგოდისტრიბუციის" განცხადებები, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და 2004 წლის 1 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ჩატარებული თათბირის ოქმი".

მომხმარებელთა საჩივრები და ენერგოკომპანიების განცხადებები სემეკმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა განიხილოს და მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება მხოლოდ კანონის საფუძველზე. რაც შეეხება ენერგეტიკის სამინისტროსა და მთავრობის დოკუმენტებს, დაუშვებელია დამოუკიდებელი კომისიის მიერ მათი გამოყენება რაიმე გადაწყვეტილების საფუძვლად.

ეს ფაქტი აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელი კომისიის საქმიანობაში ჩარევისა და მცირე მეწარმეების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების თვალსაჩინო მაგალითია. თუმცა, ახალ ხელისუფლებას მრავალჯერ აქვს დეკლარირებული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის თავისი პოლიტიკური ნების შესახებ. უფრო მეტიც, მან მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო მინისტრის პოსტიც კი შემოიღო. მაგრამ, როგორც ჩანს, სიტყვა და საქმე ენერგეტიკის სექტორში, ჯერჯერობით, საპირისპირო ცნებებია.

სასამართლომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მრავალი მოთხოვნის უხეშად დარღვევის გამო, საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო სემეკის ადმინისტრაციული აქტი ზემოხსენებული მცირე ენერგოკომპანიებისათვის ლიცენზიების გაუქმების ნაწილში და სემეკს დაავალა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი.

ხელისუფლებისა და სემეკის მიმართ უნდობლობის გამო, მცირე ენერგოკომპანიებმა სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მიზნით, სემეკის მიერ ლიცენზიების გაუქმების საფუძვლების კანონსაწინააღმდეგოდ ცნობის მოთხოვნით, გაასაჩივრეს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სხვა უფლებადარღვეულმა მცირე ენერგოკომპანიებმაც მიმართეს სასამართლოს სემეკის ზემოხსენებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით და სავარაუდოა, რომ მათი მოთხოვნები დაკმაყოფილდება.

**ჩვენი რეკომენდაცია: სემეკმა უნდა გადახედოს მცირე ლიცენზიატებისათვის ლიცენზიების ჩამორთმევის საკითხს და მიიღოს კანონთან შესაბამისი გადაწყვეტილება**

### ვის აძლევს ხელს ვალების დაგროვება? ანუ ელექტრომწარმოებლებს ხელისუფლება არ სწყალობს

ელექტრომწარმობლები ხელისუფლების მოქმედი ენერგეტიკული პოლიტიკის შედეგად უმძიმეს ვითარებაში იმყოფებიან:

ა) ვერ იღებენ ყოფილ სახელმწიფო კომპანია" საქენერგოსათვის" მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურს, რადგან სახელმწიფომ დანაწევრების გზით მოახდინა "საქენერგოს" რეორგანიზაცია და ქონებაც შესაბამისად გადაანაწილა ახლად ჩამოყალიბებულ მის მიერვე კონტროლირებად კომპანიებზე, ხოლო ვალების მომსახურებისათვის შექმნა ახალი კომპანია შეზღუდული პაუხისმგებლობის საზოგადოება "საქენერგო-2000"-ის სახით, რომელსაც აქტივები არ გააჩნია(?!);

ბ) ვერ იღებენ აგრეთვე მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისაგან", რადგან ეს უკანასკნელი გაკოტრების სპეციალურ რეჟიმშია მოქცეული და მის მიმართ აღსრულება 18 თვით არის შეჩერებული, გაკოტრების შესახებ კანონის მე-40 პრიმა მუხლის საფუძველზე და თავისუფალი და თანასწორი მეწარმეობისაგან ძალზე შორს დგას. უფრო მეტიც, არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ "საქენერგოსა" და "ვარციხეჰესების კასკადის" მსგავსად მოხდეს "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქონების ღირებულების შემცირება, შემდეგ გასხვისება და უქონელი კომპანიისათვის ასეულობით მილიონი ლარის დავალიანების (პასივების) დატოვება. ამ შემთხვევაში, კრედიტორი ელექტრომწარმოებელი კომპანიები, ალბათ, ვერასდროს ეღირსებიან კუთვნილ თანხებს დებიტორი კომპანიისაგან. მაშინ ეს კიდევ ერთი სახელმწიფო რეკეტის ტოლფასი ქმედება იქნება.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ის გარემოება, რომ სახელმწიფომ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, მდგომარეობის გამოსასწორებლად, მართვაში გადასცა ამერიკულ საკონსულტაციო კომპანია "პი-ეი კონსალტინგს". "პი-ეი კონსალტინგმა" კი სიტუაციის საგრძნობი გაუმჯობესების ნაცვლად, აღნიშნული კომპანია გაკოტრების რეჟიმამდე მიიყვანა. კომპანია ვერ ასრულებს როგორც სახელმწიფოს, ისე კრედიტორების მიმართ აღებულ ვალდებულებებს, მაგრამ ხელისუფლება ამას მაინც მშვიდად უყურებს. დასაფიქრებელია, რის სანაცვლოდ ეგუება იგი აღნიშნულ ვითარებას;

გ) ელექტრომწარმოებლები ელექტრობაზრიდანაც სრულად ვერ იღებენ მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულების შესაბამის თანხებს, რადგან ყბადაღებული სოციალური და პოლიტიკური მოტივების გამოყენებით გრძელდება ელექტროენერგიის მიწოდება არგადამხდელი, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანიებისათვის, რომელთა დავალიანება ელექტრომწარმოებლების მიმართ იზრდება და ამჟამად ნახევარ მილიარდ ლარს აჭარბებს. ელექტრომწარმოებელი შეზღუდულია იმითაც, რომ არ იცის, თუ ვის მიეყიდა მის მიერ ელექტრობაზრისათვის მიწოდებული ელექტროენერგია. მოქმედი საბაზრო წესების თანახმად,

[illegible]

რთხიორთან ურთიერთობა, რომლის გაკოტრების შესახებ განცხადება სასამართლოშია.

ელექტრომწარმოებლებს მხოლოდ ერთადერთი გზა რჩებათ იმისათვის, რომ თავი დააღწიონ ნამდვილ გაკოტრებას. ეს გზაა საკუთარი გადამცემი და გამანაწილებელი ხაზების მშენებლობა, თუმცა ის დიდ ინვესტიციებს საჭიროებს. ელექტრომწარმოებლებს კი ხაზების მშენებლობის საშუალებები არ გააჩნიათ, სწორედ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების მხრიდან ქრონიკული დიდი დავალიანებებისა და არასწორი, ხშირ შემთხვევაში,საზიანო ენერგეტიკული პოლიტიკის გამო.

მცირე და საშუალო ელექტრომწარმოებელი კომპანიები საკუთარი ინტერესების სარეალიზაციოდ და უფლებების დასაცავად, მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, ვერ ქმნიან საკუთარ ქმედით იურიდიულ სამსახურს. იმავე მიზეზის გამო, ისინი ვერც სხვა კერძო იურიდიულ სამსახურებს მიმართავენ დასახმარებლად. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულებაც ვერ ან არ ხდება და ელექტრომწარმოებელი კომპანიები ვერც ამ გზით აღწევენ სამართლიანობის აღდგენას. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ადგილობრივი მწარმოებლების უფლებები ყველას იმდენად უმნიშვნელოდ მიაჩნია, რომ თვით სასამართლო გადაწყვეტილებათა აღუსრულებლობასაც კი არაფრად აგდებენ. ეს უკანასკნელი გახლავთ ელექტრომწარმოებელი კომპანიების დაცვის საქმეში მონაწილეობაზე კერძო იურისტების თავშეკავების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

ამგვარი სამართლებრივი და ნორმატიული ბაზის არსებობისა და ადმინისტრირების სისტემის შედეგად **უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდნილ ელექტროენერგიის მწარმოებელ კომპანიებს** საშუალება არა აქვთ, არათუ განვითარდნენ, არამედ, საკუთარი მინიმალური საჭიროებები მაინც დაიკმაყოფილონ და, ხშირად, ვერც ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახერხებენ.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, **ელექტრომწარმოებლები ვერც ძველ კუთვნილ თანხებს იღებენ და ვერც ახალ საიმედო ურთიერთობებს ამყარებენ და განწირულები არიან გაკოტრებისათვის.**

მაშასადამე, სახელმწიფო აკოტრებს რა მის საკუთრებაში მყოფ საწარმოებს (სს სახელმწიფო ელექტროსისტემა და გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია), მათზე პირდაპირ დამოკიდებულ კერძო საწარმოებსაც გაკოტრების საშიშროების წინაშე აყენებს.

როგორც ზემოხსენებულიდან ირკვევა, სამწუხაროდ, აბლაბუდა სამართალსა და დაუსაბუთებელ, ხშირ შემთხვევაში, საზიანო მოქმედებებს გვთავაზობს დღევანდელი ხელისუფლება. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ხელისუფლება ან ძალზე არაკომპეტენტურია ან მას მხოლოდ კერძო ანუ სათავისო ინტერესები ამოძრავებს და სხვა დაინტერესებული პირები სრულებით არ ენაღვლება, ან კიდევ ორივე გარემოებას ერთდროულად აქვს ადგილი. ცხადია, ჩამოთვლილი მიზეზებიდან არც ერთი არ ამართლებს ჩვენს ხელისუფლებას, რომელსაც დემოკრატიულობისა და სამართლიანობის პრეტენზია აქვს.

**ჩვენი რეკომენდაცია: ხელისუფლებამ ენერგოსექტორში რეფორმის შემუშავების დროს საგანგებო ყურადღება უნდა დაუთმოს მცირე და საშუალო კერძო ელექტრომწარმოებელი კომპანიების თავისუფალი ფუნქციონირების შემაფერხებელი სამართლებრივი ბარიერების მოხსნას.**

### დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი მარეგულირებელი კომისიების ეფექტური მუშაობის საწინდარია

ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რა ხარისხის იქნება მარეგულირებელი კომისიის დამოუკიდებლობა. რა თქმა უნდა, დღეს მარეგულირებელი კომისიები საკმარისად დამოუკიდებლები არ არიან (ამის დასადასტურებლად 21 მცირე ლიცენზიატისათვის სემეკის მიერ ლიცენზიების გაუქმების მაგალითიც საკმარისია). თუმცა, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი არ უნდა ათავისუფლებდეს კომისიის წევრებს მომხმარებლებისა და ლიცენზიატების მიმართ სასამართლოს მეშვეობით რეალურად განხორციელებადი პასუხისმგებლობისაგან.

კომისიის სამივე წევრს, მოქმედი კანონმდებლობით, ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი. ამ სქემით კომისიის წევრებს პასუხისმგებლობის განცდა აქვთ უშუალოდ პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ. გარდა ამისა, კომისიის წევრები, გარკვეულწილად, დამოკიდებულნი არიან თავმჯდომარეზე, რადგან მათი პირველი და მეორე ვადით დანიშვნა თავმჯდომარის წარდგინებით პრეზიდენტის მიერ ხდება.

გასაზიარებელია ენერგომომხმარებელთა ინტერესების დამცველის, ბატონ დავით ებრალიძის წინადადება იმის თაობაზე, რომ "მარეგულირებელი კომისიის წევრების დანიშვნა არბიტრაჟში არბიტრების დანიშვნის ანალოგიური უნდა იყოს. კერძოდ, ლიცენზიატებისა და მომხმარებელთა დაცვის მხარეებმა პრეზიდენტს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინონ საკუთარი კანდიდატები. სიებში საერთო პირები პრეზიდენტის მიერ თანამდებობაზე ავტომატურად უნდა იქნეს დანიშნული, თუ პრეზიდენტს არ ექნება მათი არდანიშვნის განსაკუთრებული საფუძველი. სიებში განსხვავებული პირების არსებობის შემთხვევაში, ორივე სიის შემადგენლობამ პრეზიდენტს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს საერთო კანდიდატები, რომლებსაც პრეზიდენტი დაამტკიცებს, თუ მას ამ კანდიდატების საწინააღმდეგო განსაკუთრებული საფუძველი არ ექნება".

უნდა არსებობდეს უფრო მეტად დახვეწილი კანონმდებლობა, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მისცემს უხეში დარღვევებისათვის კომისიის წევრის გათავისუფლებისა და მისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სასამართლოთი დაკისრების საშუალებას. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უნდა შეეძლოს, აგრეთვე, სასამართლოს მეშვეობით აგებინოს პასუხი კომისიის წევრს შედარებით მსუბუქი დარღვევისთვისაც.

**ჩვენი რეკომენდაცია: სამართლებრივი რეფორმის გატარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, ერთი მხრივ, მარეგულირებელი კომისიის მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობა და, მეორე მხრივ, მომხმარებლებისა და ლიცენზიატების მიმართ კომისიის წევრების კანონით განსაზღვრული მაღალი ხარისხის პასუხისმგებლობა, რომლებიც გახდება მარეგულირებელი ინსტიტუტის ეფექტურად მუშაობის მტკიცე საფუძველი.**

### კანონით დადგენილი ელექტრობაზრის ფუნქციონირების პრინციპები უმოქმედო ნორმაა

ზემოთ განხილული და სხვა არასწორი სამართლებრივი ნორმების, აგრეთვე, ხელისუფლების არასწორი ადმინისტრირების შედეგია ის, რომ "ელექტროენერგეტიკისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლით დადგენილი ელექტრობაზრის ფუნქციონირების ყველა პრინციპი დარღვეულია. მათ შორის უმთავრესია დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა.

**ელექტრობაზარზე ყიდვა-გაყიდვის პროცესი გაუმჭვირვალეა.** გამყიდველმა არ იცის, ელექტრობაზარმა ვის მიჰყიდა მისი ელექტროენერგია. ელექტრობაზრის მიერ ელექტროენერგიის ყველა მყიდველზე განაწილება, რასაც ამჟამად აქვს ადგილი, უსამართლოა შემდეგი გარემოებების გამო:

- დიდი რაოდენობის მყიდველზე ელექტროენერგიის განაწილება თითქმის შეუძლებელს ხდის ელექტროენერგიის საფასურის ამოღებას, რადგან შესაძლოა მყიდველებს იმდენად უმნიშვნელო თანხები დაეწეროს, რომ აზრი დაეკარგოს გამყიდველის მიერ თითოეული მათგანისაგან შესაბამისი თანხების ამოღების მცდელობას;

- ხელისუფლების სოციალური და პოლიტიკური მოტივაციის გამო, მიწოდებული ელექტროენერგიის საფასური ვალად ეწერება სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ იმ ურჩ გადამხდელ კომპანიებს, რომელთა მიმართაც აღსრულება სასამართლოს მიერ შეჩერებულია;

- მიწოდებული ელექტროენერგიის საფასური ვალად ეწერება აგრეთვე კონფლიქტურ ზონაში მოქმედ კომპანიას, რომელზეც ჩვენი კანონები არ ვრცელდება;

- არ არსებობს ალტერნატიული ბაზარი, ამიტომ გამყიდველს არავითარი არჩევანი არ გააჩნია და იგი იძულებულია, ელექტროენერგია მიჰყიდოს ერთადერთ ელექტრობაზარს, რომელიც პასუხს არ აგებს სრული თანხის დროულ ანაზღაურებაზე.

**ელექტრობაზარი, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი არ არის.** ელექტრობაზრის მაღალი და გარანტირებული ანაზღაურების მქონე თანამშრომლებს არ უღირთ ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მათ საქმეებში უკანონო ჩარევის გამო. ხელისუფლებას ყოველთვის აქვს მათზე როგორც კანონიერი, ისე უკანონო ზემოქმედების შესაძლებლობა სემეკის, ძალოვანი და საგადასახადო სამსახურების, ენერგეტიკის სამინისტროსა და, მთლიანად, მთავრობის მეშვეობით. ხელისუფლებას ყოველთვის შეუძლია ელექტრობაზარს მოუსპოს სასათბურე მდგომარეობა კანონმდებლობის მოწესრიგების გზით, თუმცა იგი ამას იმ დრომდე არ გააკეთებს, სანამ ელექტრობაზარი მის პოლიტიკას ემორჩილება. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს ელექტრობაზრის ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებას.

ელექტრობაზრის დამოუკიდებლობის არარსებობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ იგი, ხელისუფლების პოლიტიკური და სოციალური მოტივაციის მიზეზით, ვერ ახორციელებს თავისი არგადამხდელი წევრების მიმართ კანონით დადგენილ სანქციებს (გამორთვებს). ამას კი სავალალო შედეგებამდე მივყავართ - ხდება ვალების დაგროვება და ენერგოსექტორის დეგრადაცია.

როცა არ არსებობს დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა, იქ ელექტრობაზრის ფუნქციონირების სხვა ძირითად პრინციპებზე (ეკონომიკური მიზანშეწონილობა და სამართლიანობა; გარანტირებული და თავისდროული ანგარიშსწორება; ბაზრის წევრთა თანასწორუფლებიანობა) საუბარიც კი უხერხულია.

**ჩვენი რეკომენდაცია: ელექტრობაზარზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს თავისუფალი ვაჭრობა, სადაც მყიდველი და გამყიდველი თვითონ დაამყარებენ სავაჭრო ურთიერთობას და დავების შემთხვევაში ერთმანეთის მიმართ თავად აგებენ პასუხს ხელშეკრულებისა და კანონის საფუძველზე. საუკეთესო შემთხვევაში, უმჯობესია, ელექტრობაზარი იყოს კომერციული სტრუქტურა საგარანტიო აქტივებით, რომელიც თავად აწარმოებს ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს და საკუთარი ან საგარანტიო კაპიტალით პასუხს აგებს გამყიდველისა და მყიდველის მიმართ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თავისუფალი ვაჭრობა მიუღწევადია ელექტროხაზებზე თავისუფალი დაშვების უზრუნველყოფის გარეშე. ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა გადახედოს სამართლებრივ ბაზას და მოაწესრიგოს იგი საბაზრო წესების დახვეწის მიზნით.**

## 3. ხელისუფლების პერსპექტიული ენერგეტიკული პოლიტიკის შეფასება

არასწორი მიმდინარე ენერგეტიკული პოლიტიკა და ენერგოსექტორის უხეირო ადმინისტრირება გვაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, ხელისუფლებამ არასრულფასოვანი რეფორმები გაატაროს ენერგოსექტორში, რაც ყველაზე მეტად შემაშფოთებელია მცირე და საშუალო კერძო ენერგოკომპანიების მესვეურთათვის და საზიანოა საზოგადოებისათვის. ამ ეჭვს ადასტურებს ხელისუფლების პერსპექტიული ენერგეტიკული პოლიტიკის ქვემოთ განხილული ზოგიერთი მაგალითიც.

### ჯერ პრივატიზაცია თუ საკანონმდებლო რეფორმა?

მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, რაც შეიძლება მალე მოახდინოს ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზაცია. თუმცა, პრივატიზაციის მკაფიო გეგმა, ფაქტობრივად, უცნობია საზოგადოებისათვის. ხელისუფლებაში უფრო მეტად საუბრობენ პრივატიზაციაზე, ვიდრე სამართლებრივ რეფორმაზე ენერგოსექტორში. არადა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როდის განხორციელდება პრივატიზაცია, სამართლებრივ რეფორმამდე, თუ ამ უკანასკნელის შემდეგ. პრივატიზაციის განხორციელება მიზანშეწონილია სამართლებრივი რეფორმის გატარებამდე, რადგან:

1. მოუწესრიგებელ სამართლებრივ სივრცეში ინვესტორს ენერგეტიკული ობიექტების შეძენის ინტერესი ან საერთოდ არ ექნება ან თუ ექნება, მაშინ ის გაითვალისწინებს მაღალ რისკებს და შემოგვთავაზებს ჩვენთვის ისეთ არასახარბიელო პირობებს, როგორიცაა:

ა) დაბალი საპრივატიზაციო ფასი;

ბ) ხელშკრულების შეუვალობა, სადაც დაფიქსირებული იქნება საქართველოს კანონების საწინააღმდეგო და ქვეყნის ინტერესებისათვის მიუღებელი პირობები (მაგალითისათვის საკმარისია, გავიხსენოთ "ეი-ი-ეს" კორპორაციასა და საქართველოს მთავრობას შორის დადებული საპრივატიზაციო ხელშეკრულება);

2. ადგილობრივ მცირე და საშუალო ინვესტორს, ფაქტობრივად, საშუალება ერთმევა, პირდაპირ მიიღოს მონაწილეობა პრივატიზაციის პროცესში;

3. ჯერ პრივატიზაცია, შემდეგ საკანონმდებლო რეფორმა შეიცავს კორუფციული გარიგებების - პრივატიზაციის პროცესის მაღალი ჩინის მოხელეების ინტერესებზე მორგების რეალურ საფრთხეს;

4. ენერგოობიექტების მსხვილი პაკეტით გაყიდვა შეიცავს მცირე ენერგოობიექტების მომავალში დამოუკიდებლად და ნორმალურად ფუნქციონირებისათვის ზომაზე მეტ საფრთხეს. კერძოდ, არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზების შემდეგ მოხდეს მხოლოდ ახალი მფლობელების, როგორც უმსხვილესი ინვესტორების, ინტერესების სახელმწიფოს მიერ გათვალისწინება საკანონმდებლო რეფორმებში და იგნორირებულ იქნეს მცირე და საშუალო მეწარმეთა ინტერესები (გავიხსენოთ ესპანური "იბედროლას" საქმიანობა ელექტრობაზარში, "ეი-ი-ესის" საქმიანობა თელასში, "პი-ეი კონსალტინგის" საქმიანობა გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში და სხვ.).

მცირე ჰიდროელექტროსადგურების წილი ელექტროენერგიის საერთო გამომუშავებაში უმნიშვნელოა. ისინი, ძირითადად, ლოკალური დანიშნულების სადგურებია, რომლებიც უფრო ეფექტურად და საიმედოდ მოემსახურებიან ადგილობრივ მომხმარებლებს. მსოფლიოში ამის წარმატებული პრაქტიკა არსებობს. აღნიშნულის დამადასტურებელი მაგალითები საქართველოშიც გვაქვს.

**ჩვენი რეკომენდაცია: ხელისუფლებამ მსხვილი ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზაციამდე სამართლებრივი რეფორმა უნდა გაატაროს ენერგოსექტორში.**

**სახელმწიფომ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი მცირე და საშუალო კომპანიებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ლოკალური დანიშნულების დაბალი ძაბვის ელექტროქსელები ხანგრძლივი იჯარით გადასცეს ან მათი პრივატიზება მოახდინოს ადგილობრივი ინვესტორებისათვის მისაღები პირობებით, მსხვილი ენერგოობიექტების პრივატიზაციამდე.**

### სისტემური რეფორმა - დიახ, მაგრამ მხოლოდ არსებული გამოცდილების გათვალისწინებით

კანონმდებლობასა და სემეკის დადგენილებებში საჭირო ცვლილებებისა და დამატებების შეტანის რეალური შესაძლებლობა არსებობს. იგი არ მოითხოვს დიდ სამუშაოებსა და დროს, რადგან საკმარისი გამოცდილება დაგროვდა და, ძირითადად, ცნობილია ის საკანონმდებლო ბარიერები, რომლებიც ხელს კი არ უწყობენ, არამედ აფერხებენ ენერგოსექტორს და ამით უზარმაზარ ზიანს აყენებენ ქვეყანასა და ხალხს.

ჩვენ სისტემური რეფორმის მომხრენი ვართ და მიგვაჩნია, რომ იგი უნდა განხორციელდეს საქართველოსა და უცხოეთში არსებული გამოცდილების გაანალიზების და არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საფუძველზე, რადგან ამის გარეშე, სრულიად ახალი მოდელის შემოღება ექსპერიმენტის ტოლფასია, რომელიც ან გაამართლებს, ან არა. აქედან გამომდინარე, ის დაკავშირებულია ახალ რისკებთან, რამაც შეიძლება საბედისწერო მდგომარეობაში ჩააყენოს ენერგოსექტორი და მთლიანად ქვეყანა.

**ჩვენი რეკომენდაცია: ვინაიდან არათანმიმდევრულმა და ბოლომდე გაუაზრებელმა რეფორმამ მიგვიყვანა ენერგოსექტორის უმძიმეს ვითარებამდე, ამიტომ აუცილებელია საკუთარი და მოწინავე ქვეყნების გამოცდილების კარგად გათვალისწინება და არსებული საკანონმდებლო ბაზის თანმიმდევრული სრულყოფა, რითაც დაზღვეული ვიქნებით სახიფათო ტენდენციებისაგან.**

### ახალი სიმძლავრეების მშენებლობა თუ არსებულის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია?

თანამედროვე საქართველოში ადგილი აქვს არსებული ადგილობრივი ენერგეტიკული პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოუყენებლობას. არასწორი პოლიტიკისა და მართვის დაბალი კულტურის გამო ვერ ვიყენებთ გამართულ სიმძლავრეებს, რის შედეგადაც უაზროდ იღვრება წყალი და არაეფექტურად ხდება მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი გადამცემი ხაზების ექსპლუატაცია. გარდა აღნიშნულისა, ფინანსური პრობლემებისა და ზემოხსენებული მიზეზების გამო, ვერ ხერხდება გაუმართავი სიმძლავრეების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია. ექსპერტების გათვლებით ადგილობრივი ენერგეტიკული სიმძლავრეების ეფექტურად გამოყენებითა და რეაბილიტაცია-მოდერნიზაციით 5-7 წელიწადში მიიღწევა 15 მილიარდი კვტსთ ელექტროენერგიის გამომუშავება, როცა საპროგნოზო მოთხოვნილება ამ დროისათვის იქნება 12-13 მილიარდი კვტსთ. მაშასადამე, 5-7 წელიწადში შეიძლება არა მარტო მთლიანად დაკმაყოფილდეს მოთხოვნილება, არამედ საექსპორტოდ გამომუშავდეს ჭარბი ელექტროენერგია. ასეთ ვითარებაში, ხელისუფლება მხარს უჭერს კერძო ენერგოკომპანია სს "ენერჯი ინვესტს", რომელიც გეგმავს 300 მეგავატამდე სიმძლავრის ახალი გაზტურბინიანი ელექტროსადგურის მშენებლობას. ხელისუფლებამ ამ კერძო კომპანიისადმი მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 აპრილის N162 განკარგულებით.

განკარგულებაში აღნიშნულია, რომ, თუ სს "ენერჯი ინვესტი" ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურს ვერ მიიღებს 100 % -ით, მაშინ მას დანაკლისი აუნაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. განკარგულებაში არაფერია ნათქვამი სხვა ელექტრომწარმოებელ კომპანიებზე, იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია მათ ვერ აუნაზღაურებს მიღებული ელექტროენერგიის საფასურს. გამოდის, რომ **მთავრობა ფინანსურ გარანტიებს აძლევს თავის რჩეულ კერძო კომპანიას სხვა კერძო ენერგოკომპანიებისა და მთლიანად საზოგადოების ხარჯზე, რაც არათუ შეუწყნარებელია, არამედ კანონმდებლობის დარღვევაცაა, რაზედაც მთავრობა წესით პასუხს უნდა აგებდეს.**

ისმება კითხვა: რეალურად, რა მიზნით აპირებს ხელისუფლება ისედაც მწირი ბიუჯეტიდან თანხების არასწორად გამოყენებას. აქაც სამი შესაძლო ვარიანტიდან ერთადერთი ჭეშმარიტი პასუხი არსებობს: ხელისუფლება ან არაკომპეტენტურია ან მას კერძო ინტერესები ამოძრავებს, ან კიდევ, ორივე გარემოებას ერთდროულად აქვს ადგილი.

**ჩვენი რეკომენდაცია: ცენტრალური ხელისუფლების არც ერთმა ნაწილმა არ უნდა დაუშვას საწარმოთა მიმართ თანასწორი დამოკიდებულების კანონმდებლობით გარანტირებული პრინციპის დარღვევა -კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათები ცალკეული საწარმოების მიმართ. აღნიშნულის გათვალისწინებით, მთავრობამ უნდა გააუქმოს თავისი 2005 წლის 29 აპრილის N162 განკარგულება.**

### რატომ ჭიანურდება შიდა ვალების მომსახურების საკითხის გადაწყვეტა?

შიდა ვალების მომსახურება ერთ-ერთი უპირველესი და ცენტრალური საკითხია ელექტრომწარმოებელი კომპანიების და, საერთოდ, ენერგოსექტორის განვითარებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ თუ მოკლე დროში ვალების გასტუმრების საკითხი სამართლიანად არ გადაწყდა, არა მხოლოდ სექტორის ნორმალურ განვითარებას შეეშლება ხელი, არამედ ამან შეიძლება სახიფათო პოლიტიკური ვნებათაღელვის მუხტი მისცეს საზოგადოებას. ხელისუფლებას თითქოს დაგეგმილიც ჰქონდა ვალების მომსახურების სააგენტოს შექმნა უცხოეთის დონორი ორგანიზაციების დახმარებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმეს მრავალი თვის განმავლობაში საშველი არ დაადგა და გაურკვეველია, საბოლოოდ ასეთი სააგენტო შეიქმნება თუ არა და თუ შეიქმნება, როდის მოხდება ეს, კონკრეტულად რა პირობით, ვის და რომელ ვალებს მოემსახურება იგი?

ამ საკითხზე რეალური ინფორმაციის მოპოვება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

საერთოდ, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კერძო ენერგოკომპანიების ვალების გასტუმრება გადაწყვეტადი საკითხია. როგორც ცნობილია, ძირითადად, შემდეგი სახის ვალები არსებობს:

- "საქენერგოს" ვალები, რომელთა მომსახურებაც დაეკისრა თავის დროზე სპეციალურად შექმნილ შპს "საქენერგო-2000-სს";

- ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მეშვეობით დაგროვილი ვალები;

- გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ვალები;

- სხვა ვალები.

პირველი სამი სახეობის ვალებზე უმთავრესად სახელმწიფომ უნდა აგოს პასუხი, რადგან სწორედ მისი მიზეზით მოხდა მათი დაგროვება. ხელისუფლებას კერძო კრედიტორების მიმართ არსებული დავალიანების გასასტუმრებლად მრავალი შესაძლებლობა გააჩნია. ესენია:

- საპრივატიზაციო ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზაციიდან შემოსული ნაღდი თანხა, ან თავად საპრივატიზაციო ობიექტების აქციები;

- გაუსტუმრებელი ვალის ჩათვლა კერძო კრედიტორების სახელმწიფო გადასახადების გადახდაში;

- სახელმწიფო სესხის კერძო კრედიტორებისათვის გამოყოფის შესაძლებლობის დაშვება და გაუსტუმრებელი ვალის ჩათვლა გაცემულ სახელმწიფო სესხზე დარიცხული პროცენტის გადახდაში.

ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებების გამოყენება ცეტრალური ხელისუფლების სერიოზულ და აქტიურ ჩართვას ითხოვს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისათვის. თუმცა, პრობლემის უმეტესწილად მოგვარება შედარებით მარტივადაც შეიძლება სემეკისა და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მეშვეობითაც. ამასთან დაკავშირებით, ელექტროენერგიის მწარმოებელთა ასოციაციის მიერ მომზადდა წინადადებები დებიტორული დავალიანების მქონე ელექტრობაზრის მყიდველების განსაზღვრის, ვალების გასტუმრებისა და დაგროვების თავიდან აცილების წესების შესახებ. ეს წინადადებები შეტანილ იქნა სემეკსა და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში განსახილველად. თუმცა, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამ წინადადებებს, მისი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ინტერესით არ შეხვედრიან სემეკსა და სესხში.

საბოლოოდ, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ, **თუ ხელისუფლება მოინდომებს, ვალების პრობლემა დროულად და სწრაფად გადაწყდება და ელექტროენერგეტიკაში კერძო სექტორიც გამოცოცხლდება. მაგრამ საკითხავია, შედის თუ არა ეს ხელისუფლების ინტერესებში?**

სავარაუდოა, რომ ქონების გადანაწილება შემდეგი სქემებით ხდება: სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების მიერ ვალების დაგროვება, მათი ქონების გასხვისება კრედიტორებთან შეუთანხმებლად, ან აღნიშნული საწარმოების გაკოტრებაზე გაშვება, ქონების ღირებულების ხელოვნურად შემცირება და შემდეგ მათი პრივატიზება დაინტერესებულ ხელისუფალთა ხელსაყრელი პირობებით. თუ ეს ასეა, მაშინ საქმე გვაქვს საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობის, სახელმწიფო ქონების, ხელისუფალთა მიერ გამოყენებულ გადანაწილებასთან, რასაც სამართლიანობასა და დემოკრატიასთან, თავისუფალ მეწარმეობასთან, მოქალაქეობრივ და სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან, მით უმეტეს, ქვეყნის სიყვარულთან საერთო თითქმის არაფერი აქვს.

**ჩვენი რეკომენდაცია: ხელისუფლებამ ენერგოობიექტების პრივატიზაციამდე, სამართლებრივი რეფორმების განხორციელების პარალელურად, დაუყოვნებლივ და სამართლიანად უნდა გადაწყვიტოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში დაგროვილი შიდა ვალების საკითხი, რაც დარგის ჩიხური მდგომარეობიდან გამოყვანის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.**

### ხელისუფალთა ინტერესები კონკურენციის განვითარების საპირისპიროდ

თანამედროვე ეტაპზე ხელისუფლება იძულებული გახდა უარი ეთქვა ელექტროსისტემის დისპეტჩერიზაციისა და მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების, აგრეთვე "ენგურჰესისა" და "ვარდნილჰესების კასკადის" პრივატიზაციაზე. ამიტომ იგი ელექტროსისტემის 35-110 კილოვოლტიანი გადამცემი ქსელების გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისათვის გადაცემას ჩქარობს, რათა უფრო მსხვილი პაკეტით მოახდინოს პრივატიზება.

ამ ფაქტიდანაც კარგად ჩანს, რომ ხელისუფლებას სამართლიანი თამაშის წესების დადგენის მაგივრად, უფრო ენერგოობიექტების პრივატიზაცია აინტერესებს.

გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია ელექტროენერგიის განაწილებაში მონოპოლისტია საქართველოს უდიდეს ტერიტორიაზე. 35 - 110 კვ-იან ქსელებზე მიერთებულია საშუალო და მცირე ელექტროსადგურებისა და პირდაპირი მომხმარებლების უდიდესი ნაწილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილია 35-110 კილოვოლტიანი გადამცემი ქსელების გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის გადაცემა?

**ჩვენი რეკომენდაცია: სანამ დაკანონებული არ იქნება ელექტროქსელებზე მესამე პირების თავისუფალი დაშვება, მანამდე გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ელექტროგადამცემი ქსელებით გამსხვილება მიზანშეუწონელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ელექტროსადგურები და მსხვილი მომხმარებლები მთლიანად მოექცევიან გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის კიდევ უფრო გაძლიერებული მონოპოლიის ქვეშ და მათ სავაჭრო პარტნიორის თავისუფალი არჩევის საშუალება აღარ ექნებათ. ეს კონკურენციის შეზღუდვისაკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რაც დაუშვებელია.**

### პოლიტიკის განსაზღვრის სხვადასხვა მიმართულებებს ხელისუფლება ჯერ არ იყენებს

ხელისუფლების ენერგეტიკულ პოლიტიკას განსაზღვრავს კანონშემოქმედებითი მუშაობა, რომლის პოზიტიური შედეგიც, ჯერ-ჯერობით, არ ჩანს. ენერგეტიკულ პოლიტიკას განსაზღვრავს აგრეთვე სახელმწიფო პროგრამები, მეთოდოლოგიები, ნორმები და სტანდარტები, თუმცა ამ მიმართულებითაც ხელისუფლება ვერ ახერხებს ნაყოფიერ მუშაობას. ის, ალბათ, იმედოვნებს, რომ რეფორმებსა და, საერთოდ, დარგის განვითარების სტრატეგიაზე სხვები, კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციები იზრუნებენ. ამიტომ ხელისუფლება უფრო ენერგოსექტორის ოპერატიული მართვითა და ენერგოობიექტების საპრივატიზაციოდ მომზადებით არის დაკავებული.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის მომავალზე ზრუნვის სხვისთვის მინდობის სინდრომი ისევ მოქმედებს ხელისუფლებაში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ გვყავს კომპეტენტური, პრინციპული და პატიოსანი ადგილობრივი კადრები, რომლებსაც შესწევთ სწორი ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების და სექტორის ეფექტურად მართვის უნარი. უბრალოდ საჭიროა, რომ ხელისუფლებამ ამ კადრებს ნდობა გამოუცხადოს, დააკისროს შესაბამისი ფუნქცია და მისცეს ქვეყნისათვის სასარგებლო მოღვაწეობის შესაძლებლობა. რატომ არ აკეთებს ამას ხელისუფლება? ამ კითხვაზე თავად ხელისუფლებამ გვიპასუხოს.

მონოპოლია 70 წლისაა



B3

ნემსაძემ კანდიდატურა მოხსნა



B4

"ფოლკსვაგენის" ახალი "პოლო" - პატარა და სოლიდური



B6


ნოდარ ლადარია

# მომავალ ორშაბათამდე!



დებო და ძმებო, კოლეგებო, ჟურნალისტებო! ოქროს კალმებისა და ფრთების, შოკოლადის მიკროფონებისა და, უწინარეს ყოველთა, ყავარზე გადებული კუდების მფლობელნო! — პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ "სამიტი" (ინგლისური სიტყვიდან summit, რაიც მწვერვალსა ნიშნავს) სახელმწიფოთა მეთაურების შეკრებას, უმაღლეს სახელისუფლებო დონეზე ჩატარებულ დიპლომატიურ ღონისძიებას გულისხმობს. როცა ევროპის სამიტი ცხადდება, მასზე ინგლისიდან **ტონი ბლერი** (პრემიერ-მინისტრი), საფრანგეთიდან კი **ჟაკ შირაკი** (პრეზიდენტი) ჩავლენ, რადგან ასეა მოწყობილი მათი სახელმწიფოები — ერთში პრემიერ-მინისტრია უმაღლესი ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის მქონე, მეორეში კი პრეზიდენტი. ასე რომ გამოთქმა "პრემიერ მინისტრთა სამიტი" ან "საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტი" მხოლოდ და მხოლოდ ტერმინოლოგიური გაუგებრობის მაჩვენებელია. ამ სიტყვას არანაირი ზედსართავი სახელი ან დამატებითი განმარტება არ სჭირდება, გარდა გეოგრაფიული არეალის ან სახელმწიფოთა ალიანსის დასახელებისა.

დიდი ხანია, ამის თქმა მინდოდა და, როგორც იქნა, საბაბიც მომეცა, მაგრამ ამაზე ახლა ყურადღებას არ გავამახვილებ, რადგან შენიშვნა სრულიად საქართველოს მედიას ეხება. რაც შეეხება "24 საათს", გასული კვირის პირველსავე დღეს, ორშაბათს, 30 მაისს გადავშალე ნომერი და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ერთბაშად განახლებულ ქვეყანაში აღმოვჩნდი, რომელმაც ყველაზე გაბედული ლიბერალურ-დემოკრატიული ოცნებები აისრულა. ჯერ მარტო სათაურები რად ღირს: "ჯორჯ სოროსი პოსტრევოლუციურ საქართველოში", "ჩეჩენი დევნილები პანკისის ხეობას ტოვებენ", "ცრუ მოწმის აღიარებითი ჩვენება" — რა გინდა ამაზე უკეთესი?! აქვე ჩვენი პრეზიდენტიც მოძღვრავს ამა ქვეყნის ძლიერთ: **მიხეილ სააკაშვილი**, *ხუთი საკვანძო პრინციპი მთელი მსოფლიოს რეფორმატორებისთვის*. ერთი რამაა დასანანი: ეს სტატია "ფაინენშელ ტაიმსიდან" არის. ნეტა იმ დღეს მოგვასწრო, როცა ჩვენი ქვეყნის მეთაური ჩვენც, მის თანამემამულეებს, ასეთივე ფხიზელი გონებით მოგვმართოს: "**რეფორმატორებმა გათვლები იმაზე არ უნდა გააკეთონ, რომ საზოგადოებაში სასიხარულო განწყობის შენარჩუნებას მუდამ მოახერხებენ. ისინი უნდა შეეგუონ, რომ, ადრე თუ გვიან, ამომრჩეველს იმედს გაუცრუებენ და პოსტების დატოვება მოუწევთ. რეფორმატორები გრძელვადიანი გარდაქმნებისკენ უნდა ისწრაფოდნენ და არა ხანმოკლე პოლიტიკური სიამოვნებისკენ**".

მშვენიერია! მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ, რატომ დაგვსაჯა ასე შემოქმედმა ისინი, ვისაც შინ არ მოგვდის "ფაინენშელ ტაიმსი", ვერც ჯიხურში ვყიდულობთ და იძულებული ვართ ყველა არხზე ერთდროულად მომღიმარე მიშას ვუცქიროთ პირდაპირ ეთერში? ერთი რამ შეგვრჩა საიმედოდ: პრეზიდენტი გაცილებით უფრო ბუნებრივია, როცა ახალგაზრდობას ბუჩქებისკენ იწვევს, როგორც ეს პატრიოტული ბანაკების გახსნისას გააკეთა, ვიდრე მაშინ, როცა წმინდა გიორგის ან მიქაელ მთავარანგელოზს ახსენებს.

ერთი სიტყვით, წამით გვაჩვენა "24 საათის" პირველმა გვერდმა, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ცხოვრება და... მაგრამ ეს შთაბეჭდილება არც შემდგომ გვერდებზე გამნელებია. მაგალითად, **ზაზა ფაჩუაშვილის** მასალა ერთობ ლირიკული სათაურით: *ჩუმად ტიროდნენ მეტეხის კლდოვან ქიმზე*. აქ მოყვანილია რეპორტაჟი თბილისის ერთ-ერთი უბნის, ეგრეთ წოდებული "შავი სოფლის" დღესასწაულიდან. შავსოფლელები კრწანისის ომში დაღუპულებს იხსენიებდნენ წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვართან, დეკანოზ **ბესარიონ მენაბდესთან** ერთად.

მერე და რა? ისეთი რა მოხდა ვითომ? უცხო და საკვირველი კი ის იყო, რომ მართლმადიდებელ მრევლთან ერთად დღესასწაულს ესწრებოდა ფასანაურელი ხევისბერი, **ნიკოლოზ ქავთარაძე**. აქვეა მოყვანილი მის მიერ წარმოთქმული ლოცვის ტექსტი: "**ღმერთო, შენ ხარ უზენაესი, შენ ხარ უძლეველი, დაუსრულებელი სამყაროს ბატონ-პატრონი, მმართველი ძალა უზენაესი. ღმერთო, შენ გაუმარჯვე შენისა ძალისა მსახურთა ღვთისშვილთა, მზისა და მთვარის მადლს, დედამიწის მოსავალს, არგუთვნის მადლს. ღმერთო, შენ გაუმარჯვე დიდს უფალსა იესო ქრისტესა, უზენაესსა, უძლეველსა, ულამაზესსა; დიდსა დედასა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელსა; დიდ წმინდა ნიკოლოზსა საკვირველმოქმედსა; ღმერთო, შენ გაუმარჯვე დიდ წმინდა გიორგის ღმერთიანსა, 365 წმინდა გიორგისა, ამინ. ღმერთო შენ გაუმარჯვე დიდ კვირაცხოველსა. ღმერთო შენ გაუმარჯვე დიდ მთავარანგელოზსა მთავრით ხსენებულსა, დიდ წმინდა ელიასა, დიდ პეტრესა და პავლეს, ამინ. ღმერთო, გაუმარჯვე დავლათიანო ქალაქ თბილისსა, მის შვილებსა, ეკლესიასა, ბერ-მონაზვნებსა, მღვდელთა, მოძღვართა მართალთა და ღირსეულთა, ღმერთო, გაუმარჯვე ერწო-მთიანეთის, მესხეთ-ჯავახეთის, ქართლ-კახეთის, იმერთა სალოცავებს. თქვენ მიეცით მხარი მხარს, გამარჯვებულნო, ძალი ძალს მიუმატეთ და უშველეთ ტანჯულ საქართველოს. ჯვარი დაგეწეროთ, დიდო მართალო ერო**".

როგორც ვხედავთ, ნამდვილი სინკრეტული კულტია, რომლის პანთეონში უცნაურად გადაჯაჭვულან წარმართული კულტის ობიექტები (მზე, მთვარე, ღვთისშვილები, არღუნი), ქრისტიანი წმინდანები, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები და თვით იესო ქრისტე, პანთეონის გამორჩეული, მაგრამ მაინც ერთ-ერთი წევრი, რომელიც მართლაც რომ აპოლონური ეპითეტებითაა დახასიათებული. განა საკვირველი არაა, რომ საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში მოღვაწე დეკანოზმა მართლაც რომ "პანეკუმენურ" ლოცვაში მიიღო მონაწილეობა? განა ეს ახალი და უცხო ცხოვრების ათინათი არაა?

მოდი და ნუ გაგიკვირდება, რომ წმინდა სამების ამღიარებელ ქრისტიანებთან ერთად ლოცვა აკრძალულია, ხევისბერთან კი დაშვებული.

მაგრამ ვითარება გაცილებით უფრო მარტივია: როგორც ეტყობა, დეკანოზმა არ იცის, ვერ წარმოუდგენია, რომ "პანეკუმენურ" ლოცვაში მიიღო მონაწილეობა. ეს საეკლესიო შეგნების უკიდურეს დაკნინებაზე, როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა და ერთხელ კიდეც დაგვიწერია ამის შესახებ, "თეოლოგიურ გაველურებაზე" მეტყველებს. მაგრამ ამის მაგალითები "24 საათის" ფურცლებზე დეკანოზ ბესარიონ მენაბდისა და ხევისბერ ნიკოლოზ ქავთარაძის ერთობლივი საკრალური ქმედებით არ ამოიწურება.

ესტაფეტას განაგრძობს **ზურაბ აფხაზავას** სტატია: *აღდგენილმა ეპარქიის საბჭომ აფხაზეთის მღვდელმსახურებს შორის შერიგება დააფიქსირა*. ამ ავტორმა ჯერ კიდევ შაბათს, 28 მაისს გამოაქვეყნა სტატია — *აფხაზეთის სამღვდელოებაში განხეთქილებაა*. ამ პირველ ტექსტს არაუშავდა. მაგრამ მეორე ტექსტი ნამდვილი გაუგებრობაა. დავიწყოთ თავიდან.

საქმე ეხება აფხაზეთში მყოფ მართლმადიდებელ მღვდლებს შორის კონფლიქტს, რომელიც თაობათა შორის ურთიერთობის დაძაბვაში გამოიხატება. უფროს თაობას აქ წარმოადგენს მღვდელი **ბესარიონ აფლიაა** (ფილია). პირველ ტექსტში ავტორი სამართლიანად განსაზღვრავს, რომ "**ახალგაზრდა აფხაზი ღვთისმსახურები ხელდასხმულნი არიან რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ადიღეს ეპარქიაში, მაშინ, როცა მამა ბესარიონი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღიდან გამოსული სამღვდელო პირია**".

მაგრამ სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა აღვიქვათ ასე პოზიტიურად მეორე სტატიის მთავარი უწყება — "აღდგენილმა ეპარქიის საბჭომ აფხაზეთის მღვდელმსახურებს შორის შერიგება დააფიქსირა"? ეს "ეპარქიის საბჭო" სრულიად უკანონო და გაუგებარი წარმონაქმნია, რადგან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას (მას ზურაბ აფხაზავა დაჟინებით მოიხსენიებს "სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიად") სათავეში უდგას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ კანონიერად დაყენებული მიტროპოლიტი **დანიელი** (დათუაშვილი). რაც შეეხება ბესარიონ ფილიას, მას მღვდელმსახურება აკრძალული აქვს და ავტომატურად დამნაშავეა, რადგან წირვისას არ იხსენიებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, **ილია მეორეს**, რომლის მაგიერ იხსენიებს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს, **ალექსი მეორეს**.

რაც შეეხება სამღვდელოების ახალ თაობას, მათზე ადიღეისა და მაიკოპის მთავარეპისკოპოსი **პანტელეიმონი** (რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია) აცხადებს, რომ ისინი მივლინებით არიან გაგზავნილი აფხაზეთში. ამგვარი მივლინების კანონიკური საფუძველი არ არსებობს, რადგან არ ყოფილა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნებართვა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "24 საათის" სოხუმელი კორესპონდენტის ზურაბ აფხაზავას მეორე სტატია დაწერილია სეპარატისტულად განწყობილი სამღვდელოების პოზიციიდან. და ეს გასაგებიცაა... მაგრამ მთავარი უბედურება ეს არაა. შევხედოთ საკითხს სხვა მხრიდანაც.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შედეგად აფხაზეთში დარჩენილი მართლმადიდებელი ქრისტიანები მოსწყდნენ დედა-ეკლესიის მაცხოვნებელ ხელმძღვანელობას. როცა საქმე სარწმუნოებას ეხება, განსაკუთრებით ცხადია, რომ კონფლიქტი არ ნიშნავს "კანონიკური ტერიტორიის" საკითხს, არამედ ადამიანების, მათი სულების უმძიმესი პრობლემაა. ქრისტეს ეკლესიის ყოველი წევრისთვის იმთავითვე ცხადია, რომ სოფელ ლიხნის ტაძრის მოხუცი რუსი წინამძღვარი, რომელიც დღემდე წირვისას იხსენიებს ილია მეორეს, გაცილებით უფრო ძვირფასი რესურსია მშვიდობისთვის, ვიდრე მხედრიონელთა რიგებში ჩამდგარი "ბე-ტეერების" მაკურთხებელი მიტროპოლიტი დანიელი.

მაინც რაში გამოიხატება დღეს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის კანონიკური მმართველის მოღვაწეობა? ვინმეს უნახავს იგი აფხაზეთიდან დევნილთა შორის? იქნებ საკუთარი საცხოვრებლიდან აყრილმა, საკუთარ ქვეყანაში უსამშობლოდ მცხოვრებმა ხალხმა გაიხსენოს მღვდელმთავრისაგან მიღებული მატერიალური დახმარება თუ არა, სიტყვიერი ნუგეში მაინც? ნუთუ ამას საერთაშორისო კონფერენციების პრეზიდიუმებში თვლემა და წელიწადში სამგზის ათონზე ძვირი მოგზაურობები ურჩევნია?

ჯერ-ჯერობით საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია შემდეგია: აფხაზეთში ჩვენ ვერ შევდივართ, ამიტომ თქვენც ნუ შეხვალთ — ხმამაღლა ეუბნებიან ისინი რუსული ეკლესიის იერარქიას. ერთი მხრივ, ამგვარი მოთხოვნის კანონიკური მართებულობა აშკარაა. მაგრამ საკითხს მეორე მხარეც აქვს: მკვეთრი განცხადებები სრულიად უძლურია, რაიმე რეალური გავლენა მოახდინოს რუსეთის ეკლესიის მოქმედებაზე და განმცხადებელმაც მშვენივრად იცის ეს. შედეგად, ქართველებს მებრძოლთა სახელი რჩება, რუსებს — გავლენის სფერო. სამაგიეროდ, მრევლი იჩაგრება: ადამიანის გული ღრმაა, ვერავინ იტყვის, რას შეიცავს მისი უფსკრული — ვინ იცის, აფხაზეთში მცხოვრებ რამდენ ქრისტიანს აქვს ხინჯად, რომ კანონიკურ მოთხოვნათა დამრღვევ მოძღვართან მიდის საზიარებლად. ქრისტეს ზიარება სინდისის წინააღმდეგ არ უნდა გაუხდეს ადამიანებს, ეს წარმოუდგენელია! ამგვარი რამე მხოლოდ მის გონებაში შეიძლება შევიდეს, ვინც სარწმუნოებრივ საკითხებზე მსჯელობისას სინდისს უგულებელყოფს...

მაგრამ დაკნინდა ჩვენი საეკლესიო ცნობიერება, ისინი კი, ვინც რატომღაც "რელიგიური საკითხების ექსპერტებად" მიიჩნევიან, ქართულ მედიაში ამგვარ მარგალიტებს აფრქვევენ:

"კითხვა: აფხაზები აცხადებენ, რომ მათი ეკლესია ძლიერდება და მრევლი მოემატათ.

პასუხი: არ არის მართალი. ქრისტიანობა არა მარტო კონფესიური, ეკლესიური, არამედ კულტურული ფორმაა. ახლად წარმოქმნილი, ბოლო ათწლეულში ჩამოყალიბებული აფხაზური ჯგუფი კულტურულად არ არის ძველი აფხაზების მემკვიდრე. ისინი ქრისტიანები არ არიან არც კულტურით, არც ყოფა-ცხოვრებით, არც მსოფლმხედველობით. ამიტომ იქ მრევლი ვერანაირად ვერ გაძლიერდება".

ეს ფრაგმენტია ინტერვიუდან, რომელიც გაზეთ "ხვალინდელი დღის" 1 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა. სანამ საქართველოში მედია-საბჭო არ ჩამოყალიბდა და მეც მის შემადგენლობაში არ შევედი, ჩემთვის განსაზღვრული კორექტულობის ფარგლებში დავრჩები და არ განვიხილავ ამ ნაწყვეტში მოცემულ სარწმუნოებრივ და სამეცნიერო ცდომილებებს (რბილად რომ ვთქვათ). არც იმაზე გავამახვილებ ყურადღებას, რომ აფხაზი ერის ასეთი მონაცისტო შეურაცხყოფა აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს ხელისუფლების ბოლოდროინდელ კურსს.

მხოლოდ ერთ რამეს ვიკითხავ: რატომ უნდა იყოს ფასანაურელი ხევისბერის მოწარმართო გლოსოლალია მისაღები, აფხაზეთში მცხოვრები მართლმადიდებელი მრევლის "მამაო ჩვენო" კი მიუღებელი? ერთადერთი პასუხი გვრჩება: ისინი სხვადასხვა ყულაბაში აგდებენ შესაწირავს. ზურაბ აფხაზავას მიერ 28 მაისს გამოქვეყნებულ სტატიაში წერია: "**დადგინდება ეკლესიებში ღვთისმსახურების ახალი ნორმები. კერძოდ კი, ღვთისმსახურებს ჯვრისწერაში, ნათლობაში და ა. შ. მოქალაქეებისგან ფულის აღება აეკრძალებათ. მათ ასევე აეკრძალებათ კერძო საკუთრებაში ავტომანქანების ყოლა და ა. შ.**". ამას რუსეთში ხელდასხმული ახალგაზრდა აფხაზი მღვდლები ითხოვენ და ამისთვის სურთ უკანონო საეკლესიო კრების მოწვევა. დიახ, კრება კი უკანონოა. მაგრამ ნეტა იმ დღეს მომასწრო, როცა მსგავსი საკითხები საქართველოში კანონიერად მოწვეულ საეკლესიო კრებაზე დადგება!

ამის ხომ არ ეშინიათ "რელიგიური საკითხების ექსპერტებს"?

სხვათა შორის, წინა კვირაში გამოქვეყნებულ ჩემს სტატიასაც მოჰყვა ერთგვარი რეზონანსი. სტატია ეხებოდა იერუსალიმის პატრიარქის გადაყენებას, რომელსაც მხარი დაუჭირა სრულიად მართლმადიდებელთა კრებამ სტამბულში. **ირინეოსი**, ერისკაცობაში **ემანუელ სკოპელიტისი**, იერუსალიმის ეკლესიის სინოდმა უკვე გადააყენა და საპატრიარქო ტახტს დაუნიშნა მოსაყდრე, პეტრას მიტროპოლიტი **კორნილიოსი**, ყოველმხრივ ღირსეული პიროვნება. უფრო მეტიც, საბერძნეთის მთავრობამ სკოპელიტისს გამოუწერა პასპორტი აღნიშვნით: იერუსალიმის ყოფილი პატრიარქი. საქმე დასრულებულია და თუ საქართველოს ეკლესიაში კვლავ განაგრძობენ მის მოხსენიებას, ამით მხოლოდ სრულიად მართლმადიდებელთა ერთობას უპირისპირდებიან.

განა მარტო ამით? აი, რას ამბობს საპატრიარქოს ოფიციალური წარმომადგენელი **ზურაბ ცხოვრებაძე** ჟურნალ "თბილისელებისადმი" მიცემულ ინტერვიუში: "**საქართველოს ეკლესიამ კი მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომ კრებას მოეთხოვა იერუსალიმის პატრიარქის გადაყენება, რადგან ეს ძალიან ცუდი პრეცედენტი იქნება იმისა, რომ ერთი ეკლესია ერევა მეორე ავტოკეფალური ეკლესიის საქმეებში. ასეთი რამ არ ხდება და, *როგორც ჩანს, გარკვეული ძალები ამიტომაც იყვნენ დაინტერესებულნი ამ შეკრების ჩატარებით***". "გარკვეული ძალები" ჩვენი მრევლის ენაზე მასონებს თუ რაღაც ამგვარს ნიშნავს. გამოდის, რომ სრულიად მართლმადიდებელთა კრება მასონების მოწვეული ყოფილა და ეს "გარკვეული ძალები" თავის ჭკუაზე ათამაშებენ იმას, რასაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან. ბარაქალა "გარკვეულ ძალებს"! — თანაც ყოველ ქართველ მართლმადიდებელს აჩვევენ იმ აზრს, რომ ეპისკოპოსი მხოლოდ მაშინ ტოვებს კანონიერად საკუთარ ეპარქიას, თუ მას **შორენა თეთრუაშვილი** დაურეკავს, ჰოდა, კონსტანტინოპოლის სრულიად მართლმადიდებელთა კრება ხომ შორენას არ მოუწვევია და რანაირად იქნება კანონიერი!

რაც შეეხება ავტოკეფალური ეკლესიის საქმეებში ჩარევას, ამგვარი ავტორიტეტი არა მხოლოდ მსოფლიო კრებებს აქვს: მართლმადიდებლურ სჯულის კანონში მრავალი ადგილობრივი კრების კანონიც შესულა (განგრის, ანტიოქიის, ლაოდიკიის და ა. შ.), რომლებსაც უსიტყვოდ ემორჩილებიან ავტოკეფალური ეკლესიები. ჰოდა, ნახევრად ხუმრობით ვიტყვი, რომ თუ სომხურ და კიდევ რამდენიმე სხვა ეკლესიას "არაქალკიდონური" ჰქვია, ჩვენც ისე ვიქცევით, თითქოს მართლმადიდებელი კი არა, რაღაც "არაკონსტანტინოპოლური" ეკლესია ვიყოთ.

სხვათა შორის, გასული კვირის განმავლობაში ერთი პოლიტიკური კლოუნადის მოწმენი გავხდით. ვუყურებდი ტელეეკრანზე როგორ ყვიროდა თეთრ კოსტუმში გამოწყობილი **მაისაშვილი** — გაუმარჯოს მოფერებას! — და ვერ გამერკვია, რას მაგონებდა. ბოლოს, მეგობარმა დამირეკა და გამომარკვია: "ხომ იცი, გიჟი ამერიკელი მქადაგებლები რომ გამოდიან ხოლმე სტადიონებზე — Jesus loves you!". საინტერესოა, რატომ არ ახსოვდათ საპატრიარქოდან ოფიციალურად მივლინებულ მოძღვრებს, როცა "მომავლის მთავრობას" აკურთხებდნენ, რომ ქრისტიანობა "კულტურული ფორმაცაა"? ალბათ წარმოიდგინეს, რამდენი მწვანე ქაღალდი იყო ჩაკუჭული თეთრი კოსტუმის ჯიბეებში...

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ლაშა ბუღაძის ფოტო

# "საჩუქარი" კომედიური პროლოგით

## კონჩალოვსკი ჩამოვიდა, ფესტივალი გამოვიდა

A1 გვერდიდან

თუმცა ამგვარ პროცედურებს კარგა ხანია შევეჩვიეთ და "იმედია" არც გუშინ დადგენილ სახალხო სეირნობასთან გაგვიჭირდება შეგუება. იმ დროს კი, როდესაც წვიმის მიუხედავად, დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე კიდევ ერთხელ უსინჯავდნენ გემოს ნებადართულ სეირნობას, ფესტივალი "საჩუქარი" ამაყად აუწყებდა ყველას: კონჩალოვსკიც ჩამოვიდა, პრეზიდენტიც ჩვენს გვერდითაა (აქედან გამომდინარე) და არც უფულობა ჩაშლის ხელოვნების ამ ორკვირიან დღესასწაულსო.

დღესასწაული კი, ფესტივალის ტრადიციის მიხედვით, "საჩუქრის" პრიზით - "ხელოვნებაში სრულყოფილებისთვის" გადაცემით დაიწყო. თუმცა, არა. ფესტივალის სამხატრო ხელმძღვანელს ბოლომდე არ დავიწყნია "ჩინოვნიკებისგან" მიყენებული წყენა და ფესტივალის პროგრამის პირველი სტუმარი, ანტონ ჩეხოვის პიესა სიმბოლურად დაუკავშირა რეალურ ვითარებას - ჩეხოვი ხომ ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც კარგად იცოდა და სააშკარაოზე გამოჰქონდა "პატარა ჩინოვნიკების" "წვრილმანი" თუ დიდი მანკიერებანი... ქეთი დოლიძეს ცხადია, არც პრეზიდენტი დავიწყნია: "მიხარია, რომ ჩვენი პრეზიდენტი წერილებს კითხულობს". ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ სწორედ ამ და მსგავსი წერილებით გადარჩა წლევანდელი "საჩუქარი". ერთ-ერთი ასეთი ბარათი, რომელიც ფესტივალის ორგანიზატორებმა მოსკოვის მერის მოადგილისგან, ლუდმილა შვეცოვასგან მიიღო, გუშინ ოპერისა და





სცენა სპექტაკლიდან "თოლია".

ბალეტის თეატრშიც წაიკითხა "საჩუქრის" სულისჩამდგმელმა. ამის შემდეგ გაცხადდა, რომ "ხელოვნებაში სრულყოფილების" პრიზები წლევანდელ ფესტივალზე ლილი იოსელიანისა და ანდრეი კონჩალოვსკისთვის იყო განკუთვნილი. "ალბათ აქამდეც უნდა გაგვეკეთებინა ეს", - განაცხადა ქეთი დოლიძემ, როდესაც გვაუწყა, რომ ერთ-ერთ პრიზს ფესტივალი დიდ ქართველ რეჟისორს ლილი იოსელიანს გადასცემდა (პრიზს ოთარ მელვინეთუხუცესი მოგვიანებით გადასცემს რეჟისორის). "კოკა-კოლას", როგორც ფესტივალის თანადამფინანსებელს კი წილად ხვდა, რომ მის წარმომადგენელს (კერძოდ კი სოფო ჭყონიას) მეორე ქანდაკება თავად კონჩალოვსკისთვის გადაეცა. ფესტივალის გახსნის ცერემონიალზე სამადლობლები თემურ ჭყონიას გარდა, მიიღეს: ბადრი პატარკაციშვილმა, გიორგი გაბაშვილმა (სამინისტროს შემთხვევაში, ქეთი დოლიძემ იმედი დაიტოვა, რომ მომავალში ეს უწყება უფრო მეტად შეეწევა ფესტივალს - ცხადია, ფინანსურ მხარადჭერას გულისხმობდა).

ფესტივალის პირველი დღის სტუმრებს მიესალმა ამერიკელი მსახიობი რონალდ რანდი (მსახიობი ზეგ წარმოადგენს მონოსპექტაკლს "კლერმანი"): "მიხარია, რომ ჩემი კლერმანი მოიწვიეს ფესტივალზე. როგორც ჰაროლდ კლერმანია ამერიკის ელჩი, ასევეა ქეთი დოლიძეც ქართული ხელოვნებისთვის". თბილისური ფესტივალის სულისჩამდგმელის შესახებ დახასიათებისას კიდევ უფრო რეალისტი აღმოჩნდა ანდრეი კონჩალოვსკი, როდესაც ქეთი დოლიძის განსაკუთრებულ ენერგიაზე გაამახვილა ყურადღება. თუმცა, ცნობილი რეჟისორი (რომელმაც გუშინდელ ცერემონიალზე კიდევ უფრო კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე) თავის არცთუ ხანგრძლივ გამოსვლაში უფრო მნიშვნელოვან თემატიკას შეეხო: "დღევანდელი ჩვენება ამ სპექტაკლის პირველი გასვლაა საზღვარგარეთ, თუმცა ეს საზღვარგარეთი კარგად იცნობს რუსეთს, როგორც კარგით, ისე ცუდით; ისევე, როგორც იცნობენ ერთმანეთს ნამდვილი მეზობლები", - აქვე რეჟისორმა ისიც შეგვახსენა, რომ მისი სპექტაკლი ტრადიციული თეატრალური ფორმებით შექმნა; და რომ იგი საკუთარ თავს რევოლუციონერს ვერ უწოდებს. "რთულია ხელოვნების შექმნა დღეს. ვისაც არ შეუძლია ფულის კეთება, ის ქმნის ხელოვნებას", - ამ და კიდევ უფრო საინტერესო საკითხებზე ანდრეი კონჩალოვსკი ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გვესაუბრება. რაც შეეხება "თოლიას", ვფიქრობ, ჩვენი მაყურებელი დაეთანხმება რუს კრიტიკოსებს, როდესაც მათ კონჩალოვსკის კომედია "თოლია" (როლებში: იულია ვისოცკაია, ირინა როზანოვა, ალექსეი გრიშინი...) ლამაზ, ცოტა ექსცენტრულ სანახაობად შეაფასეს.

# კოსტიუმირებული ფოტოფოლკლორი

## ეროვნულ გალერეაში "სუხიშვილების" იუბილეს აღსანიშნავი გამოფენა გაიხსნა

ია ვეკუა

თავისუფლად შეიძლება, რომ ივნისის პირველი დეკადა "სუხიშვილების" დღეებად გამოვაცხადოთ. დიდი საკონცერტო დარბაზი ცოცხალ მოცეკვავეებს მასპინძლობს, ხოლო სურათების ეროვნული გალერეის საგამოფენო სივრცემ ანსამბლის "ისტორიის წიგნის" ფუნქცია შეითავსა. 2-დან 11 ივნისის ჩათვლით გალერეაში "სუხიშვილების" 60-წლიანი არსებობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფოტოკადრებისა და ისტორიული კოსტიუმების გამოფენა გაგრძელდება.

გამოფენის ფოტოგრაფიული ნაწილი ლეგენდარული ნინო რამიშვილის უკანასკნელი ფოტოთი იწყება. ფოტოს ავტორია ნინო კუხიანიძე, რომელსაც საოცარი სიზუსტით დაუჭერია 90 წლის ქალბატონის სევდანარევი გამომეტყველება, კვლავ საცეკვაოდ მზადმყოფი, ოდესღაც ჰაეროვანი, ახლა კი სიბერისგან დაღარული თითები. ეს ფოტო იმ ისტორიაში მოგზაურობისთვის განგვაწყობს, რომელიც უკვე 60 წელია სუხიშვილების სახელით გრძელდება.

შემდეგ ოჯახური არქივიდან ამორჩეული უნიკალური კადრების ჯერია: სუხიშვილების ოჯახი სცენის მიღმა, შვილიშვილები, მშობლები, ბებია-ბაბუა. ნებისმიერი ხასიათის ოჯახური ფოტო ზედმიწევნით ინტიმურად მოჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სუხიშვილების სამივე თაობის ცხოვრება უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში საზოგადოების მუდმივი ყურადღების ქვეშ მიმდინარეობდა.

მორიგი კედელი ალექსანდრე სააკოვის ფოტოარქივს უჭირავს. შეიძლება ითქვას, რომ იგი ანსამბლის ფოტომემატიანეა. მისი კოლექცია შავ-თეთრი ფოტოებით



სუხიშვილების ოჯახი სერიოზულად ფიქრობს ქართული ცეკვის მუზეუმის შექმნაზე.





იწყება და უახლესი თაობის აპარატურის ობიექტივით დაფიქსირებული კადრებით მთავრდება. ალექსანდრე სააკოვის თვალი ანსამბლის თითქმის ყველა თაობის მოცეკვავეს ცნობს და თითოეული მათგანისთვის განსაკუთრებული რაკურსი და განათება აქვს შერჩეული. სწორედ მისი გადაღებულია ის ცნობილი კადრები, რომლებიც ორიოდე წლის წინ თბილისის სხვადასხვა უბანში განთავსებულ ბილბორდებზე გამოჩნდა.

სააკოვის ფოტოებიდან ახალი თაობის ფოტოხელოვანების ნამუშევრებისკენ ვინაცვლებთ. ახალგაზრდები, ძირითადად, ანსამბლის რეპეტიციებით ინტერესდებიან - ეს მუშაობის პროცესია - თავადაც ქმნიან ისევე, როგორც უმცროსი ილიკო სუხიშვილი ქმნის ახალ ცეკვებს.

ანა ნიჟარაძე ანსამბლს წითელ ფერს უძღვნის. ამ ფერის ფონზე თითქოს არსაიდან ამოზრდილი მოცეკვავეების გაწვრთნილი სხეულები ძველი მეომრებივით დგანან და ცეკვავენ "ხორუმს", "მხედრულს", "ხანჯლურს". ნიჟარაძის წითელ სერიას გოგა ჩანადარი, ირინა აბჟანდაძე და სხვები უერთდებიან.

ფოტოსესიის შემდეგ გალერეის მეორე დარბაზში ვინაცვლებთ, სადაც სოლიკო ვირსალაძის მიერ შექმნილი ესკიზები და რამდენიმე მზა კოსტიუმი გველოდება. თუმცა, გზად ერთი შეუსაბამობა გვხვდება - ქართული ეროვნული ფოლკლორის ილუსტრირებულ-კოსტიუმირებულ ღონისძიებაზე მუსიკალურ ფონს კლასიკური მუსიკის შემსრულებლები ქმნიან (ალბათ, იმიტომ, რომ გამოფენაზე მისულმა "სუხიშვილების" მოცეკვავეებმა უნებურად ცეკვა არ დაიწყონ)...

სოლიკო ვირსალაძე სუხიშვილ-რამიშვილის დუეტთან 30-იანი წლებიდან თანამშრომლობდა. მათთვის სასცენო კოსტიუმების ესკიზებს ქმნიდა, რაც 1945 წელს ანსამბლის დაარსების შემდეგაც განაგრძო. ჩვენთვის კარგად ნაცნობი ცეკვებისთვის შექმნილი კოსტიუმების ესკიზების გარდა, გამოფენაზე შედარებით უცნობ რამდენიმე ნამუშევარსაც ნახავთ (მაგალითად, აზერბაიჯანული და ქურთული ცეკვების კოსტიუმების ესკიზებს).

გამოფენის ყველაზე ღირსშესანიშნავი ექსპონატები განსაკუთრებულ ადგილას გამოფენილი ოთხი კაბაა "აზერბაიჯანულის", "ჯეირანისა" და "მთიულურისთვის" - ამ კოსტიუმებით ოდესღაც თვით ნინო რამიშვილი ცეკვავდა.

ეს ყველაფერი, ერთმნიშვნელოვნად, ისტორიაა, რომელსაც ისეთივე გაფრთხილება სჭირდება, როგორც არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებულ ძვირფასეულობას. ამიტომ სუხიშვილების ოჯახი სერიოზულად ფიქრობს ქართული ცეკვის მუზეუმის შექმნაზე, სადაც ასობით უნიკალური ექსპონატი ქართული ტრადიციული როკვის საუკუნოვან ისტორიას გააერთიანებს.

ამ მუზეუმში, ალბათ, განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს გამოფენაზე გამოტანილი აფიშა. 1967 წელს ანსამბლმა მილანის "ლა სკალას" თეატრის სცენაზე იცეკვა. კონცერტის შემდეგ უნიკალური მოვლენა დაფიქსირდა - გაოგნებული მაყურებლის ოვაციის ფონზე ფარდა 14-ჯერ აიწია. ეს რეკორდი დღემდე მოუხსნელია, აფიშა კი ანსამბლის მაშინდელ წევრებს დიდების იმ წუთებს ახსენებს.

**ნინო სუხიშვილი:** "უმცროსი ილიკო სუხიშვილის მიერ დადგმული ცეკვების კოსტიუმების ესკიზები მე შევქმენი. თითოეული დეტალის დამუშავებისას ვცილობდი სოლიკო ვირსალაძის ტრადიცია არ დამერღვია და ნამუშევრისთვის მისი თვალით შემეხედა. ამ გამოფენაზე ოჯახური რელიკვია - ჩვენი ფოტოარქივის მცირე ნაწილი წარმოვადგინეთ. საკუთარი ნამუშევრები მოგვაწოდეს იმ ფოტოგრაფებმაც, რომლებიც ჩვენთან თანამშრომლობენ. გამოფენა ანსამბლის 60 წლის იუბილესთვის მიძღვნილი კონცერტების პარალელურად მიმდინარეობს. სამწუხაროდ, კონცერტებისა და გამოფენის გამართვას ვერ ვახერხებთ საქართველოს სხვა ქალაქებში, რაშიც ფინანსების გარდა რაიონებში დარბაზების უქონლობაც გვიშლის ხელს."

# ისლამური ხელოვნების კვირეული

"ისლამური კოლექციები ხელოვნების მუზეუმიდან", - ამ სახელწოდებით გაიხსნა გუშინ ხელოვნების მუზეუმში ისლამური ხელოვნების კვირეული, რომელიც 12 ივნისამდე გაგრძელდება.

გამოფენაზე წარმოდგენილია სხვადასხვა ისლამური ქვეყნის ხელოვნების ნიმუშები - (VII-XIX სს); განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ირანის ყაჯარული პერიოდის (1785-1925) კოლექციას, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა თავისი მრავალფეროვნებითა და მხატვრული ხარისხით. სპეციალურად ამ გამოფენისათვის შეიქმნა სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებიც.

გუშინვე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში კვირეულისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გაიმართა. "მინდა ყველას მოგიწოდოთ, რომ აუცილებლად ნახოთ ეს გამოფენა. გარწმუნებთ, ნანახი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბებს. ეს კოლექცია კიდევ ერთხელ დაანახებს მსოფლიოს, თუ რა განძის მფლობელია ქართული მუზეუმი. ასეთი მნიშვნელობის კვირეული ჩვენს მუზეუმებს საშუალებას აძლევს, მოექცეს საერთაშორისო ყურადღების ცენტრში", - განაცხადა გიორგი გაბაშვილმა.

გუშინვე ხელოვნების მუზეუმში საზოგადოებას წარედგინა წიგნი "ყაჯარული პორტრეტი", რომლის იდეა და დიზაინი მხატვარ-დიზაინერ ეკა ჯაფარიძეს ეკუთვნის, ხოლო სამეცნიერო ნაწილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების განყოფილების გამგემ ირინა კოშორიძემ მოამზადა. წიგნში წარმოდგენილი სტატიების ავტორები უცხოელი და ქართველი მეცნიერები (ბ. რობინსონი, ლ. დიბა, ი. კოშორიძე, მ. ფრიდმანი) არიან. წიგნი დაიბეჭდა აშშ საელჩოს, კომპანია "ერნსტ-ენდ-იანგის" და სხვათა ფინანსური მხარდაჭერით.



გამოფენის გახსნაზე.

კვირეული დღეს დილით სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტის" საკონფერენციო დარბაზში გაგრძელდება სემინარით - "ყაჯარული ხელოვნება - წარმომავლობა, წყაროები, გავლენები". სემინარში ქართველი და უცხოელი მეცნიერები მიიღებენ მონაწილეობას; განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით წარდგება ცნობილი მკვლევარი, წიგნში შესული ერთ-ერთი სტატიის ავტორი ლეილა დიბა (აშშ). კვირეულის დანარჩენ დღეებში მოეწყობა შეხვედრები, დისკუსიები ქართველ მეცნიერებთან, სტუმრები გაეცნობიან საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლებს და ასევე სხვა სამეცნიერო დაწესებულებებსა და მუზეუმებში დაცულ აღმოსავლურ კოლექციებს.

"ისლამური ხელოვნების კვირეულის" მიზანია გაზარდოს საზოგადოების ინტერესი ეროვნულ მუზეუმში დაცული უნიკალური კოლექციებისადმი და ხელი შეუწყოს მის პოპულარიზაციას მთელ მსოფლიოში. ***24 საათი***

# მონოპოლია 70 წლისაა

ეს თამაში ყველას უთამაშია; მათაც, ვისაც ომობანა უყვარდა, მათაც, ვინც სახლობანას თამაშით ირთობდა თავს და მათაც, ვინც ვიდეო და კომპიუტერული თამაშების ეპოქაში დაიბადა. მონოპოლია თითოეულ მათგანს ეხმარებოდა და დღესაც ეხმარება, მილიარდერად წარმოიდგინოს თავი და დარწმუნდეს, რომ თითოეული ადამიანის გულის სიღრმეში იმალება კაპიტალისტი.

წელს, გაზაფხულზე, მსოფლიოს ყველა კუთხეში ამ ძალიან პოპულარულ თამაშს 70 წლის იუბილე გადაუხადეს. თარიღის აღსანიშნავად საიუბილეო მონოპოლიებიც გამოუშვეს, ზოგი შოკოლადისაა, ზოგი - ოქროსგან ჩამოსხმული, ზოგიც - გრანიტის. თუმცა, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სათამაშოების ფირმის "ჰასბროს" სპეციალური გამოშვებაა - არტ დეკოს სტილში გაკეთებული მონოპოლია, რომლის ფასსაც კოლექციონერები და ხელოვნების მოყვარული დიდები უფრო გაიგებენ, ვიდრე მოზარდები.

"ჰასბრო" ის კომპანიაა, რომელიც საზოგადოებაში ამ ბესტსელერი თამაშის ისტორიასაც დიდი მონდომებით ავრცელებს. ირკვევა, რომ "მონოპლიის" ათვლის წერტილი 101 წლის წინ იწყება. თავიდან მას მიწის მფლობელის თამაში ერქვა. კვაკერელმა ქალბატონმა







"მონოპოლია" - საუკუნის თამაში.

ელიზაბეტ მეგიმ ის ერთიანი საგადასახადო მოძრაობის გავრცელებისთვის გამოიგონა. მეგის სურდა, დანაწევრებული გადასახადები ერთიანი ბეგარით შეეცვალათ.

ელიზაბეტ მეგიმ თავისი გამოგონება კომპანია "პარკერ ბროსს" 1924 წელს წარუდგინა, მაგრამ მოწონება ვერ დაიმსახურა. ბიზნესმენებმა მიწის მფლობელის თამაში ძალიან მოსაწყენ გართობად მიიჩნიეს. მეგი იმედგაცრუებული გამობრუნდა უკან, მაგრამ თამაშმა ხალხამდე მაინც გაიკვლია გზა. მონოპოლიის არაოფიციალური ვერსიები თანდათან პოპულარული გახდა. 1930-იანი წლებისთვის რადიატორების შემკეთებელმა ჩარლზ დეროუმ თავისი განახლებული ვარიანტიც შექმნა და ისევ "პარკერ ბროსს" მიადგა, მაგრამ კვლავაც უარი მიიღო. მიზეზები ასეთი იყო: პირველი - თამაში დიდხანს გრძელდება და მოსაწყენია, მეორე - ბავშვებისთვის ძნელად გასაგებია და მესამეც - დაფა არასდროს მთავრდება, გზა წრეზე მუდამ გრძელდება.

თუმცა, არც დეროუმ გაიტეხა გული. მან თავისი ხელით დახატა დაფები და ფილადელფიის მაღაზიებში დაარიგა. ხალხი სერიოზულად დაინტერესდა. "პარკერ ბროსმა" კი ინანა...

ასე იქცა მრავალგზის უარყოფილი თამაში ერთ-ერთ მთავარ ამერიკულ გართობად. ის პოპკულტურის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შემადგენელი ნაწილიც გახდა. ყოველდღიური სალაპარაკო ენა კი ამ თამაშიდან აღებული ფრაზეოლოგიით გამდიდრდა: "არ გაიარო", "კარგავ 200 დოლარს", "გამოხვალ ციხიდან" და ა.შ.

გადიოდა დრო და მონოპოლია საზოგადოების ცნობიერების მონოპოლიზაციას ახდენდა. იმართებოდა სათამაშო მარათონები. ზოგი ექსტრემალურ სიტუაციებში ცდიდა თავს და საკუთარ კაპიტალისტურ შესაძლებლობებს: ეწყობოდა 45-დღიანი შეჯიბრებები წყალქვეშ, 16-დღიანი მარათონები ლიფტში - იხსენებენ კომპანია "ჰასბროს" ისტორიკოსები. მეტიც, 1967 წელს მომხდარი მატარებლის გახმაურებული ძარცვის დროსაც კი ბრიტანელი ყაჩაღები მონოპოლიას ნაძარცვი ნივთებით თამაშობდნენ.

მოკლედ, პატარა ამერიკულ ქალაქში გამოგონებულმა თამაშმა დროსაც გაუძლო და კოლექციონერების ყურადღებაც მიიპყრო. სწორედ ამ დაუოკებელი ინტერესის გამო გაჩნდა მონოპოლიის უცნაური გამოშვებები. როგორც უკვე მოგახსენეთ, არსებობს მთლიანად შოკოლადისგან დამზადებული მონოპოლიაც. მას ცნობილი სავაჭრო კატალოგი "ნიმან მარკუსი" 600 დოლარად ყიდის. ცნობილმა ოქრომჭედელმა სიდნი მობელმა კი მისი უძვირფასესი ვერსია შექმნა - დაფა ოქროსგან ჩამოასხა და ლალითა და საფირონის თვლებით მორთო. ამ ვერსიის ფასი მილიონ დოლარს აღწევს.

კიდევ ერთი უცნაური გამოშვება სან ხოსეში, კალიფორნიაში ინახება. იქ უზარმაზარი, გრანიტის მონოპოლია აქვთ, სადაც კამათლები თითქმის ტელევიზორისხელაა, ციხის გრაფაში კი პატიმრების ზოლიან ფორმებსაც ურიგებენ მოთამაშეებს.

რაც მთავარია, კლიენტი ამ ძველისძველ თამაშს ვერ ელევა. კომპიუტერული თამაშების აღორძინების მიუხედავად, მონოპოლია მაინც სასწაულებრივად პოპულარული რჩება.

"ჰასბროს" მიერ ჩატარებული კვლევა გვამცნობს, რომ ამერიკული ოჯახების ორ მესამედში დევს მონოპოლიის დაფა, ბავშვები კი 8-დან 17 წლამდე ისეთივე სიამოვნებით თამაშობენ მას, როგორც მათი წინაპრები.

მეორე კვლევის მიხედვით, მონოპოლია ე.წ. დაფის თამაშებში გაყიდვების მაჩვენებლით პირველ ადგილზეა.

# მებაჟე რუსო

ნოდარ მალაზონია

მსმენია ფიროსმანისა და მებაჟე რუსოს მსგავსების შესახებ, რაც ისევე შორსა და ამასთანავე ახლოსაა რეალობასთან, რომ...

მებაჟე რუსო და ფიროსმანი ერთ ეპოქაში დაიბადნენ.

ერთი - საფრანგეთში, მეორე - საქართველოში.

გაცვეთილი იარლიყების მიხედვით, ორთავე პრიმიტივისტი იყო (მე კი მიმაჩნია, რომ გულუბრყვილოდ პოეტურნი. რუსო - ირეალური სამყაროს შექმნით; ფიროსმანი - სევდიანი, ობოლი რეალიზმით).

და კიდევ: როგორც რუსოზე, ასევე ფიროსმანზე ერთობ მწირი ინფორმაცია შემოგვრჩა და ეს მაშინ, როცა მათი თანამედროვენი ახლო წარსულში ჩვენს გვერდით იყვნენ.

როცა რუსო დაიბადა (1844), ეს ის დრო და ჟამია, როდესაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოს "მეამბოხეთა" სწორედ ის თაობა მოევლინა, რომლის წარმომადგენლებს წილად ხვდათ სამარადისოდ დარჩენილიყვნენ ისტორიაში, როგორც უდიდესი მხატვრები.

პისარო ამ დროს 14 წლისაა, მანე - 12, დეგა - 10, სეზანი და სისლეი - 5, მონე - 4, რენუარი - 3; რაც შეეხება: გოგენი, ვან გოგი, პიკასო, სერა და ტულუზ ლოტრეკი, შესაბამისად, იბადებიან: 4, 9, 15, 19 და 20, ხოლო ფიროსმანი 18 წლის შემდეგ.

მაინც რით მოხიბლა ანრი ჟულიენ ფელიქს რუსომ მსოფლიო?!

გულწრფელობითა და სამყაროს იმ გულუბრყვილო თვალთახედვით, რომლის ეგზოტიკურ ანალოგს ვერც ერთი მხატვრის ვერც ერთ ტილოზე ვერ იპოვით და ეს იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ კრიტიკოსებმა საგანგებოდ მიმართეს თხოვნით ბოტანიკოსებს, რათა განემარტათ მათთვის იმ ფლორის რეალობა, რომელიც რუსომ ასე უხვად და უცნაურად მომხიბვლელად წარმოაჩინა თავის ტილოებზე.

ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა ბოტანიკოსთა დასკვნა:

"მცენარეები დახატულია პირობით მანერაში და უმრავლეს შემთხვევაში რთულია მათი ამოცნობა".

ესე იგი, იდენტიფიცირება რომელიმე რეალურ მცენარესთანო. სამარჩიელოდ კი ზოგჯერ მათ რომელიღაც ოკეანის რომელიღაც წყალმცენარეს ადარებენ, ან კიდევ - აფრიკისა თუ ტროპიკული ამერიკის ფლორას.

აქედან ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება.

თვითნასწავლი მხატვარი, მებაჟე რუსო, თავადვე ქმნიდა არა მხოლოდ "ლეგენდარულ" სურათებს, არამედ მათზე გამოსახული მცენარეებიც თავისივე შეთხზული ლეგენდარული ფლორის ლეგენდარული მცენარეები იყო.

ყოველივე ამის შემდეგ ვის, თუ არა მებაჟე რუსოს, ყველაზე მეტად მოუხდება მასზე შექმნილი ლეგენდებიც, რომლებიც ერთობ ახლო უნდა იყოს რეალობასთან. სწორედ ამიტომაც არის



მებაჟე რუსო "სიზმარი".

რუსოს არა მხოლოდ შემოქმედება "ფანტასტიკური", არამედ თავად როგორც პიროვნებაა "ფანტასტიკური".

მაგრამ მოდი, ჯერ ის ვთქვათ, თუ რატომ მოინათლა რუსო მებაჟედ?!.

ცოლის (რომელმაც ცხრა შვილი გაუჩინა) ბიძაშვილმა თუ დეიდაშვილმა, რომელიც პარიზის საბაჟო დეპარტამენტს კურირებდა, მას შემდეგ, რაც რუსო საგადასახადო ინსპექციიდან გაუშვეს (თუ თავადვე წავიდა), მეორე კლასის მოხელედ აიყვანა.

ყოფილი სამსახურიდან წასვლის მიზეზად კი რუსოს მტკიცე არგუმენტები ჰქონდა. კერძოდ ის, რომ თურმე მას შეუფერებელ დავალებებს აკისრებდნენ, ეს ერთი და მეორე - ხშირად უსაქმურად იყო (შემდეგ რუსო ამას სხვაგვარად ახსნის).

ღამღამობით გვირაბთან ან რომელიმე ფარდულთან ყარაულად ყურყუტი, სადაც მას გამუდმებით მხრჩოლავი გაზებით თურმე თავს ესხმოდა ჭინკა თუ ჯოჯო.

ამ უცნაური ახირებისთვის დამატებით ჩერჩეტისა და ბრიყვის რეპუტაციაც მოიპოვა მებაჟე რუსომ.

მოგვიანებით, როდესაც მას თაღლითობაში გამოიჭირენ და სასამართლოს წინაშე წარდგება **(ერთმა შორეულმა ნათესავმა დახმარება სთხოვა რუსოს, როგორც უმოწყალოდ დაზარალებულისთვის, ყალბი საბანკო ქვითარი დაეხატა მისთვის, რათა ამით შური ეძია იმ ბურჟუებზე, რომლებმაც უსინდისოდ გაყვლიფეს იგი. ეს თხოვნა გულმოწყალე რუსომ უნაკლოდ შეასრულა, ასევე ყალბი პირადობის მოწმობის საშუალებით და არაერთი მცდელობის შემდეგ, ვინმე მუსიე ბაიის სახელზე 21 ათასი ფრანკი დაცინცლა საფრანგეთის ბანკს. ათასი თვითონ დაიტოვა, დანარჩენი კი "დაზარალებულს" გადასცა. სულ რამდენიმე დღე დასჭირდა პარიზის ჟანდარმერიას, თაღლითი მებაჟე თავისივე ბინაში აეყვანა, საკმარისი სამხილი დოკუმენტებით)**, რუსო, მისთვის ჩვეული მიამიტობით, ასე ცდილობს თავის გამართლებას:

"მერწმუნეთ, ბატონო გამომძიებელო, ოცი წლის ასაკში მე ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასეთი სახელმოხვეჭილი გავხდებოდი არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ამისთვის საკმარისია, თქვენ ჩემი სურათები იხილოთ, რომლებიც სავსეა გულწრფელობით.

მე მაშვრალი ვარ და არა ვიღაც მოქეიფე გიჟმაჟი.

ენდეთ თქვენი კეთილი გულის კარნახს, ბატონო გამომძიებელო, და გამიშვით სახლში. მე იქ მოლბერტზე დაუმთავრებელი სურათი მელოდება, რომელიც დამდეგ სალონზე უნდა წარვადგინო. თუ დამიჯერებთ, მაშინ მე თქვენს ისეთ პორტრეტს დავწერ და საჩუქრად მოგართმევთ, რომ თქვენ დიდად კმაყოფილი დარჩებით.

ან იქნებ პეიზაჟი უფრო გირჩევნიათ, მაშინ მითხარით ზომა და მოტივი და დროზე გამათავისუფლეთ, რადგან ისეთი კაცი, როგორიც მე ვარ, დაუშვებელია, აქ, ოთხკედელშუა გამოკეტილი უქმად კარგავდეს დროს.

მე უმწიკვლო მსხვერპლი ვარ ჩემი გულკეთილობისა და არ შეიძლება თქვენ ეს არ ირწმუნოთ".

პარიზის მუნიციპალურმა მრჩეველმა, ირწმუნა მებაჟე რუსოს გადაცდენის ალბათობა და თავდებით გაათავისუფლა.

დროებით გვერდზე გადავდოთ ამ დეტექტივის ვერდიქტი და ჩვენთვის მეტად საინტერესო კითხვა დავსვათ: რამდენად რეალურია მებაჟე რუსოს სახელმოხვეჭის ლეგენდა?!.

სად ისწავლა ხატვა ამ, უსახურთა შორის უსახურმა, უთვალტანადო სუბიექტმა?

არსად!

ხომ არ არის ეს თვითნასწავლი ოსტატი "ნეტარი გულით" თვითნაბადი მოვლენა?!.

მეტად სარწმუნო წყაროებისთვის ისევ ანრი პერუშოს რომანს ჩავხედოთ.

მებაჟე რუსოს სახალხო დებიუტი 1885 წელს შედგა და პირველივე მცდელობაზე წარმატებულად **(ვგულისხმობ ჟიურის აღიარებით სალონის გამოფენაზე მოხვედრას, თორემ ისე, რაც მას იქ პარიზის საზოგადოებამ დღე აყარა, იქილიკა და იხორხოცა... რაც ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ ზოგადად "იმპრესიონისტთა" მიმართ)**, რაც ერთგვარ სენსაციადაც შეიძლება მივიჩნიოთ. რადგან თვითნასწავლი რუსო გაცილებით იღბლიანი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა ყველა სეზანი თუ მისთანანი, რომლებიც ამაოდ დაშვრნენ, როგორმე "ბურგოს სალონში შეეღწიათ, რასაც თითქოს იმპრესიონისტთა შური და გაღიზიანება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ასე როდი მოხდა.

როცა ერთ-ერთმა ლაზღანდარამ პისარო მებაჟე რუსოს ტილოსთან თავშესაქცევად მიიწვია, რუსოს სურათით განცვიფრებულმა და აღტაცებულმა პისარომ საგონებელში ჩააგდო საშაყიროდ იქვე თავმოყრილი საზოგადოება.

აღტაცებულია გოგენიც. - "რუსოს შავი ტონი შეუდარებელია".

რუსოს ვირტუოზული სამყარო აოცებს რენუარსაც **(არსებობს კიდევ ერთი ლეგენდა: თითქოს სწორედ მებაჟე რუსოს ეგზოტიკურმა პეიზაჟებმა შთააგონა პოლ გოგენს, ოკეანეში გამგზავრებულიყო)**, მაგრამ ეს როდი აღმოჩნდა საკმარისი პარიზელთა გადასარწმუნებლად. მათ ახალი შემართებით შეუტიეს მებაჟის საეჭვო რეპუტაციის შემოქმედებას და სალონიდან მათი დაუყოვნებლივ გაძევება მოითხოვეს.

ამჯერად ტულუზ ლოტრეკმა იხსნა რუსო მასების ულმობელი განაჩენისგან.

მაგრამ როგორია თავად მებაჟის დამოკიდებულება მის ირგვლივ გამართული ბატალიების მიმართ?!.

დღედაღამ მუშაობს და ხშირად რამდენიმე სურათზე ერთდროულად.

თავისი შექმნილი უცნაური სამყარო თავადვე აშინებს და თავის გადასარჩენად ხშრად ფანჯარასთან მიიჭრება, რათა დარწმუნდეს, რომ თავად რეალურ სამყაროშია.

ტანსაცმლიანი წვება, რათა ჩაცმა-გახდაზე დრო არ დაკარგოს.

უკრავს ვიოლინოზე და სოლფეჯიოს გაკვეთილებს უტარებს მოწაფეებს.

სეირნობს ტყეში და აგროვებს სხვადასხვა მცენარის ფოთლებს, რათა ხელმეორედ აღმოცენდნენ მის ტილოებზე ზღაპრული მომხიბვლელობით!

წერს პიესებს, რომლებსაც არავინ უდგამს (მისი ერთი პიესა "რუსი ობლის შურისძიება" 1945 წელს პარიზის ერთ-ერთ თეატრში დაიდგა).

მართავს ლიტერატურულ, მუსიკალურ საღამოებს, სადაც ყოველი კონცერტის წინ დამსწრე საზოგადოებამ აუცილებლად "მარსელიოზა" უნდა იმღეროს.

რუსო პირველი ვიოლინოა და ხშირად თავადვე დირიჟორობს თავისივე მოწაფეებისგან შექმნილ ორკესტრს.

არის კიდევ ერთი ორიგინალური პასაჟიც. დამსწრეთა შორის, ვისაც სურვილი გაუჩნდება, შეუძლია თავადვე იმღეროს ან დაუკრას.

ბოლოს და ბოლოს, მებაჟის საღამოებმა ისეთი პოპულარობა მოიხვეჭა, რომ ახლა უკვე კონცერტებს არა მხოლოდ მოწაფეთა მშობლები და მეზობლები ესწრებიან, არამედ: აპოლინერი, პიკასო, ბრაკი, მაქს ჟაკობი, ანდრე სალამონი და სხვა იმჟამინდელი მეამბოხეთა ელიტა.

მებაჟის სამოღვაწეო შესაძლებლობათა ასეთმა უცნაურმა სალათებმა (იგონებს ფერნანდა ოლივიე) ანცობის ისეთი ზარხოში გაუჩინა მის კომპანიონებს, რომ პიკასომ "საერთაშორისო" მასშტაბით მოინდომა მებაჟე რუსოს გაპამპულავება **(ერთი ლეგენდა იმასაც გვიმტკიცებს, რომ მსგავსი სურვილი მანამდე გოგენსაც გასჩენია და პირადად გადაუცია მებაჟე რუსოსთვის, "საფრანგეთის პრეზიდენტის" მიწვევა ელისეს სასახლეში, რაც რუსოს დიდი პატივით მიუღია და, სასახლეში დათქმულ დღესა და დროს მისული, კარისკაცებმა რომ არ შეუშვეს, შეურაცხყოფილ რუსოს ისეთი აყალმაყალი აუტეხავს, ხმაურზე თავად პრეზიდენტი გამოსულა და რუსოსთვის უთქვამს: - როგორ ვნანობ, რუსო, რომ ფრაკით არ ხარ. ხომ ხედავ, როგორაა ჩაცმული აქაური საზოგადოება? ამიტომ ვერაფრით დაგეხმარებით. სხვა დროს მეწვიე)**, რომელმაც თავისი სახელოსნო საგანგებოდ მორთო გირლანდებით, ნაირფერი დროშებითა და ლამპიონებით. ყუთზე შედგმული სკამი კი სამეფო ტახტივით მორთო და თავზე გამოკიდებულ ტრანსპარანტზე დაწერა: "პატივი და დიდება რუსოს!"

ასეთ უჩვეულო ბენეფისზე მიწვეული იყვნენ არა მხოლოდ კოლექციონერები ნიუ იორკიდან, ჰამბურგიდან და სან ფრანცისკოდან, არამედ მხატვრები: მარი ლარსენი, ჟაკ ვაიანი, ჟორჟ ბრაკი, აჟერო და სხვები.

მწერლები: გიიომ აპოლინერი, მაკს ჟაკობი, მორის კრემნიტი, ანდრე სალმინი, რენე დალიზი...

პიკასოს სცენარით მებაჟე რუსო საზეიმო კარიდან მხოლოდ მაშინ შემოვა, როდესაც მას საგანგებოდ მიანიშნებენ.

ბენეფიციანტის მომლოდინე დარბაზი გუზგუზებს.

როცა სამჯერ გაისმა კაკუნი და კარი გაიღო, შემოსასვლელის ზღურბლთან, თავზე ლურჯი ფეტრით, ერთ ხელში ხელჯოხით და მეორეში ვიოლინოთი, მორჩილი ღიმილით მებაჟე რუსო იდგა.

პუბლიკა ერთსულოვანმა გულჩვილობამ მოიცვა.

საოცარია, რა უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს პიკასოს ეს ანცობა, ქვეყანაზე იბადებიან ადამიანები (განურჩევლად მათი პოპულარობისა), რომლებიც ასეთ გათამაშებას თუ აგდებას კი არ იმსახურებენ, არამედ, უბრალოდ, იხდენენ კიდეც, რაც მათ არათუ ამდაბლებს ან შეურაცხყოფს, არამედ, პირიქით, ამით ისინი მეტად შენიანის სითბოსა და ერთგვარ სათაყვანებელ აურასაც კი იძენენ.

მებაჟეს ფეტრი მოხადეს, ტახტზე დასვეს და თავზე გვირგვინი დაადგეს.

გულითადად უმღერეს და მგზნებარე ლექსებიც მიუძღვნეს, რაც რუსომ ისევე შეირგო და მოიხდინა, როგორც "ნეტარი გულის მხატვარს" დაშვენდებოდა. ამისთვის მას არათუ მხოლოდ მორალური უფლება, არამედ მატერიალურად მყარი არგუმენტებიც ჰქონდა.

(65 წლის ასაკში მებაჟე რუსომ გაყიდული სურათებით 9000 ფრანკამდე შეაგროვა, რაც დღევანდელი კურსით დაახლოებით 30 000 დოლარია. როცა გარდაიცვალა, მის პირად ანგარიშზე ნოტარიუსმა ვერც ერთი ფრანკი ვერ აღმოაჩინა).

ცნობისთვის: ეს არ გახლდათ არც პირველი და არც უკანასკნელი გათამაშება მებაჟე რუსოს ბიოგრაფიაში.

ერთხელ რუსო იმაშიც დაარწმუნეს, რომ მას საპატიო ლეგიონის კომანდორის ჩინი მიანიჭეს და ამ განსაკუთრებული მოვლენის აღსანიშნავად დიდი საზეიმო ბანკეტიც გაუმართეს.

არც ეს ეუცხოვა მებაჟეს. ეს ლეგენდაც თურმე ირწმუნა და შეირგო, როგორც საკუთარი ნიჭიერება, მაგრამ მისთვის ყველაზე ძნელი იყო იმ რეალობასთან შეგუება, როგორიც საბანკო აფიორა იყო.

..."თუ გამასამართლებენ, ეს არ იქნება უსამართლობა მხოლოდ ჩემს მიმართ. ეს დიდი დანაკარგი იქნება ზოგადად ხელოვნებისთვის", - ხმამაღლა აცხადებს მებაჟე რუსო და თავისი დანაშაულის განაჩენის კეთილად დასრულებაში დარწმუნებულია.

..."ამგვარად, ბატონებო! დაუბრუნეთ რუსო ხელოვნებას!!!"

ასე ამთავრებს თავის მგზნებარე სიტყვას რუსოს ადვოკატი სასამართლოზე.

..."მითხარი ახლავე, - გაიგონა თუ არა თავისი ადვოკატის ვერდიქტი რუსომ, საბრალდებო სკამიდანვე გასძახა მოსამართლეს, - როცა შენ დაამთავრე შენი სიტყვა, შემიძლია წავიდე სახლში?!.

უცნაური კაცია ეს რუსო და კიდევ უფრო უცნაური გამოდგა მის მიერვე გამოგონილი სამყარო, რომელიც წინ აღუდგა ისეთ მოვლენას, როგორიც იმპრესიონიზმი იყო.

მოგვიანებით სეზანი, გოგენი, ლოტრეკი და ვან გოგი, რომელთა შემოქმედება საბოლოოდ ემიჯნება იმპრესიონიზმს, - მკვლევარნი მიგვითითებენ, რომ მათ შორის სწორედ მებაჟე რუსო იყო პირველი, რომლის შემოქმედებამაც უმნიშვნელოვანესი გავლენა მოახდინა ეგრეთ წოდებულ ინტელექტუალურ ხელოვნებაზე.

მაგრამ სად არის ჩვენი ფიროსმანი?!.

რატომ ვერ ვხედავთ მას იმ გენიალურ მხატვართა ჩამონათვალში, რომელიც ასეთი ახლობელი და ძვირფასია დასავლეთის (და, ზოგადად, კაცობრიობისთვის) კულტურისთვის?!.

რამ ან ვინ გარიყა საქართველო და ფიროსმანი ამ შემოქმედთა ბედითა თუ უიღბლობით მინიჭებული უკვდავებისგან?!.

ეს კიდევ ერთი დიდი ტრაგედიაა ჩვენი სამშობლოსი და მისი შვილისა, რომლის გაუმეორებელი, სევდიანი და ზღაპრული სამყარო ტიფლისის სამიკიტნოებში დარჩა, გამოკეტილი სწორედ იმ ეპოქაში, როდესაც პარნასზე მისი თანამედროვენი უკვდავების გვირგვინებს იდგამდნენ თავზე...

ნაფიქრალი



ნინო ტიკარაძე

### ჩემპიონთა თასი და "ლივერპულის" გულშემატკივრები

"ლივერპულის" გულშემატკივრებს დიდხანს ემახსოვრებათ ჩემპიონთა ლიგის ფინალი, რომელშიც მათმა საყვარელმა გუნდმა "მილანი" დაამარცხა და საოცნებო თასიც დაისაკუთრა. მართლა, თასზე გამახსენდა. "ლივერპულის" ერთ-ერთი ფეხბურთელის, კერძოდ კი, ჩეხი თავდამსხმელის მილან ბაროშის დაუდევრობის გამო თასი ოდნავ დაზიანდა. ინციდენტი ფინალის შემდეგ, გამარჯვების აღნიშვნის დროს მოხდა. ზეიმის დროს აჟიტირებულ ფეხბურთელებს მილან ბაროში გამოეყო. იგი პიანინოზე მდგარ თასს მიუახლოვდა, როგორც ჩანს, ხელის შეხება ან ამბორი უნდოდა, თუმცა, საბოლოოდ ისე მოხდა, რომ თასი პიანინოდან იატაკზე აღმოჩნდა. დაცემის შედეგად პრიზს სახელური დაუზიანდა.

"ლივერპულის" ხელმძღვანელობა თასის შეკეთებას არ აპირებს. მიზეზი მუზეუმის ("ენფილდ როუდი", რომელშიც თასი ინახება!) კურატორმა ასე ახსნა: "გადავწყვიტეთ, არ შევაკეთოთ თასი, რადგან ეს შემთხვევაც მისი ისტორიის ნაწილია".

ასეთ მნიშვნელოვან პრიზს უდიერად რომ არ უნდა მოექცე, ეს ბაროშს ჩემგან არ უნდა ესწავლებოდეს (რა ტყუილად ვირჯები. გეგონებათ, ბაროში ჩემს ნაწერს წაიკითხავს და მომავალში უფრო ფრთხილად იქნება!).

დასაწყისში "ლივერპულის" გულშემატკივრები ვახსენე, თანაც, არც მთლად უმიზეზოდ. თქვენი ნებართვით, ჩემპიონთა ლიგის ფინალის თემას გავაგრძელებ. იმას გეუბნებოდით, გულშემატკივრებს ეს გამარჯვება დიდხანს ეხსომებათ-მეთქი (მათ შორის, თქვენს მონამორჩილს!). თუმცა, მერწმუნეთ, ლივერპულის გუნდის 18 წლის გულშემატკივარს მაიკლ შილდსს მიმდინარე წლის მაისის ბოლო რიცხვები სრულიად არასაფეხბურთო მიზეზით დაამახსოვრდება.

"ლივერპულის" ტრიუმფის შემდეგ შილდსი თავის ექვს მეგობართან ერთად თურქეთიდან ბულგარეთში გაემგზავრა. რამდენიმე დღის შემდეგ იგი თავის მეგობრებთან ერთად პოლიციამ ადგილობრივი მცხოვრების თავდასხმის ბრალდებით დააპატიმრა. გაზეთ "სანის" ცნობით, ხულიგნებმა დაზარალებულს თავში აგური ჩაარტყეს. საბედნიეროდ, იგი გადარჩა. სხვათა შორის, გამოძიებამ დაადგინა, რომ მთავარი დამრტყმელი ძალა სწორედ შილდსი იყო. დამნაშავე კატეგორიულად უარყოფს ამ საქმეში თავის ბრალეულობას. ამასვე ამტკიცებს მაიკლის მამა. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შილდსის ნათესავები დაარწმუნა, რომ ყველაფერს გააკეთებს სიტუაციის დასარეგულირებლად. მოკლედ, დიდი ამბავია ატეხილი ამ საქმის გამო. ცუდი კი ისაა, რომ ეს ადამიანი "ლივერპულის" გულშემატკივრად ითვლება, გულშემატკივრად, რომელმაც საყვარელი გუნდის გამარჯვების აღსანიშნავად მეტად ორიგინალური გზა აირჩია.

### ჯავშნიანი ბექჰემი

მადრიდის "რეალის" ინგლისელი ლეგიონერი დევიდ ბექჰემი დიდ გასაჭირშია ჩავარდნილი - უკვე წლებია, რაც მან თავიდან ვერ ამოიგდო აკვიატებული აზრი იმის შესახებ, რომ მის ოჯახს ფეხდაფეხ დასდევენ ბოროტისმსურველები, რომელთაც ბექჰემების დახოცვა აქვთ განზრახული. ჯერ კიდევ "მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშის დროს ფეხბურთელმა 256 ათასი ევროს ღირებულების დაჯავშნულმინებიანი "მერსედესი" იყიდა. ასეთი გადაწყვეტილება ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ორსული მეუღლისა და სამი წლის ბრუკლინის მისამართით გამოთქმული მუქარის გამო მიიღო (როგორც ჩანს, ბექჰემს ან მართლა ემუქრებიან და მისი პანიკური შიში უსაფუძვლო სულაც არ არის, ან ეს, უბრალოდ, მისი ფანტაზიის ნაყოფია!).

ოჯახის მეგობრის განცხადებით, თავისიანების უსაფრთხოებისა და სიმშვიდისთვის დევიდი ყველაფრისთვის მზადაა.

ოჯახის მატებასთან ერთად, მამა-ბექჰემიც, შესაბამისად, აძლიერებს უსაფრთხოების ზომებს. რამდენიმე ხნის წინათ შვილებისთვის (ბრუკლინი, რომეო და კრუზი) ორი ჯავშნიანი მანქანი შეიძინა. BMW X5 -ის ორი სპეციალური მოდელი "სამეფო კლუბის" ნახევარმცველს 180 ათასი ევრო დაუჯდა. ბექჰემმა ეს მოდელი მხოლოდ ჯავშნიანი მინების გამო არ ამოირჩია. იგი აღჭურვილია სპეციალური მოწყობილობით (ჟანგბადის ავტონომიური მომარაგების სისტემა) ქიმიური შეტევის შემთხვევაში ნალმის სიახლოვეს გრძნობს. ამას გარდა, მანქანას ყველგანმავალი საბურავები აქვს.

ასეთი მანქანა ჯეიმს ბონდსაც კი შეშურდებოდა!

### ჩიპოლინის ოჯახის დამანგრეველმა ინძაგისაც გაუტეხა გული

ცნობილმა იტალიელმა ველომრბოლმა მარიო ჩიპოლინიმ, რომელმაც ახლახან თავისი 17-წლიანი კარიერა დაასრულა, გადაწყვიტა, პირადი ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი გახადოს. პირველ ეტაპზე მან მეუღლესთან საბრინა ლანდუჩისთან განქორწინების განზრახვა ამცნო ფართო საზოგადოებას. ეს განცხადება "მეფე-ლომმა" (ასე უწოდებენ თავიანთ კერპს გულშემატკივრები!) მას შემდეგ გააკეთა, რაც ჟურნალისტებმა იგი ბრაზილიელი ლამაზმანის მაგდა გომეშის საზოგადოებაში რამდენჯერმე შეამჩნიეს. ამიტომ ჩიპოლინის მხრიდან განქორწინების გადაწყვეტილება არავის გაჰკვირვებია.

სხვათა შორის, გომეშზე ერთხელ უკვე გესაუბრეთ, ოღონდ როგორც იტალიელი თავდამსხმელის ფილიპო ინძაგის საცოლეზე. ეს არცთუ ისე დიდი ხნის წინათ იყო.

ახლა ბრაზილიელი მოდელი, როგორც უკვე მოგახსენეთ, მარიო ჩიპოლინის უმშვენებს გვერდს. მოარული ხმები ველომრბოლის 12-წლიანი ოჯახის დანგრევას სწორედ მას მიაწერენ. მე თქვენ გეტყვით, ვერ მოახერხებდა თუ რა?!

როგორც ხედავთ, ეს ქალბატონი სპორტსმენებზე ნადირობს, ამიტომ გამორიცხული არაა, კვლავაც მომიხდეს ამ ბრაზიელიელი მოდელის ხსენება და მისი სასიყვარულო თავგადასავლის თქვენთვის მოყოლა. მის მიერ პარტნიორების ცვლის ტემპს თუ გავითვალისწინებთ, ამისთვის დიდხანს ლოდინი არ მოგვიწევს.

### ფერდინანდს უარისთვის სახეში მუშტი მოხვდა

"მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა რიო ფერდინანდმა სეზონის დამთავრების შემდეგ, სხვა ფეხბურთელების მსგავსად, დამსახურებული დასვენების გამოყენება გადაწყვიტა (შეგახსენებთ, ფეხბურთელს მუხლის ტრავმა აქვს). ამისთვის მან შვედეთი ამოირჩია. ბუნებრივია, ფერდინანდითვის, როგორც ინგლისელი ფეხბურთელისთვის, ქალაქის (სტოკჰოლმი!) დათვალიერება საკმარისი არ აღმოჩნდა. იგი დროდადრო სხვადასხვა დაწესებულებასაც სტუმრობდა, სადაც, გარდა იმისა, რომ შუაღამემდე ერთობოდა, ალკოჰოლსაც მიირთმევდა.

ერთ დღესაც, უფრო სწორად, შაბათ ღამეს, რიო ფერდინანდი, ჩვეულებისამებრ, სტოკჰოლმის ცენტრში მდებარე კლუბს ეწვია. ერთ-ერთმა გულშემატკივარმა მასთან სურათის გადაღება მოინდომა, რაზეც ფეხბურთელისგან ცივი უარი მიიღო. შეურაცხყოფილმა ახალგაზრდამ, "ახლავე გიჩვენებ, როგორ უნდა უარის თქმაო" და ინგლისელ ფეხბურთელს სახეში მუშტი გაუქანა. მერწმუნეთ, არ აუცილებია. პირდაპირ მიზანში მოახვედრა. მოკლედ, ამას რა არეულობაც მოჰყვებოდა, ძნელი მისახვედრი არ არის.

რა იცოდა რიომ, ასეთი აყალმაყალი თუ მოელოდა იმ კლუბში, თორემ იქ ცოცხალი თავით როგორ შეადგამდა ფეხს. "მეტად უსიამოვნო ამბავია. საერთოდ, დებოშის ამტეხი არ ვარ, მაგრამ ასეთი ინციდენტები ხანდახან ხდება ხოლმე", - განუცხადა ფეხბურთელმა შვედ ჟურნალისტებს.

ამ აჟიოტაჟს ერთი სურათის გადაღება არ სჯობდა? არც ერთი მხარე დაზარალდებოდა და არც მეორე. მის განცხადებებს რომ ყური მიუგდოთ, რიო ფერდინანდი უფრთო ანგელოზი გეგონებათ. არადა, ასეთი აყალმაყალი მისთვის პირველი არ არის. ხშირად თავად იგი ხდება ხოლმე ჩხუბისთავი.

ახლახან ფეხბურთელს მანქანის გადაჭარბებული სიჩქარის გამო მართვის მოწმობა ჩამოართვეს.

ფეხბურთი

# ნემსაძემ კანდიდატურა მოხსნა

მიხეილ აბაიშვილი

ერთი კვირაც არ დარჩა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობისა და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამდე. შეგახსენებთ, რომ არჩევნებში მონაწილეობისთვის რეგისტრაცია გაიარა ოთხმა კანდიდატმა: ვლადიმერ გუცაევმა, რევაზ არველაძემ, გიორგი ნემსაძემ და ნოდარ ახალკაცმა. 24 მაისს რევაზ არველაძემ საკუთარი კანდიდატურა ნოდარ ახალკაცის სასარგებლოდ მოხსნა. "24 საათთან" საუბარში გუშინ გიორგი ნემსაძემაც დაადასტურა, რომ ისიც ხსნის საკუთარ კანდიდატურას. თუ რამ აიძულა ნემსაძე, ეს ნაბიჯი გადაედგა, უცნობია. მხოლოდ ერთი რამ გახდა ცნობილი: ნემსაძეს კანდიდატურა არც ახალკაცის, არც გუცაევის სასარგებლოდ არ მოუხსნია. როგორც ჩანს, მან შექმნილ სიტუაციაში ბრძოლის გაგრძელების აზრი ვერ დაინახა.



ზაურ გელაშვილის ფოტო

ნემსაძე საარჩევნო ციებ-ცხელებას გამოეთიშა

იმის გათვალისწინებით, რომ ორმა კანდიდატმა, რომლებიც მთავარ ფავორიტებადაც სახელდებოდნენ, საარჩევნო ბრძოლა შეწყვიტა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას - კონკურენცია პრაქტიკულად ნულს გაუტოლდა. ვლადიმერ გუცაევი არც წინასაარჩევნო კამპანიას ეწევა, მედიასთან შეხვედრაზეც უარს ამბობს და თუ კანდიდატურას არ ხსნის, მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ არჩევნებზე, ფორმალურად მაინც, ერთ კანდიდატს არ უყრიან კენჭს და ეს პროცესი "დემოკრატიულ" გარემოში ჩაივლის.

# ენერგოდეფიციტი საქართველოს ნაკრებში

მიხეილ აბაიშვილი

რა კავშირია საქართველოს ენერგეტიკასა და ფეხბურთში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შორის? გაგიკვირდებათ და, პირდაპირი. როგორც ერთი, ისე მეორე სუბიექტი, პერმანენტულად განიცდის მუხტის ნაკლებობას. სამწუხაროდ, თანდათან ნათელი ხდება, რომ საკუთარი ავტორიტეტისა და კვალიფიკაციის მიუხედავად, ალენ ჟირესი ვერა და ვერ ახერხებს საქართველოს ნაკრების დამუხტვას, გნებავთ, საბრძოლველად განწყობას.

საქართველოს ნაკრები ზედიზედ მესამედ დამარცხდა და ქვეჯგუფში მეხუთე ადგილის დაკავების შანსიც (!) კი თითქმის დაკარგა. "კონკურენტმა", ალბანეთის ეროვნულმა გუნდმა, უკვე 9 ქულა დააგროვა და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ და ალბანეთს დაახლოებით თანაბარი სირთულის მატჩები დაგვრჩა ჩასატარებელი, 4-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა თითქმის წარმოუდგენლად ჩანს.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ საქართველოს ნაკრების თამაშში არაფერია ისეთი, ხავსივით ხელის ჩასაკიდებლად რომ გამოდგეს და რამე კარგი მათქმევინოს. იყო ნორმალური სტარტი, იყო ცუდი თამაში და კარგი შედეგი, იყო კარგი თამაში და ცუდი შედეგი, იყო ფრე დანიასთან, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს, უფრო ზუსტად, გასულ წელს ჩაბარდა. წელს კი საქართველოს ნაკრები რაღაც ამორფული, დეზორგანიზებული, უმოტივაციო და უილაჯო გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც მოედანზე მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გამოდის. ეს მოვალეობაც მხოლოდ 90 წუთის განმავლობაში ძუნძული და სიარულია.



გოჩიტა ბახსოლიანის ფოტო

თბილისური მატჩისგან განსხვავებით კობიაშვილმა ტირანაში გოლი გაიტანა, მაგრამ გუნდი დამარცხებას ვერ გადაარჩინა.

საქართველოს ნაკრები დამარცხდა ალბანეთთან. ვიღაცამ შეიძლება თქვას, ალბანეთმა ხომ საბერძნეთის ნაკრებსაც მოუგოო. არა, ბრიგელს ცუდი გუნდი ნამდვილად არ ჰყავს, რომ მასთან დამარცხება დიდ კატასტროფად მივიჩნიოთ, მით უმეტეს, ისეთი უსახელო გუნდისთვის, როგორიც საქართველოს ნაკრებია. მაგრამ ერთია დამარცხება და მეორეა ის სამარცხვინო თამაში, რომელიც ჩვენმა ნაკრებმა თითქმის მთელი მატჩის მანძილზე აჩვენა. სათამაშო რგოლებს შორის აბსოლუტურად მორღვეული კავშირი, სტაციონარული დაცვის ხაზი, რომელიც მეტოქის შეტევებისას ბუტაფორიის როლს ასრულებს, ქაოსური, ძირითადად, ინდივიდუალიზმზე დაყრდნობილი შეტევები, რაც ალბანელებს ერთობ კომფორტულად აგრძნობინებდა თავს, შუა ხაზი, რომელიც... აღარც მინდა გავაგრძელო.

ვიღაცა იმასაც იტყვის, რა გინდათ, სამბურთიანი ჩამორჩენა ლამის აღმოიფხვრა და დრო რომ გვყოფნოდა, იქნებ მატჩი ფრედაც დაგვესრულებინაო. "24 საათის" ერთმა ჟურნალისტმა "მილანი"-"ლივერპულის" მატჩიც კი გაიხსენა. ანალოგია მართლაც არის, მაგრამ ნიუანსური განსხვავებებით: არც საქართველოს ნაკრებია "ლივერპული" და არც ჟირესია ბენიტესი. გოლებიც მხოლოდ მაშინ გავიტანეთ, როდესაც მატჩის ბედი პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილი იყო და ალბანელები გასახდელში გასვლაზე ფიქრობდნენ. ის ორი გოლი, რომლებიც 85-ე და 92-ე წუთებზე მასპინძელთა კარში გავიდა, მხოლოდ იმას უსვამს ხაზს, რომ გუნდი, რომელიც 85 წუთის განმავლობაში 3:0-ს გვიგებდა, დიდი პროფესიონალიზმით ვერ დაიკვეხნის.

ალბანეთში გამგზავრებამდე ჟირესმა განაცხადა, რომ შექმნილ სიტუაციაში ორი გზა არსებობს. ერთი - დარჩენილ მატჩებში ითამაშონ შედეგზე და ეცადონ ჯგუფში შეძლებისდაგვარად მაღალი ადგილის დაკავებას, რაც მომდევნო შესარჩევი ციკლის კენჭისყრის წინ უკეთეს სასტარტო პოზიციას უზრუნველყოფს. და მეორე - შედეგზე ფიქრს მოვეშვათ და დარჩენილი თამაშები ნაკრების სოლიდურ გუნდად ჩამოყალიბების პროცესს დავუთმოთ. პირადად მე ნამდვილად ვერ დავინახე, რომ ალბანეთთან მატჩში ჟირესს რომელიმე გზა აერჩიოს. საქართველოს ნაკრების თამაში შედეგზე ნამდვილად არ ყოფილა ორიენტირებული და მხოლოდ ალბანელების საფინიშო მოდუნებას უნდა დავაბრალოთ, რომ სამარცხვინო ანგარიშით არ დავმარცხდით. რაც შეეხება გუნდის შენების პროცესს, ამ თამაშმა ერთი დადებული აგურიც კი ვერ გამოაჩინა.

ცალკე საუბრის თემაა თავად ფეხბურთელების დამოკიდებულება საქმისადმი და ეროვნული ნაკრებისადმი. თუმცა, ფეხბურთში მიღებული კანონია: თამაშს აგებს მთავარი მწვრთნელი და ეს მარცხიც ჟირესის სინდისზეა. აქტუალური ხდება შეკითხვა: ხომ არ ამოწურა ფრანგმა სპეციალისტმა საკუთარი შესაძლებლობები საქართველოს ნაკრების პოსტზე? კიდევ ერთხელ გავიმეორებ - მე ჟირესის კვალიფიკაციაში ეჭვი ნამდვილად არ მეპარება, მაგრამ არის სიტუაცია, რომ პოსტის დატოვება ზეპროფესიონალებსაც უწევთ. ოტმარ ჰიტცფელდზე მაღალი დონის სპეციალისტი თანამედროვე მსოფლიო ფეხბურთში თითოოროლა თუა, მაგრამ "მეფე ოტოსაც" მოუხდა პოსტის დატოვება, როცა ამის დრო მოვიდა.

ძიუდო

# აბენსბერგული იპონი "საგარეჯოს"

გიგა გურასაშვილი

*როდესაც იმარჯვებენ, ენაწყლიანი ხდები, წაგებისას კი ენას ყლაპავ. რა გინდა, რომ თქვა? ის, რომ თავი მოგვეჭრა? არადა, რა იმედებს ვამყარებდით, თან, არცთუ უსაფუძვლოს. მათი სახელები იძლეოდა ამის საფუძველს. მაგრამ იმარჯვებენ არა სახელები, არამედ ძლიერები. ძიუდოისტთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატში კლუბი "საგარეჯო" გერმანულ "აბენსბერგთან" ერთად ფავორიტად ითვლებოდა. მართალია, ვიღაცას უნდა წაეგო, მაგრამ წაგებაცაა და წაგებაც. იმით თავის მართლება, რომ პირველივე შეხვედრა ერთ-ერთ ფავორიტთან, მასპინძელ "აბენსბერგთან" მოგვიხდა, უაზრობაა. ძლიერები იყვნენ და მოგვიგეს!*



ზურაბ ზვიადაური აბენსბერგის კლუბის საკუთრებაა, ამიტომ "საგარეჯოს" ვერ დაეხმარა.

შაბათს გერმანიის ქალაქ აბენსბერგში გაიმართა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის გადამწყვეტი ორთაბრძოლები, რომლებსაც საშემოდგომო ფინალური ეტაპის ოთხი უძლიერესი კლუბი უნდა გამოევლინა. მათ შორის "საგარეჯოსაც" ველოდით, მაგრამ გზა გადაგვილობეს. არ გეგონოთ, მიკერძოებულ მსაჯობას ვგულისხმობდე. მსაჯი მაშინაა დასადანაშაულებელი, როდესაც აშკარად სჯაბნი მეტოქეს, მაგრამ საჭირო ქულებს არ გაძლევენ. სჯობს, ვიყოთ თვითკრიტიკულები. გუნდს არ ეტყობოდა არავითარი შემართება, არ ეტყობოდა ბრძოლისუნარიანობა. არადა, "საგარეჯოს" კლუბზე მეტად ნაკრები უფრო მოუხდებოდა. თუ არ გჯერათ, სახელები ჩამოვთვალოთ: ნესტორ ხერგიანი, დავით მარგოშვილი, დავით ქევხიშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი, ივერი ჯიქურაული. არაფერს ვამბობთ ლეგიონერებზე, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში ნაკრების უცვლელი წევრები არიან. საუბარია საბერძნეთის ნაკრების ლიდერებზე ილიას ილიადისზე (ჯარჯი ზვიადაურზე), რევაზ ზიდირიდისზე (რევაზ გედენიძეზე) და უზბეკ აბდულ ტანგრიევზე. ჯარჯი ზვიადაური და აბდულ ტანგრიევი რომ არა, სრული კატასტროფის მოწმენი გავხდებოდით.

ჯარჯიმ პირველი ორთაბრძოლა იპონით მოიგო, მაგრამ მეორეში თავად აღმოჩნდა იპონის მსხვერპლი, თუმცა, ილიადისზე ცუდის სათქმელად ენა ვერც მოგვიბრუნდება, რადგან, ფაქტობრივად, ორი თვის უვარჯიშებელი გავიდა ტატამზე (მას მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს და, წესით, ჭიდაობა არც შეიძლებოდა). მიუხედავად ამისა, ტატამზე მაინც გავიდა და პირველივე ორთაბრძოლა მოიგო. იმაზე, რომ მეორე ორთაბრძოლა წააგო, ყველაფერთან ერთად, ალბათ, იმანაც იმოქმედა, რომ მოტივაცია აღარ ჰქონდა - "საგარეჯო" უკვე წაგებული იყო.

რაც შეეხება უზბეკ მძიმეწონოსანს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის მედალოსანია, მან პირნათლად გააკეთა თავისი საქმე და ორჯერვე გამარჯვებულმა დატოვა ტატამი. ქართულმა კლუბმა კი თორმეტი შერკინებიდან მხოლოდ სამი მოიგო და ორი ფრედ დაამთავრა. მოგებული სამი შეხვედრაც ლეგიონერებზე მოდის!

ერთი სიტყვით, ნესტორ ხერგიანმა და რევაზ ზიდირიდისმა (ორივე 60კგ.), შესაბამისად, პირველი-მეორე შეხვედრები წააგეს. დავით მარგოშვილმა (66კგ.) პირველი ფრედ დაასრულა, მეორე წააგო; დავით ქევხიშვილმა (73კგ.) და გრიგოლ მამრიკიშვილმა (81კგ.) ორივე წააგეს; ივერი ჯიქურაულისა და გიორგი ყიზილაშვილის (ორივე 100კგ.) შემთხვევაში, შესაბამისად, ფრე და წაგება გვაქვს (ილიადისსა (90კგ.) და ტანგრიევზე (მძიმე) უკვე ვთქვით).

რაც შეეხება ზურაბ ზვიადაურს, კლუბში ისიც ირიცხებოდა, მაგრამ ტატამზე მხოლოდ იმიტომ არ გავიდა, რომ უფლება არ ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ზვიადაური 2005 წლის ბოლომდე "აბენსბერგის" საკუთრებაა. გერმანელები ერთგვარ დათმობაზეც წასულან: ჩვენს წინააღმდეგ ნუ გამოიყვანთ (ან კი როგორ უნდა გაეყვანათ) და შემდგომ ეტაპზე გაძლევთ უფლებას, "საგარეჯოს" ღირსება დაიცვასო. შემდგომ ეტაპს კი ვერ უწიეს.

"საგარეჯომ" ვერ შეძლო ის, რასაც ველოდით. აშკარაა, შაბათი დღე საგარეჯოელების არ იყო. ეს გახლდათ უიღბლო დებიუტი. არც იმით უნდა ვიმართლოთ თავი, რომ კლუბი "საგარეჯო" სულ შვიდიოდე თვის შექმნილია, ხოლო "აბენსბერგი" საკუთარი არსებობის 42 წელიწადს ითვლის.

კრივი

# ესეც ჰატონის ბრიტანული მაგალითი

გიგა გურასაშვილი

*"ისტორიამ იცის ბრიტანელ მოკრივეთა არაერთი მაგალითი, რომლის მიხედვითაც პროგნოზების საწინააღმდეგოდ დაუმარცხებიათ ფავორიტები. მალე თქვენც შეგეძლებათ, ამ ნუსხას დაუმატოთ რიკი ჰატონი", - რუს-ავსტრალიელ კონსტანტინ ცზიუსთან 4 ივნისის კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) საჩემპიონო მანჩესტერულ შერკინებამდე აცხადებდა ინგლისელი მოკრივე. ჰატონმა სიტყვა შეასრულა. ცზიუს IBF-ის უმთავრესი ქამარი აართვა და მანჩესტერელებს პაბებში ლუდის დალევის ორმაგი საბაბი მისცა.*



ჰატონმა ცზიუ მოქანცა და შემდეგ დაამარცხა.

პირველი საშუალო წონის საჩემპიონო დაპირისპირების ფავორიტად კონსტანტინ ცზიუ ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელს დღემდე ბრძოლა არ წაუგია და ჩხუბიც შინაურ კედლებში უწევდა. ჰატონმა რუს-ავსტრალიელის ბანაკი გააწბილა, მანჩესტერი და ჩხუბის ინგლისელი მოტრფიალენი კი საკუთარ სიძლიერეში კიდევ ერთხელ დაარწმუნა.

ჰატონმა თავიდანვე სწრაფ ტემპში დაიწყო, მაგრამ დარტყმათა უმეტესობა მიზანს ვერ ხვდებოდა. მიუხედავად ამისა, საწყისი რაუნდები მაინც მოიგო და, რაც მთავარია, ცზიუს საკუთარი ორთაბრძოლა მოახვია თავს. კერძოდ, ჩხუბი ჰატონისთვის ხელსაყრელ - ახლო მანძილიდან მიჰყავდა. ინგლისელის უპირატესობა შუა ბრძოლამდე გაგრძელდა, მერე კი ცზიუმაც გამოიღო ხელი, რაც იმაში უფრო გამოიხატებოდა, რომ ჰატონს ახლოდან იერიშის საშუალებას აღარ აძლევდა. რუს-ავსტრალიელმა რამდენჯერმე ზუსტად დაარტყა ტიტულის მოცილეს, მაგრამ ეტყობოდა, რომ ამ უკანასკნელზე ცზიუს შეტევები გავლენას ვერ ახდენდა. მერე ერთმანეთს წელს ქვემოთაც უბაგუნეს, რასაც ის მოყვა, რომ ჯერ ერთი დაეცა, მერე - მეორე.

მეცხრე რაუნდის ბოლოს ბრიტანელმა ისევ ხელთ იგდო უპირატესობა, რაც მეათე და მეთერთმეტე რაუნდებში გაგრძელდა. კონსტანტინ ცზიუს კი აშკარად ეტყობოდა, რომ ბრძოლის წარმართვა აღარ შეეძლო - უფრო დაღლილობის გამო. ჰატონმა იერიშები გაამძაფრა...

მეთერთმეტე და მეთორმეტე რაუნდებს შორის შესვენებისას ცზიუს მწვრთნელმა ჯონ ლუისმა ბრძოლის შეწყვეტა ითხოვა. ამ დროისთვის სამივე მსაჯის დათვლით (105-104, 106-103, 107-102) გამარჯვება და, შესაბამისად, ფედერაციის ქამარი ჰატონისა იყო.

"ვერ გეტყვით, რომ წაგება ჩემი კარიერის დასასრულის მომასწავებელია. შესაძლოა, ასე იყოს, შესაძლოა, არც იყოს ასე. დღეს მე ისეთ მოკრივესთან წავაგე, რომელიც ჩემზე უკეთ იბრძოდა", - ბრძოლის შემდეგ ამის თქმაღა მოახერხა ტიტულდაკარგულმა ცზიუმ, რადგან ყბის მოტეხილობის ნიშნებით უმალ საავადმყოფოში გააქანეს. ასე რომ, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზეც არ გამოცხადებულა. ყოფილი ჩემპიონის სახელით პრესკონფერენციაზე მისი პრომოუტერი ვლად უორტონი საუბრობდა: "კოსტიას ბრძოლის გაგრძელება სურდა, მაგრამ ჯონ ლუისმა მიიჩნია, რომ ცზიუ შეხვედრას მაინც წააგებდა. მისთვის იოლი არ ყოფილა ასეთი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ რას იზამ, ასეთი სამუშაო აქვს... ჩათვალა, რომ უკეთესი იქნებოდა ბრძოლის შეწყვეტა".

რაც შეეხება ახლად გამომცხვარ ჩემპიონს, მან გადაწყვიტა, გამარჯვება თავის საცხოვრებელ კვარტალში, მოკრძალებულად, ჩვეულებრივ კაფეში, მეგობრებთან ერთად აღენიშნა.

"დავიბადე და გავიზარდე მანჩესტერში და მიმაჩნია, რომ არაფრით განვსხვავდები რომელიმე ქუჩელისგან. მგონია, რომ სწორედ ამის გამო მაფასებენ. მაყურებლებს თავისიანად მივაჩნივარ. ამიტომაც მგონია, რომ ჩემზე არანაკლებ იმსახურებენ გამარჯვებას".

და კიდევ, ჰატონმა პატივი დასდო მეტოქეს და თქვა, რომ მოხარული იქნება, თუ მისი კარიერა, ნახევრად მაინც, ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც ცზიუსია.

TV სპორტი

## ორშაბათი. 6 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ბრაზილია - პარაგვაი
14:10 ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. "მილანი" - "ლივერპული"
17:15 თავისუფალი დარტყმა
17:30 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ეკვადორი - არგენტინა
19:15 "დიდი წინააღმდეგობები". განვლილი სეზონი - ჰოლანდიის ჩემპიონატი. პსვ - "აიაქსი"
21:00 თავისუფალი დარტყმა
21:15 სახვალიო ტელეპროგრამა
21:20 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის შედეგები
22:50 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 201-2002. "ლოკომოტივი" - "ანდერლეხტი"
00:35 "FUTBOL MUNDIAL"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:15, 16:00, 18:30 პრესცენტრი
10:20, 18:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ბილიარდი. "შესანიშნავი რვეული" სანქტ-პეტერბურგში
12:45 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
13:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". გადამწყვეტი მატჩები
16:15 ცხენოსნობა. "The Oaks"
17:00 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
17:30 "რკინის ფაქტორი". "ექსპო არნოლდ შვარცენეგერ კლასიკ". მესამე ნაწილი
18:00 "სარკის წინ"
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. კოსტია ცზიუ - რიკი ჰატონი
21:00 "ექო". საინფორმაციო ანალიტიკური არხი
23:00 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "BERLIN THUNDER" - "COLOGNE CENTURIONS". შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:30 "რკინის ფაქტორი". "ექსპო არნოლდ შვარცენეგერ კლასიკ". მესამე ნაწილი

**EUROSPORT**

10:30 მოტორბოლები. იტალიის დიდი პრიზი
11:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
12:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "თურქეთის რალი"
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩი. პორტუგალია - სლოვაკეთი
14:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩი. ნორვეგია - იტალია
15:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩი. ჰოლანდია - რუმინეთი
16:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ლონდონის სამეფო კლუბში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ფეხბურთი. იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში. პორტუგალია - ტუნისი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
21:00 ფეხბურთი. ევროპის ქალთა ჩემპიონატი ინგლისში. გერმანია - ნორვეგია. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ფეხბურთი. ევროპის ქალთა ჩემპიონატი ინგლისში. საფრანგეთი - იტალია. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩების მიმოხილვა
02:00 მულტისპორტი. VIP - საშვი
02:15 ახალი ამბები
02:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
03:00 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში

სახელი ______ მისამართი ______
გვარი ______
ასაკი ______ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ______
სიმაღლე ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ______ თარიღი ______

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გიხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?
გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?
არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?
დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, [illegible] კონკურსანტებს.
გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით
ბლანკი უფასოა

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მკაფიოდ თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

# "მაიბახ ექსელერო" - ექსპერიმენტი, თუ ახალი სუპერკარი?







ბერლინის გასართობ კომპლექს "ტემპოდრომში", იქ სადაც ყველაზე ხშირად დისკოთეკები ტარდება ხოლმე, საბურავების მწარმოებელმა გერმანულმა კომპანია "ფულდამ" და "მერსედეს-ბენცის" ძვირფასი ავტომობილების მწარმოებელმა შტო "მაიბახმა" მას-მედიას წარუდგინეს უნიკალური სპორტული კუპე, რომელსაც "ფულდას" მიერ შემუშავებული ახალი მოდელის (კარატ ექსელერო) სახელი, "ექსელერო" ეწოდა.

კომპანიების ერთობლივი, ოფიციალური განცხადებით, ეს ავტომობილი სწორედ ახალი საბურავების რეკლამისთვის შეიქმნა, თუმცა სპეციალისტებმა მაშინვე ივარაუდეს, რომ მისი ჩვენებით, "მაიბახმა" ფრთხილად შეამოწმა, თუ როგორ შეხვდება საზოგადოება ბაზარზე მისი მომავალი სიახლის გამოჩენას. კუპეს წარმოების დაწყება კი თუნდაც იმიტომაა საშური საქმე, რომ ცოტა ხნის წინ კონკურენტმა "როლს როისმა" ოფიციალურად დაადასტურა, რომ მალე დაიწყებს თავის კონცეპტუალურ მოდელ 100EX-ის წარმოებას. თანაც, საკუთრივ "მაიბახის" პროდუქციაც არც ისე კარგად იყიდება, როგორც კომპანიის მარკეტოლოგები წინასწარ ვარაუდობდნენ.

ასეა თუ ისე, მსოფლიოს საავტომობილო სამყაროს კიდევ ერთი, თუნდაც არა წარმოებისთვის განკუთვნილი შედევრი მოევლინა. ეს ავტომობილი იმითაცაა საინტერესო, რომ მისი კონცეპცია გერმანიის ქალაქ პფორცჰაიმის დიზაინის სკოლის სტუდენტებმა შექმნეს იმავე სკოლის ორი ლექტორის ხელმძღვანელობით. სტუდენტებმა საფუძვლად აიღეს ადრეული "მაიბახების", კონკრეტულად კი 1939 წლის კუპე "მაიბახ SW38-ის" დიზაინი, რომელიც ასევე "ფულდას" (ეს კომპანია დღეისათვის ამერიკულ "გუდიარს" ეკუთვნის) შეკვეთით შეიქმნა, რათა მისი პროდუქციის გერმანულ ავტობანებზე ტესტირება ყოფილიყო შესაძლებელი.

"მაიბახ ექსელერო" რაღაცით "კადილაკის" განუმეორებელ კონცეპტკარ "სიქსთინს" მოგვაგონებს, თუმცა მასზე 4-ით ნაკლებცილინდრიანი ძრავითაა აღჭურვილი და მისი შასი მეტწილად კარბონისა და შუშის ქსოვილის კომპოზიტებით დამზადებული პანელებისგან შედგება. "ექსელეროს" საფუძვლად გამოყენებულია უკანა წამყვანბორბლებიანი "მაიბახ 57-ის" შასის პარამეტრები, პროტოტიპის შექმნა კი ამ საქმის იტალიურ სპეციალისტს, კომპანია "სტოლას" მიენდო.

საბოლოო პროდუქტი, კონცეპტუალური კუპე "ექსელერო" მეტად შთამბეჭდავი გაბარიტებით გამოირჩევა. მისი სიგრძე 5.8 მეტრია, სიგანე 2.1 მეტრი, სიმაღლე 1.4 მეტრი, ბორბლებს შორის ბაზა კი - 3.4 მეტრია. ამ ზომებით ის სედან "მაიბახ 57-ზე" დიდია და მაინც, ავტომობილს შესანიშნავი აეროდინამიკური მახასიათებლები აქვს. კერძოდ, მისი აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი მხოლოდ 0.28-ს უდრის. ეს მაშინ, როცა მისი წინა ნაწილის საერთო ფართობი სამ კვადრატულ მეტრზე მეტია.

წესით, ამ ზომების ავტომობილის ინტერიერიც ფართო უნდა იყოს, ესე იგი, მასში არ უნდა არსებობდეს ადგილის პრობლემა. თუმცა, "ფულდას" შეფ ბერნდ ჰოფმანის შეკვეთისამებრ, შეენარჩუნებინათ SW38-ის სულისკვეთება, კონსტრუქტორებმა "ექსელერო" მხოლოდ ორი სავარძლით აღჭურვეს. კუპეს ინტერიერში ბევრი ელემენტი სედან 57S-ის სპორტული ვერსიისგანაა აღებული. სპორტული სავარძლების უკან დარჩენილი დიდი სივრცე კი საწვავის დამატებითი ავზებისა და საბარგულისთვის იქნა გამოყენებული.

"ექსელეროს" კაპოტქვეშ განლაგებულია მისი გაბარიტების შესაბამისი აგრეგატი. ესაა 57S-ის საფუძვლიანად მოდერნიზებული, AMG-ს წარმოების ორ ტურბოკომპრესორიანი V12, რომლის მუშა მოცულობა 6.0 ლიტრია. მოდერნიზებისას, კომპრესორების მეშვეობით გაიზარდა წვის კამერაში მიწოდებული საწვავი ნარევის წნევა, აირგამანაწილებელი სისტემის ფაზების გადაფარვა კი უფრო დიდ დიაპაზონში ხდება. ძრავის კონსტრუირებისას განსაკუთრებული ყურადღება მისი მაბრუნი მომენტის გაზრდას დაეთმო. შედეგად, მისი სიმძლავრე 700 ცხენის ძალამდე გაიზარდა, მაბრუნი მომენტი კი - 1020 ნმ-მდე. უფრო მეტიც, ძრავი მეტად ელასტიურია და მაქსიმალურ მომენტს მუხლა ლილვის 2500 ბრ/წთ-ზე ავითარებს, მაქსიმალურ სიმძლავრეს კი - 5000 ბრ/წთ-ზე.

მაბრუნი მომენტი 5-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფისა და კლასიკურ სედან 57S-ისგან აღებული ტრანსმისიის გავლით მიეწოდება 23-დუიმიან ბორბლებს, რომლებიც შემოსილია "ფულდას" წარმოების სწორედ იმ საბურავებით, რომელთა რეკლამირებისთვისაც ეს ავტომობილი შეიქმნა. "კარატ ექსელეროს" სერიის საბურავები მეტად დაბალი პროფილით და პროტექტორის სრულიად ახლებური ნახატით გამოირჩევა. მათი ზომა კი არის 315/25 ZR23.

მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილი თითქმის სამ ტონას იწონის, მისი აჩქარება ისეთივე თავბრუდამხვევია, როგორც სპორტული სუპერკარებისა - ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის ასაკრეფად "ექსელეროს" 4.4 წამი ჰყოფნის. იტალიის ნარდოს ავტოდრომზე ჩატარებული ტესტირების დროს კი მაქსიმალური სიჩქარე კი 353.86 კმ/სთ ნიშნულზე დაფიქსირდა.

ბერლინში ჩატარებული პრეზენტაციისას "მაიბახის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ეს ავტომობილი წარმოებისთვის არაა გამიზნული, თუმცა ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება - შტუტგარტული კონცერნის ძვირფასი ავტომობილების მწარმოებელი შტო მზადაა იმისათვის, რომ სუპერ-სედანების გარდა, სუპერ-კუპეების დამზადებასაც მიჰყოს ხელი.

# "ფოლკსვაგენის" ახალი "პოლო" - პატარა და სოლიდური





მალე შეიძლება, "პოლომ" გაყიდვებში "გოლფიც" დაჩაგროს



"ფოქსი" ევროპაში "ლუპოს" შეცვლის

როგორც წესი, ავტომწარმოებლები თავიანთი სიახლის შესახებ პოტენციურ მყიდველს დიდ ავტოსალონებზე აუწყებენ ხოლმე და იქვე უჩვენებენ ამ სიახლეს, თუმცა ყოველთვის ასე როდი ხდება. ამის ნათელი მაგალითი კი ახლახან ევროპის უდიდესმა ავტოკონცერნმა "ფოლკსვაგენმა" გვიჩვენა, რომელმაც ჟენევის ავტოსალონის დასრულებისთანავე, მედიას გააცნო თავისი ახალი ავტომობილი - მე-5 თაობის ჰეჩბეკი "პოლო".

ვოლფსბურგელთა ევროპელმა დილერებმა სიახლეზე შეკვეთების მიღება 14 მარტს დაიწყეს, მათ შესრულებას კი აპრილის ბოლოდან შეუდგნენ. ახალი ავტომობილი წინასაგან შეცვლილი დიზაინით, მდიდარი კომპლექტაციითა და ახალი აგრეგატებით გამოირჩევა, თუმცა მისი ფასი თითქმის უცვლელი დარჩა.

პირველ რიგში, ახალ "პოლოს" კომპანიის ახალ სტილში შესრულებული გარეგნობა გამოარჩევს. ის სულ მეორე ავტომობილია "ფოლკსვაგენის" გამაში, რომელსაც აშკარად გამოკვეთილი, ერთგვარი U-ს ფორმის რადიატორის ბადე აქვს. ეს კონცერნის ახალი კორპორატიული სტილია, რომელიც პირველად ახალ "პასატში" იქნა გამოყენებული. ის რაღაცით ტევტონელი რაინდების ფარსაც მოგვაგონებს.

სხვათა შორის, გამორჩეული რადიატორები ცნობილი დიზაინერის, ვალტერ და სილვას სტილია, რომელმაც თავისი მოღვაწეობა "აუდიში" დაიწყო, შემდეგ ესპანურ "სეატში" გააგრძელა და ახლა "ფოლკსვაგენის" დიზაინის განყოფილებას ხელმძღვანელობს. და რამდენადაც რადიკალურადაა შეცვლილი "პოლოს" წინა ნაწილი, იმდენადვე თითქმის ხელუხლებელი დარჩა მისი უკანა ნაწილი, რომელიც წინა თაობის მოდელისგან მხოლოდ ახალი სტოპ და გაბარიტული მაშუქებით განსხვავდება.

არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამჯერად "ფოლკსვაგენის" დიზაინერებმა ორიგინალობაც გამოიჩინეს - მათ თითქმის არ შეუცვლიათ ავტომობილის გაბარიტები. არადა, თანამედროვე ავტოინდუსტრიის ტრადიცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ახალი თაობის მოდელებს წინამორბედებზე დიდებს აკეთებენ. ახალი "პოლო" მხოლოდ სიგრძეში გაიზარდა (19 მილიმეტრით) და 3.92 მეტრი გახდა. სამაგიეროდ, უცვლელი დარჩა სიგანე (1.65 მეტრი) და სიმაღლე (1.47 მეტრი).

კომპლექტაციის მხრივ, ახალი "პოლო" სამ ვარიანტად გაიყიდება. ესენია "ტრენდლაინი", "კომფორტლაინი" და "სპორტლაინი".ამასთან, ყველა მოდიფიკაციისთვის საბაზო კომპლექტაციაში შედის ბლოკირების საწინააღმდეგო სისტემა, მუხრუჭების გამაძლიერებელი და ბალანსის მაკონტროლებელი სისტემა, კონდიციონერი (მხოლოდ კომფორტლაინისთვის) და ცენტრალური საკეტი.

დამატებითი საფასურის გადახდის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება პარკირების დამხმარე სისტემის, საბურავებში წნევის კონტროლის სისტემისა და ეგრეთ წოდებული "ქამინგ ჰოუმ" სისტემის დაყენება. ეს უკანასკნელი იმითაა გამორჩეული, რომ მისი ჩართვის შემთხვევაში, ის მძღოლის გარეშე მიიყვანს შინ ავტომობილს. თანაც, ამ დროს მას ახლო განათება ექნება ჩართული.

უფრო თანამედროვედაა გაწყობილი ახალი "პოლოს" ინტერიერიც, სადაც გამოყენებულია უფრო მდიდრული და ხარისხოვანი მასალები. შეიცვალა ხელსაწყოთა დაფა და საჭის რგოლი, რომლებიც უფრო მოსახერხებელი და ფუნქციონალური გახდა.

კონსტრუქტორებმა დიდი ყურადღება დაუთმეს პასიური და აქტიური უსაფრთხოების სისტემებსაც. ასე მაგალითად, ყველა კომპლექტაციაში შედის ფრონტალური და გვერდითი (მხოლოდ წინა სავარძლებისთვის) პნევმობალიშები. დამატებითი საფასურის გადახდის შემთხვევაში, ავტომობილი ასევე აღიჭურვება გასაბერი ფარდებით. იმ ავტომობილებისთვის კი, რომლებიც 100 ცხ.ძალაზე მძლავრი ძრავებითაა აღჭურვილი, საბაზო კომპლექტაციაშია მოცურების საწინააღმდეგო სისტემა შედის. უფრო სუსტძრავიანი ავტომობილების მყიდველებს კი ანალოგიურ სისტემაში დამატებითი თანხის გადახდა მოუწევთ.

დაბოლოს ძრავები. ამ მხრივ დიდი არჩევანია. მყიდველს შეუძლია აირჩიოს ბენზინზე მომუშავე 5 და დიზელზე მომუშავე 4 აგრეგატი. ბენზინის ძრავების სიმძლავრე 55-100 ცხენის ძალის ფარგლებში მერყეობს, დიზელებისა კი - 70-130 ცხენის ძალის ფარგლებში. ამასთან, მოგვიანებით მოსალოდნელია GTI ვერსიის "პოლოს" გაყიდვების დაწყება. ეს ავტომობილი კი მინიმუმ 150-ცხენისძალიანი ძრავით აღიჭურვება.

ახალი ავტომობილის ოფიციალური დებიუტი ლაიპციგის ავტოსალონზე, აპრილის დასაწყისში შედგა. იქვე გამოცხადდა, რომ ევროპის ბაზარზე მალე "ლუპოს" (მგელი) ნაცვლად კომპანია ბრაზილიაში წარმოებული "ფოქსის" (მელა) გაყიდვებს დაიწყებს. გერმანიაში კი საბაზო "პოლოს" ღირებულება 11 250 ევრო იქნება.

რაც შეეხება "ფოქსს", ის თავიდან ლათინური ამერიკის ბაზრისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ევროპაში "ლუპოს" ფიასკოს შემდეგ, ვოლფსბურგელებმა მისი შეცვლა გადაწყვიტეს და ამისათვის ყველაზე ხელსაყრელ მოდელად სწორედ "ფოქსი" მიიჩნიეს.

"ფოქსის" აღჭურვილობაში გამოყენებულია ბენზინზე მომუშავე სამი და დიზელის ერთი აგრეგატი. ბენზინის ძრავების მუშა მოცულობა 1.2-1.4 ლიტრის ფარგლებში მერყეობს, სიმძლავრე კი - 55-75 ცხ.ძალას შორის. რაც შეეხება დიზელს, ის ტურბოკომპრესორთანა შეწყვილებული და მისი სიმძლავრე 70 ცხ.ძალას შეადგენს.

ამ ავტომობილს ისიც გამოარჩევს, რომ უკანა სავარძლების დაკეცვის შემთხვევაში, მისი საბარგულის მოცულობა 1016 ლიტრამდე იზრდება. არადა, ჩვეულებრივ მდგომარეობაში ის მხოლოდ 260-ლიტრიანია. უფრო მეტიც, უკანა სავარძლებს დაკეცვის გარდა წინ და უკან, 15 სანტიმეტრით გადაადგილებაც შეუძლია.

ვოლფსბურგელები იმედოვნებენ, რომ "ფოქსით" კონკურენციას გაუწევენ "რენოს", რომელმაც ახლახან დაიწყო აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებში იაფფასიანი "ლოგანის" წარმოება-რეალიზაცია. მართალია, ეს ავტომობილები სრულიად სხვადასხვა კლასს მიეკუთვნებიან, მაგრამ ამ შემთხვევაში წინა პლანზე მათი ღირებულება გამოდის.

ევროპისთვის განკუთვნილი "ფოქსის" საბაზო ღირებულება 8 950 ევროა, თუმცა ასეთ ავტომობილს არანაირი დამატებითი აღჭურვილობა არ გააჩნია და ყოველი ასეთი დეტალისა თუ სისტემისთვის მყიდველს გარკვეული ხარჯის გაწევა მოუწევს.

# ავტომობილი, რომელმაც "ბეემვე" იხსნა





ეს სამბორბლიანი ავტომობილი, რომელსაც ყველა როდი მოიხსენიებს ავტომობილად, ზოგი კი მოტოკუპესაც უწოდებს, 5 მაისს ნახევარი საუკუნისა შეიქნა. მთავარი კი ისაა, რომ მინიატურულმა "იზეტამ" სწორედ ნახევარი საუკუნის წინ გაკოტრებისგან იხსნა "ბაიერიშე მოტორენვერკე".

1955 წელს, როცა ომის შემდეგ დანგრეული გერმანია უკვე თითქმის აღდგენილი და წელში გამართული იყო, ბავარიულ კომპანიას კრიზისული პერიოდი ჰქონდა და მას შთანთქმით ემუქრებოდა "მერსედეს-ბენცი". შემდეგ ბაზარზე გამოჩნდა "იზეტა", რომელმაც დებიუტისთანავე მოიპოვა პოპულარობა და გაკოტრებისგან იხსნა "ბეემვე", რომელიც დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ძვიადღირებული ავტომობილების წარმოებაში.

მაშინდელი საშუალო გერმანელი ვერ ახერხებდა ძვირადღირებული ავტომობილების ყიდვას, ხელმისაწდომი ფასის მქონე ავტომობილებს კი ბავარიელები არ აწარმოებდნენ. ჰოდა, კომპანიაც ნელ-ნელა მიექანებოდა უფსკრულისკენ და რომ არა შემთხვევა, შეიძლება დღეს ის შტუტგარტული კონკურენტის საკუთრება ყოფილიყო.

რეალურად "იზეტა" იტალიური ავტომობილია. ის იტალიურმა კომპანია "იზომ" დაამზადა, რომელიც მანამდე მხოლოდ სკუტერების წარმოებაზე იყო სპეციალიზებული. ავტომობილის დებიუტი ჟენევის 1954 წლის ავტოსალონზე შედგა, სადაც ის "ბეემვეს" დილერებმა "აღმოაჩინეს". მათი რჩევით, ბავარიულმა კომპანიამ მაშინვე შეისყიდა ამ სამბორბლიანი ავტომობილის წარმოების ლიცენზია და საქმესაც შეუდგა. იტალიური ძრავი "ბეემვეს" წარმოების, მოტოციკლის ერთცილინდრიანი აგრეგატით შეიცვალა, რომლის მოცულობა სულ 250 კუბ.სანტიმეტრი იყო, სიმძლავრე კი - 12 ცხენის ძალა.

სხვათა შორის, "იზომ" თავისი მინი-ავტომობილის წარმოების ლიცენზიები სხვა კომპანიებსაც მიჰყიდა საფრანგეთში, ბრიტანეთსა და ბრაზილიაში. ამასთან, ყველგან ის მოდიფიცირებული სახით მზადდებოდა. მაგალითად, ბრიტანეთში ავტომობილს სამი ბორბალი ჰქონდა, გერმანიაში კი - ოთხი. თუმცა, უკანა ორი ბორბალი შეტყუპებული იყო და ფაქტობრივად, ერთ ბორბალს წარმოადგენდა. ამდენად, ის მაინც სამბორბლიანად იყო მიჩნეული.

სუსტი ძრავის მიუხედავად, ავტომობილი მაინც საკმაოდ მაღალი ტემპერამენტით გამოირჩეოდა - მისი მაქსიმალური სიჩქარე 85 კმ/სთ-ს აღწევდა. ძრავი ავტომობილის უკანა ნაწილში, ბორბლის თავზე იყო განლაგებული. "იზეტას" კიდევ ერთი დიდი უცნაურობა ის იყო, რომ მისი ერთადერთი კარი ავტომობილის წინა ნაწილში იყო მოთავსებული და როცა იღებოდა, საჭის მექანიზმს "აშიშვლებდა".

"ბეემვე იზეტას" ყიდვა 2550 დასავლეთგერმანული მარკის საფასურად შეიძლებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მაშინ საშუალო გერმანელი მუშა კვირაში 90 მარკას ღებულობდა, ავტომობილის ფასი საკმაოდ იაფი გამოდის.

"იზეტა" სათამაშო ავტომობილს კი ჰგავს, მაგრამ მან უმალ მოიპოვა პოპულარობა და ასე განსაჯეთ, მალე ცნობილი ადამიანების ყურადღებაც მიიქცია. მერე კი, როცა მსოფლიოს პრესაში "იზეტასთან" ერთად გადაღებული ელვის პრესლის ფოტოები გავრცელდა, ამ ავტომობილმა კიდევ უფრო მეტი მყიდველი მიიზიდა, "ბეემვემ" კი მისი მეშვეობით, ერთი შეხედვით დაუძლეველი კრიზისი გადაიტანა.

წლების განმავლობაში "იზეტამ" რამდენიმე მოდიფიკაცია გაიარა. პირველის შემდეგ მის გულში უკვე 300 კუბ.სმ მოცულობის, 13 ცხენისძალიანი ძრავი ძგერდა, საექსპორტოდ განკუთვნილმა "იზეტებმა" კი რადიკალურად მოდიფიცირებული შასი მიიღეს. გარდა ამისა, მზადდებოდა მარჯვენასაჭიანი, რბილსახურავიანი და სპეციალური, სატვირთოსაბარგულიანი "იზეტები". ამ უკანასკნელს 200 კმ-მდე ტვირთის გადატანა შეეძლო.

"იზეტას" გაყიდვების პიკი 1957 წელს დაუდგა, როცა ბავარიელებმა 40 ათასი ცალი "იზეტას" რეალიზება შეძლეს. ეს იმ დროს, როცა საკუთრივ გერმანიაში სხვა კომპანიებიც აწარმოებდნენ მსგავს ავტომობილებს და უცხოეთიდანაც არაერთი კომპანია ახორციელებდა "იზეტას" "ნათესავთა" იმპორტს.

ცხოვრების დონის ზრდა "იზეტას" ზომებსა და ტევადობაზეც აისახა. მალე ბავარიელებმა ოთხადგილიანი მოდიფიკაციების წარმოება დაიწყეს, რომელსაც სახელის ნაცვლად ინდექსი 600 დაუწერეს. ამ ავტომობილმა გერმანიაში მაინცდამაინც არ გაამართლა და ის მალე მოიხსნა წარმოებიდან. სამაგიეროდ, მსგავსი მოდელები მაშინვე პოპულარული გახდა იტალიასა და საფრანგეთში. მოდელი 600 იმით იყო საინტერესო, რომ მას უკანა ნაწილში ორცილინდრიანი ოპოზიტური ძრავი ედგა. მალე ეს მოდელი უფრო წარმატებულმა 700-მა შეცვალა.

მსგავსი ავტომობილი-ბუშტების პოპულარობას წერტილი 1959 წელს დაესვა, როცა მსოფლიოს ავტობაზარზე წარსდგა ლეგენდარულ კონსტრუქტორ ალექს ისიგონისის "ოსტინ მინი". ეს ავტომობილი თავისი კომპაქტურობით "ბუშტ-ავტომობილებს" არ ჩამოუვარდებოდა. სამაგიეროდ, მას გაცილებით კომფორტული და დიდი სალონი ჰქონდა და არც სიძვირით გამოირჩეოდა.

რაც შეეხება "იზეტას", ბავარიელებმა მისი წარმოება 1962 წელს შეწყვიტეს. ამ დროისათვის კი უკვე 161 728 "იზეტა" იყო რეალიზებული.

# განცხადება
# ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს 2005 წლისათვის კომპიუტერული ტექნიკის და სახარჯი მასალების შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. **დაფინანსების წყარო -** საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.

| |
|---|
| ლოტი N1 - კომპიუტერი |
| რაოდენობა 19 ერთეული |
| 2,66 GHz or higher (სასურველი მწარმოებელი - intel/celeron); RAM 256 Mb DDR, 40 Gb HDD, 64 Mb Video AGP 8x.FSB 800, LAN,CD-ROM, FDD, Opticall Mouse, MM Keyboard, Speakers |
| რაოდენობა 17 ერთეული |
| 2,66 GHz or higher (სასურველი მწარმოებელი - intel/celeron); RAM 256 Mb DDR, 40 Gb HDD, 64 Mb Video AGP 8x.FSB 800, LAN, CD-RW, FDD, Opticall Mouse, Keyboard |
| რაოდენობა 1 ერთეული |
| 2,66 GHz or higher (სასურველი მწარმოებელი - intel/celeron); RAM 512 Mb DDR, 120 Gb HDD, 64 Mb Video AGP 8x.FSB 800, LAN, CD-ROM, FDD Opticall Mouse, MM Keyboard, Speakers |
| რაოდენობა 3 ერთეული |
| 2,66 GHz or higher (სასურველი მწარმოებელი - intel/celeron); RAM 256 Mb DDR, 40 Gb HDD, 64 Mb Video AGP 8x,.FSB 800, LAN, CD-RW, FDD, Opticall Mouse, MM Keyboard,speakers |
| რაოდენობა 2 ერთეული |
| I865PE AGP, LAN1000, SATA, 3.0 GHz/800MHz /1024K (სასურველი მწარმოებელი - intel/pentium4), RAM 512 Mb DDR, 80Gb HDD, 128 Mb Video AGP 8x.FSB 800, CD-RW, FDD, Opticall Mouse, MM Keyboard,speakers |
| რაოდენობა 1 ერთეული |
| 3,0 GHz (სასურველი მწარმოებელი - intel/pentium4); FSB 800, RAM 512 Mb DDR Dual Channel, 80 Gb SATA 2xHDD, 1000 LAN,CD-RW, FDD, Opticall Mouse, Keyboard |
| ლოტი N2 - მონიტორი |
| რაოდენობა 38 ერთეული |
| 17" CRT FLAT1024x768 dpi, 100 Hz, 1024x768 dpi max.res, TCO 99 |
| რაოდენობა 5 ერთეული |
| 17" LCD 1280x1024 dpi, ,12ms, TCO99 |
| ლოტი N3 - უწყვეტი კვების წყარო |
| 45 ერთეული |
| 600VA, 220v, 50Hz |
| ლოტი N4 - პრინტერი |
| 25 ერთეული |
| LaserJet Printer A4, 12 PPM, 600 dpi, 8 Mb RAM, USB TCO99 |
| 1 ერთეული |
| DOT Printer 9 Pin, 360 CPM, A3, Letter, LPT,USB |
| ლოტი N5 - ასლგადამღები აპარატი |
| 3 ერთეული |
| Digital Copier, A3/A4, 20 PPM, 600 dpi, Zoom 25-400%, first Page 8 sec., USB, LPT, IEEE 1284, 600 paper tray, TCO 99 |
| 1 ერთეული |
| Digital Copier, A3/A4, 20 PPM, 600 dpi, ADF,Zoom 25-400%, first Page 8 sec., USB, LPT, IEEE 1284, 600 paper tray, TCO 99 |
| ლოტი N6 - სკანერი |
| 1 ერთეული |
| A4,1200 DPI opticall, 9600 dpi Digital, USB, TCO 99 |
| ლოტი N7 - ფაქსის აპარატი |
| 20 ერთეული |
| A4 Plain Paper, Autoanswer, phone, 14,4 Kb/s |

| ლოტი N8 | |
|---|---|
| კარტრიჯის დასახელება | რაოდენობა |
| HPPSC 27 | 4 ერთეული |
| HPPSC 28 | 4 ერთეული |
| HPLJ 27x | 2 ერთეული |
| HPLJ 98x | 1 ერთეული |
| HPDJ 15d | 4 ერთეული |
| HPDJ 17d | 3 ერთეული |
| HPDJ 29d | 2 ერთეული |
| HPDJ 45d | 2 ერთეული |
| HPDJ 49d | 2 ერთეული |
| HPDJ 78d | 3 ერთეული |
| EPSON T-013 | 2 ერთეული |
| EPSON T-014 | 2 ერთეული |
| EPSON T-700 | 2 ერთეული |
| EPSON T-900 | 2 ერთეული |
| 13A | 3 ერთეული |
| 15A | 2 ერთეული |
| 92A | 15 ერთეული |
| Lexmark 16 | 3 ერთეული |
| Lexmark 26 | 3 ერთეული |
| Lexmark 32 | 7 ერთეული |
| Lexmark 33 | 7 ერთეული |
| Xerox p-16 | 2 ერთეული |
| Vivace 340 | 4 ერთეული |
| ლოტი N4-ში შემოთავაზებული პრინტერის კარტრიჯი | 50 ერთეული |
| ლოტი N5-ში შემოთავაზებული ასლგადამღები აპარატების კარტრიჯები (შესაბამისად I და II ტიპის) | I ტიპი - 12 ერთეულილ; II ტიპი - 6 ერთეული. |

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მოწოდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად.

4. ტენდერის სედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების სესახებ ხელშეკრულების ცალკეული ნაწილების (ელემენტების) შესრულების უფლება.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მანაცენები უნდა წარმოადგინონ ქართულ **ა. წ. 21 ივნისიდან 23 ივნისის 17 საათამდე** სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

6. საკვალიფიკაციო მონაცენები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელძღვანელი (ხელმძვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**6.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

9. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა დასრულდება **ა.წ. 24 ივნისს.**

10. ღია ტენდერში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად შესატანია სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარი. ჩვენი რეკვიზიტებია:

ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი ანგარიშის N345919 კოდი 220101757.

11. სატენდერო დოლუმენტაცია დგება ქართულ ენაზე. პრეტენდენტებზე მათი გაცემა მოხდება **ა.წ. ივნისიდან 1 ივლისის 17 საათამდე** სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო კომისიაში.

12. პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 6 ივლისის 17 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 6 ივლისს 17 საათზე.**

13. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

საკონტაქტო პირი გურამ გოცაძე ტ: **517406**.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლოციის დეპარტამენტის სახელით

*სატენდერო კომისია*

## TV პროგრამა, 4 ივნისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ლუი **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ენტერპრაიზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ლუი **18.30** პატრული **19.00** ყველაზე ჭკვიანი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** სერიალი "უცნობი" **00.00** მხ. ფილმი "თვალცრემლიანი მკვლელი" (18) (მარკ დაკასკოსი) **02.00** პატრული

### 1

**08.00** დოკ. ფილმები **10.00** სერიალი "დანაშაული" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავლი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** ბიოგრაფიული პორტრეტები -კ. კოსტნერი **16.00** ფრენბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. საქართველო-მოლდოვა. **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** "მედიატორი" **19.30** გზაჯვარედინი **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** მრწამსი - სომხური ეკლესია **23.30** მხ. ფილმი "ასკარი" (18) **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "ვახშამი ბრიყვთან ერთად" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **13.05** სერიალი "კარაბინერები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **21.00** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **23.10** კრიმ. სერიალი "სთშ" **00.00** მხ. ფილმი "თანამგზავრი ქალი" (გ) (მიშელ პიკოლი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **20.55** დოკ. ფილმი "ოპერაცია მთვარე" **21.45** კონცერტი **22.35** კინოსეანსი "შემსრულებელი"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.30, 03.05** იმედის მელოდიები **12.40, 16.40, 01.50** ტვ-მარკეტი **13.15** ქართ. მხ. ფილმი "მაგდანას ლურჯა" **14.40** "ერთხელ ჰოლივუდში" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **15.20** "არ იდარდო" **17.10** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "დრონგო" 1-ლი ს. **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად **02.25** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.45** სათავგად. ფილმი "აგენტი კოდი ბენქსი" **13.05** მსკ **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **15.05** თრილერი "სახელმწიფოს მტერი" **18.10** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **19.10** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** კომედია "ჩემს ცოლს მორისი ჰქვია" **22.40** "პროექცია" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "მემკვიდრეობა" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Том Хэнкс в остросюжетном фильме **"АПОЛЛО - 13". 12.20** Михаил Ефремов в мелодраме **"БЛАГОРОДНЫЙ РАЗБОЙНИК ВЛАДИМИР ДУБРОВСКИЙ". 14.10** Спецрасследование. "Ведьмы наших дней". **15.20** Что? Где? Когда? **16.20** Михаил Пореченков в сериале **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 17.30** "Пять вечеров". **18.40** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Александр Михайлов в многосерийном фильме **"ВЕРЕВКА ИЗ ПЕСКА". 22.40** Спецрасследование. "Заложники "однорукого бандита". **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Мистерия Ильи Глазунова". **00.30** "Путешествия "Русского экстрима". **01.00** Джеки Чан в боевике **"РАСПЛАВЛЕННЫЕ".** Бывший военный офицер Кит Ли, чья жена и ребенок погибли при попытке разминирования школьного автобуса, оставляет службу и становится телохранителем и дублером капризной кинозвезды с манией преследования Фрэнки Лейна. Однажды Кит и Фрэнки отправляются на выставку драгоценных украшений Российской Царской семьи в отель "Гонконг". Туда же нагрянула банда "Доктора" - террориста, который стал причиной смерти семьи Фрэнки. "Доктор" хочет украсть драгоценности. И Кит понимает, что только он может спасти реликвии и отомстить за свою семью. А Фрэнки ничего не остается, как помогать Киту... **02.40** Дэниэл Болдуин в триллере **"ОТКРОВЕННЫЙ СВИДЕТЕЛЬ".** Порноактрису и девушку по вызову Джули Спенсер находят на улице жестоко убитой. Сначала подозрение падает на ее подругу Карли. Но вскоре становится очевидно, что Карли тоже угрожает опасность. Ее единственная надежда на спасение - детектив Киллиан, установивший, что всему виной таинственная видеокассета, отснятая Джули и изобличающая "сильных мира сего". Но какое отношение имеет к этому Карли? **04.10** Музыкальная премия "Билборд". **05.05** Музыкальная премия "Билборд". Окончание.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.00** Совершенно секретно. Информация к размышлению. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.35** Сериал **"ОПЕРА. ХРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА". 15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ: ВЕРОНИКА". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Андрей Соколов в детективном сериале **"АДВОКАТ". 20.45** Сериал **"ТАМБОВСКАЯ ВОЛЧИЦА". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"АДВОКАТ". 01.15** Йочи Сай в фильме **"ТАБУ".** Япония 1865 года, страна изолирована от остального мира. Юноша Содзабуро, блестяще владеющий мечом, вступает в самурайский "эскадрон смерти", чтобы "иметь право убивать"... **03.10** Коллекция Даниэлы Стил. Дженни Робертсон в фильме **"НАЧАТЬ СНАЧАЛА". 1**-я с. **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-4". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2".**

## სკანვორდი



# სიმართლე ადმირალ ნელსონის მკვლელობაზე

## საფრანგეთში ალექსანდრე დიუმას ახალი რომანი გამოიცა



ეს არ არის ფანტასტიკური მოთხრობა და არც ამ ჟანრის ფილმის სიუჟეტია. მიუხედავად ამისა, მაინც მოგიწევთ იმის დაჯერება, რომ წიგნის მაღაზიების დახლებზე გამოჩნდა მამა ალექსანდრე დიუმას ახალი რომანი "რაინდი სენტ-ერმინიდან".

თანამედროვე მკითხველისგან განსხვავებით, მე-19 საუკუნის პარიზელი მკითხველი გაზეთ Le Moniteur Universel-ს საშუალებით რომანს ფრაგმენტულად, ანუ გაგრძელებებით გაეცნო. წიგნად კი იმ მარტივი მიზეზით არ გამოიცა, რომ 1870 წელს მწერალი გარდაიცვალა და მისი დასრულება ვერ მოასწრო. ამის შემდეგ რომანი ყველას მიავიწყდა, ხოლო მოგვიანებით საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის საცავებში აღმოჩნდა.

"რაინდს სენტ-ერმინიდან" რამდენიმე თვის წინათ დიუმას შემოქმედების ექსპერტმა კლოდ შოპმა შემთხვევით მიაგნო. ნაწარმოები ტრაფალგარის ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს. წიგნი იმ ტრილოგიის მესამე ნაწილია, რომლის წერა დიუმამ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 50-იან წლებში დაამთავრა. რომანის მთავარი გმირი ფრანგი რაინდია. მისი ძმები წინა ორ წიგნში დაიღუპნენ. გმირი ნაპოლეონის იმპერიული იდეებითაა აღტკინებული, ხოლო ბოლოს თვით ადმირალ ნელსონის მკვლელადაც გვევლინება. ისტორიულად ცნობილია, რომ 1805 წელს ლორდმა ნელსონმა გიბრალტარის სრუტესთან გამართულ ბრძოლაში ფრანგები და ესპანელები დაამარცხა, შემდეგ კი საკუთარ გემზე უცნობმა ფრანგმა ჯარისკაცმა მოკლა.

ვინაიდან დიუმას ახლად აღმოჩენილი რომანი დაუსრულებელი იყო, კლოდ შოპმა ბოლო თავი თავად დაწერა და გვერდების რაოდენობა 1000-მდე გაზარდა. კრიტიკოსებმა კი აღიარეს, რომ ახალი რომანი არაჩვეულებრივია და თავისუფლად გაუწევს კონკურენციას დიუმას ყველასთვის კარგად ნაცნობ ძველ რომანებს.

წიგნი საფრანგეთის წიგნის მაღაზიებში რამდენიმე დღეში გამოჩნდება.

# იყიდება ქალის მკერდი

ცნობილ ინტერნეტ-აუქციონ ebay-ზე 16 750 დოლარად ქალის მკერდი გაიყიდა. ამ შენაძენის განსაკუთრებულობა იმაშია, რომ მკერდი სილიკონისაა და მას რეალური მფლობელი ჰყავს. იგი წარსულში ცნობილი სტრიპტიზის მოცეკვავე და პორნოვარსკვლავი ტონი პიკსია. მას, როგორც ჩანს, აღარ სჭირდება ის ატრიბუტები, რომლებმაც, თავის დროზე ფული და პოპულარობა მოუტანა. გაირკვა, რომ ქალბატონ პიკსს ჰუმანური მიზნებიც ამოძრავებდა. "მე ხელოვნური მკერდი აღარ მჭირდება და იქნებ ეს სილიკონი ვინმეს გამოადგეს", - აღნიშნა პრესასთან საუბრისას.

სილიკონის იმპლატანტები ტონი პიკსს მრავალი წლის განმავლობაში ჰქონდა. 7 წლის წინ იგი გათხოვდა, ხელოვნური მკერდისგან გათავისუფლდა და სამი შვილიც გააჩინა. როგორც ჟურნალისტებთან აღნიშნა, სილიკონები, სრულიად შემთხვევით, სხვა ძველმანებთან ერთად კარადაში აღმოაჩინა. ძველ "მეგობრებთან" შეხვედრამ გული ისე აუჩუყა, რომ მათი გაყიდვა და სოლიდური თანხის შოვნა გადაწყვიტა. თუმცა, ბოლო მომენტში წარსულის დიდება გაახსენდა და აუქციონზე მხოლოდ ერთი ცალი სილიკონი გაიტანა, მეორე კი სამახსოვროდ დაიტოვა.

როგორც წესი, ebay-ზე მყიდველი აუქციონის ბოლო წუთებზე აქტიურდება ხოლმე. ამჯერად მოვლენები სხვანაირად განვითარდა და ლოტის მყიდველი მალე გაირკვა. მანამდე კი აუქციონის ინტერნეტ-გვერდი ნახევარმა მილიონმა მომხმარებელმა მოინახულა, რათა საკუთარი თვალით დარწმუნებულიყო, რომ ასეთი უცნაური ნივთი მართლა იყიდებოდა. სილიკონი ვირტუალურმა მყიდველმა შეიძინა, რომლის ნიკი golden-palace-casino-ა. გაყიდულ მკერდზე ტონი პიკსმა საკუთარი ავტოგრაფიც დატოვა, რითაც მყიდველი უფრო გააბედნიერა.

სხვათა შორის, golden-palace-casino აუქციონ ebay-ს ერთგული კლიენტია. ბოლო აუქციონზე მან 7 600 დოლარად შეიძინა ჩვეულებრივი, ყვითელი ქაღალდისგან გაკეთებული კონვერტი, რომლის შიგთავსი დასახელებული არ იყო.



# ავტომობილებით ზღაპრულად მდიდარი არაბი



ბიბა ბურასაშვილი

*ვინ, ფილატელიითაა გატაცებული და ვინ ნუმიზმატიკით. და საერთოდ, ვინ რას არ აგროვებდა ან არ აგროვებს. ყველას თავისი წიკები აქვს. კარგი გაგებით. ამ შემთხვევაში ჩვენ კოლექციონერი მართლაც რომ გამორჩეულია. ასე რომ არ იყოს გინესის რეკორდების წიგნში ტყუილუბრალოდ როგორ უნდა მოხვედრილიყო?! საერთოდ მასზე ბევრის თქმა შეიძლება. მოიხსენიებენ როგორც მოდური მანქანების მეფედ მისივე მეფური კოლექციის გამო. სუჰაილ ალ ზარუნი არაბეთის გაერთიანებული სახალიფოდანაა, მის კოლექცია კი 5500 ავტომანქანას ითვლის!*

ციფრი მართლაც რომ შთამბეჭდავია თუ იმასაც გავითვალისწნებთ, რომ სუჰაილ ალ ზარუნის კოლექცია ხუთ მილიონ დოლარადაა შეფასებული. ალბათ იკითხავთ, კი მაგრამ სად ატევს ათასობით მანქანასო? დაბნეულობა რომ თავიდანვე გამოვრიცხოთ გეტყვით, რომ ავტომობილები მინიატურულია. ანუ საუბარია, მოდელებზე, რომელთა შესაძენადაც, ალბათ, ბევრ თქვენთაგანს ბავშვობაში მაღაზია "ელექტრონიკისთვის" მიუკითხავს კიდეც. ამა თუ იმ მოდელის (ძირითადად საბჭოთა წარმოების მოდელებით იყო დახლი მდიდარი) შესაძენად ბევრჯერ რიგშიც მდგარხართ კიდეც, მაგრამ ეგაა მოდელების მრავალფეროვნებით კმაყოფილი არასდროს ყოფილხართ.

ჩვენგან განსხვავებით არაბმა კოლექციონერმა 18 წლის განმავლობაში (18 წელიწადია, რაც მინიატურული ავტომობილების შეგროვებითაა გატაცებული) მართლაც რომ სასწაული მოახდინა. ამის გამო მისი მიღწევები შეუმჩნეველი არასდროს დარჩენილა და აკი, 2001&2003 წლების გინესის რეკორდების წიგნშიც დაიმკვიდრა ადგილი.

და მაინც, რა შედის სუჰაილ ალ ზარუნის უნიკალურ კოლექციაში. ციფრის გათვალისწინებით არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ კოლექციაში უნდა იყოს ფაქტობრივად ყველა იმ ავტომობილის მოდელი, რომელიც კი ოდესმე გამოსულა. თუმცა მათ შორისაცაა ისეთი მოდელები, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ სუჰაილ ალ ზარუნის ავტოსამოდელო ფარეხში. რომელი ერთი გინდა ჩამოთვალო: ჯონ კენედის ლიმუზინი, ამასთან სწორედ ის, რომელშიც აშშ-ის 43-ე პრეზიდენტი სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა, მესამე რაიხის ადოლფ ჰიტლერის მანქანა, რუსეთის პრეზიდენტების მანქანები, დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელიზაბეტ მეორის "როლს როისი", ავტომობილები სუპერ აგენტის ჯეიმს ბონდის კოლექციიდან და კიდევ ვინ იცის რა. თუმცა ავტო მოდელების გარდა სუჰაილ ალ ზარუნის კოლექცია ითვლის საფოსტო მარკებსაც, შვეიცარიულ საათებს, ანტიკვარებს, მონეტებს, ქარალდის ბანკნოტებს, წიგნებს, ჟურნალებს და საბანკო ჩანაწერებსაც კი.

რა თქმა უნდა, ასეთი კოლექციის პატრონი სხვადასხვა გამოფენების ხშირი სტუმარიცაა. შარშან დუბაიში საკუთარი მოდელების კოლექცია შუა აღმოსავლეთის მეშვიდე საერთაშორისო გამოფენაზეც ჰქონდა ექსპონირებული. ოღონდ არა სრულად, არამედ მხოლოდ ნაწილი, ალბათ, იმიტომ, რომ გამოფენის ორგანიზატორებს კოლექციის სრულად წარმოსაჩენად შესაბამისი ფართი არ ჰქონდათ.

საგულისხმოა, რომ არაბი კოლექციონერს ცნობისმოყვარეთა დასაკმაყოფილებლად საკუთარი მუზეუმიც კი აქვს.

საინტერესოა ისიც, რომ მოდელების ერთი ნაწილი საკუთარი დიზაინითაცაა დამზადებული. რაც შეეხება ზარუნის მომავალ გეგმებს, ვიტყობთ, რომ გრანდიოზული მუზეუმის გაება განუზრახავს, სადაც უნიკალურ კოლექციასთან ერთად ნამდვილი ავტომობილების გამოფენაც განუზრახავს.


## სწრაფად ხარისხიანად!

EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლიუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლესელიძის ქუჩა - ყაველაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge



## სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო შპს **"ი ელ ელ"**-ი (**ELL. Ltd**) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი).

**ენის სასწავლო პროგრამები:**
- ინგლისური ენა - ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო, 2 - 48 კვირა.
- ინგლისური ენა და დასვენება -საზაფხულო სკოლებში, 2 - 10 კვირა.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა სტაჟირება 2 - 4 კვირა.

**საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:**
- **A-level** 1-დან 2 წლამდე. 16 წლიდან.
- **Foundation** 1 წლით 17 წლიდან (სკოლადამთავრებულთათვის).
- **Pre - MBA** 3 - 6 თვე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის N74, მე-5 სართული; ოთახი 503;
ტელ: 22-59-57, 29-91-78 მობ: 899 50-40-12
**E-mail: n_makatsaria@yahoo.com**


## ქ. თბილისის მერია აცხადებს კონკურსს შემდეგი სახის ტურისტულ პროდუქტებზე

ტურისტული ლოგოს შექმნა (I ადგილი 500 ლ. II და III ადგილი 200-200 ლ.)

ტურისტული ვებ-გვერდის ქუდის დიზაინი (I ადგილი 300 ლ. II და III - 100-100 ლ.)

საინფორმაციო ტურისტული ცენტრის ლოგო (I ადგილი 100 ლ. II და III - 50-50 ლ.)

იდეა-ნიმუშების მოწოდების ვადაა: 2005 წლის 20 ივნისი.

მისამართი: ქ. თბილისის მერია, თავისუფლების მოედანი N2.

ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: 99 80 27; 93 28 95.

ან იხილეთ www.tbilisi-guide.ge


თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24



საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ. უზნაძის N70 ტელ: 29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge


თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ "საჩუქარის" პროგრამა

**6 ივნისი**

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

ანტონ ჩეხოვი
"თოლია"
("მოსსავეტის თეატრი", რუსეთი;
რეჟისორი: ანდრეი კონჩალოვსკი)
ფასი: 7, 10, 15, 20 ლარი.
დას: 19:00 სთ.

## პრეზენტაცია "თი ბი სი" ბანკში



"თი ბი სი ბანკის" შენობაში გურამ დოჩანაშვილის ახალი რომანის "ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა ჰოლივუდის" წარდგენა გაიმართა. მწერალს მიესალმნენ "თი ბი სი" ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი ჯაფარიძე, გამომცემელი გია მგალობლიშვილი.

თავად მწერალმა მადლიერება გამოხატა ბანკის ხელმძღვანელობის, თანამშრომლების და გამომცემლის მიმართ და მოკლედ წარადგინა რომანი. ავტორის განცხადებით, რომანი თანამედროვეობის პრობლემებს ასახავს, რომელთა ცენტრში იმ ფასეულობების დაკარგვაა მოქცეული, რომელიც ქართველებს ისტორიულად გაგვაჩნია და რომლებსაც "ისედაც დასავლეთელების" ფსევდოკულტურით ვცვლით. ***მედია-ნიუსი***